PRIME Time

N43 (293), ორშაბათი
3 ნოემბერი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress

„ღმერთო ჩემო, რას არ ვაკეთებდი? მზესუმზირას ვყიდდი, საბავშვო ბაღში დარაჯადაც ვმუშაობდი, ეკლესიაშიც ვგალობდი. ბევრს ვმუშაობდი. უარს არც ერთ სამსახურზე არ ვამბობდი“

EXCLUSIVE

ვინ არის ოჯახისგან გარიყული ამალია?

„რთული გზა გავიარე. ოჯახის წევრებისგან გარიყული, მარტო აღმოვჩნდი. დედაც ცალკე ცხოვრობს, მამაც, თავიანთი ოჯახები შექმნეს. ნათესავებმაც მიმატოვეს“

SCANDAL

მაია მწარიაშვილი ზურაბ ჟვანიას საქმეზე პირველ განცხადებას აკეთებს

კბილაშვილის პრესმდივანი ხათუნა პაიჭაძე ეკა კვესიტაძეს უჩივლებს?

იაშარ უსუპოვი: „გამოძიება დასკვნას მალე დადებს. ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლო გაფართხალებაა“

EXCLUSIVE

რა მოითხოვა ალასანიამ პოლიტიკურ საბჭოზე და რა სახიფათო განცხადებებს აკეთებენ რესპუბლიკელები

ბოლო განცხადებები, რაც დავით ბერძენიშვილმა გააკეთა, ძალიან სახიფათოა სახელმწიფოსთვის

EXCLUSIVE

სააკაშვილს ბრალი უმძიმდება

EXCLUSIVE

კუბლაშვილს იმპიჩმენტი ელოდება

სულხან მოლაშვილი: „მზად ვარ, დავდო სათანადო მტკიცებულებები, რომ პროკურატურის ბევრი მაღალჩინოსანი ასრულებდა პოლიტიკურ შეკვეთას. პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, ეს პირები მარტივად დაასახელებენ, რომ ამ პოლიტიკური შეკვეთის ავტორი იყო პირადად მიხეილ სააკაშვილი“

ექსკლუზიური ინტერვიუ შვილის მკვლელობისთვის შურისმაძიებელ მამასთან

გახმაურებული მკვლელობის გაუხმაურებელი დეტალები

„მკვლელი მკვდარია, გულიც მოვიფხანე... მე აღვასრულე სამართალი იმიტომ, რომ ეს არ გააკეთა იმან, ვისაც ეს ევალებოდა“

EXCLUSIVE

რით დაემუქრა კოტე გოგელია თათბირზე თანამშრომლებს

EXCLUSIVE

თეონა გეგელია: „თუ გვინდა მოგცემთ ხელფასს და თუ გვინდა, არ მოგცემთო... იყო აბსოლუტურად ველური დამოკიდებულება“

როგორ იგეგმებოდა პატრიარქის „დაზიანება“ და მეუფის მკვლელობა

EXCLUSIVE

იუსტიციის მინისტრის განცხადება და სკანდალური მოწმის ექსკლუზიური ინტერვიუ „პრაიმტაიმში“

მეორე გასაღები არ არსებობს!

მარგველაშვილის ვეტო - ზემოქმედების რეალური მცდელობა თუ პოპულისტური ნაბიჯი

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პოლონეთში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დააჯილდოვეს

მზეკო ჟვანია

პოლონეთში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დააჯილდოვეს. მათ ჯილდო პოზნანის საერთაშორისო გამოფენა „თოურ შალონ 2014“-ზე, ყველაზე ეფექტური სტენდისა და გამოფენაში აქტიური მონაწილეობისთვის მიიღეს.

გამოფენის პრეზიდენტმა, ანდრეი ბირტმა ადმინისტრაციას სპეციალური სიგელი გადასცა.

„თოურ შალონ 2014“ 23-25 ოქტომბერს გაიმართა. ტურისტულ გამოფენაში 30-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობდა. გამოფენაზე საქართველოდან ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და 19 კომპანია იყო წარმოდგენილი.

3 დღის განმავლობაში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ საქართველოს სტენდთან ქართული ღვინო დაეგემოვნებინათ. გამოფენის მონაწილეებს საქართველოს შესახებ ბუკლეტები დაურიგდათ.

„თოურ შალონ 2014“-ის გახსნაზე პოლონეთში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ისაუბრა. კონფერენციაზე ტურიზმის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ნინო ნიჟარაძემ სტუმრებისთვის პრეზენტაცია „საქართველო - სიცოცხლის ქვეყანა“ მოაწყო.

აჭარის ტურიზმის დეპარტემენტის წარმომადგენელმა პოლონეთში, მიხეილ ჯანოვსკიმ აჭარის რეგიონის ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ ისაუბრა.

„პრაიმტაიმი“, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების საამმართველოს უფროს სპეციალისტ, ნინო ნიჟარაძეს ესაუბრა.

ნინო ნიჟარაძე: გამოფენის სახელწოდებაა „თოურ შალონ 2014“. პოლონეთში არის ტურისტული საერთაშორისო ბაზრობა, სადაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 200 კვადრატულ მეტრიან სტენდზე იყო წარდგენილი. ჩვენ თან გვახლდა 20 კომპანია. მათ შორის იყვნენ, როგორც ტურისტული კომპანიები ასევე სასტუმროები. გამოფენა 23 ოქტომბერს გაიხსნა, რომელიც უშუალოდ გამოფენის პრეზიდენტმა, ანდრეი ბირტმა გახსნა. ამ გრანდიოზულ ღონისძიებას პოლონეთის სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე საქართველოს ელჩი პოლონეთში, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი სიტყვით გამოვიდა. აღნიშნულ ღონისძიებაზე ყოველწლიური მონაწილეობისა და ერთ-ერთი ლამაზი სტენდისთვის გახსნის ცერემონიალზე ჯილდო გადმოგვცეს.

- თავად პოლონეთის ბაზარი რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის?

- თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პოლონეთი, სტატისტიკური მონაცემებით, შემომავალი ტურისტების მხრივ მეექვსე ადგილასაა და 2014 წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით პოლონეთიდან შემომავალმა ტურისტებმა 40 502 შეადგინა, პოლონეთის ბაზარი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 2013-2014 წლის შემომავალი ტურისტების პროცენტული მაჩვენებელი რომ შევადაროთ, 2014 წელს 36%-იანი ზრდაა.

- როგორც აღნიშნეთ მსგავსი ტიპის ღონისძიებები შემომავალ ტურისტთა ზრდას ხელს უწყობს. უშუალოდ ამ ღონისძიების შემდეგ რა მოლოდინები გაქვთ?

- საქართველო აღნიშნული გამოფენის პარტნიორი ქვეყანა იყო და ერთ-ერთი ლამაზი სტენდისთვის, როგორც უკვე გითხარით, ჯილდო გადმოგვეცა. 3 ოქტომბერს, გრანდიოზული გახსნის შემდეგ, საკონფერენციო დარბაზში საათნახევრიანი პრეზენტაცია გავმართეთ, სადაც დაახლოებით 100 სტუმარი გვყავდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 3 დღის განმავლობაში სტენდზე ქართული ღვინის დეგუსტაცია გვქონდა, ეს ღვინო იყო „მარანი“, რომელიც აქტიურად შედის და იყიდება პოლონეთის ბაზარზე. რაც შეეხება პოტენციურ ზრდას, რა თქმა უნდა, ველოდებით, რადგან პროცენტული მაჩვენებლებითაც, შემომავალი ტურისტების რაოდენობა ძალიან მზარდია. ჩვენ აღნიშნულ გამოფენაზე ყოველწლიურად ვმონაწილეობთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რაც სტატისტიკურ მონაცემებზეც აისახება.

- ჩვენს სტენდზე ღვინის გარდა კიდევ რა იყო წარმოდგენილი?

- ჩვენს სტენდზე ღვინის გარდა 20 კომპანიაა, რომელიც სტენდთან მოსულ ვიზიტორებს თავის სერვისს სთავაზობდა. ჩვენ ასევე გვქონდა სასაჩუქრე პაკეტები, რომლებსაც საპრომოციო მასალებთან ერთად ვარიგებდით.

- უცხოელი ტურისტებს საქართველოში ყველაზე მეტად რა აინტერესებთ?

ამ შემთხვევაში მოთხოვნა უფრო ზამთრის კურორტებზე იყო, კერძოდ გუდაურზე, ბაკურიანსა და მესტიაზე. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ძალიან დიდი მოთხოვნაა ზაფხულის კურორტებზეც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ იგეგმებოდა პატრიარქის „დაზიანება“ და მეუფის მკვლელობა

მარიამ ნადირაძე

ამას წინათ იუსტიციის მინისტრმა სკანდალური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ მან ერთ-ერთი მოწმისგან, გოდერძი ჯოლოხავასგან შეიტყო, როგორ იგეგმებოდა პატრიარქის დაზიანება და მეუფის მკვლელობა.

„პრაიმტაიმი“, ცხადია, ამ ფაქტით დაინტერესდა და მიუხედავად იმისა, რომ გოდერძი ჯოლოხავა დიდი ხანია უკვე პრესასთან აღარ ურთიერთობს, ინტერვიუზე მაინც დაგვთანხმდა.

შეგახსენებთ, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც ირმა ინაშვილმა თავის დროზე თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილს შეახვედრა. სწორედ გოდერძი ჯოლოხავა ყვებოდა იმის შესახებ, როგორ უსწორდებოდნენ პატიმრებს ციხეში, როგორ ამუშავებდა ბაჩანა ახალაია პატიმრებზე და რას ხლართავდნენ სასჯელაღსრულების სისტემაში საერთო პოლიტიკური ამინდის შესაქმნელად. მოგვიანებით გავრცელდა გოდერძი ჯოლოხავას სრულიად საპირისპირო ვიდეოჩვენება, რომელიც სათავისოდ გამოიყენა ბაჩანა ახალაიას დაცვამ. ბოლოს კი ეს მოწმე ისევ გამოჩნდა, რომელმაც განაცხადა, რომ მასზე ზეწოლა განახორციელა ახალაიას ადვოკატმა და გენერალმა გიგი კალანდაძემ. ის უკრაინაში გაამგზავრეს და აიძულებდნენ, იუსტიციის მინისტრისა და ირმა ინაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა.

ერთი სიტყვით, დღეს ის ჩვენი რესპონდენტია და სწორედ „პრაიმტაიმის“ მკითხველს უამბობს, რა შეიტყო მან ციხეში ბაჩანა ახალაიასგან და რას ნიშნავს პატრიარქის დაზიანება, ან მეუფის მკვლელობის დაგეგმვა.

გოდერძი ჯოლოხავა:

– ეს მოხდა 2011 წელს, მაისი იყო. ბაჩანა ახალაია მაშინ აღარ იყო სასჯელაღსრულების მინისტრი, მაგრამ ამას

მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის ამ სისტემას მაინც აკონტროლებდა, მიუხედავად იმისა, რისი მინისტრი იქნებოდა. მაშინ ადმინისტრაციის დავალებით ყინწვისის საქმეზე დაკავებულ ჯემალ გუნდიშვილთან შემიშვეს კამერაში. მავალებდნენ, რომ მასზე ზეწოლა მომეხდინა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის, სულ ერთი იყო – ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური. მთავარი იყო ის, რომ მას მიეცა ჩვენება, თითქოს მონასტერში იარაღი ჰქონდათ შენახული მონასტერში, რომ ეკლესია მათთან ერთად იყო შეთქმული, საპატრიარქოს დახმარებით აპირებდნენ გადატრიალებას, თავის ბრალდებაზეც უნდა მიეცა აღიარება და ყველაფერი ისე უნდა გაეკეთებინა, როგორც ეს მაშინდელ სისტემას აწყობდა. მე მეცოდებოდა გუნდიშვილი და ჩემი მხრივ სიტყვებს შუა ვახვედრებდი, რომ ჩემთან არ ესაუბრა. ვეუბნებოდი, შენ მაინც პოლიტპატიმარი ხარ, მე კი კრიმინალად ვითვლები და შეგიძლია სხვა საკანში გადასვლა მოითხოვო-მეთქი. მან მართლა დაუძახა ოფიცერს. მან კი უთხრა, შენი საქმე არ არის, ჩვენ ვის რომელ საკანში ჩავსვამთო. ასე თუ ისე, მივახვედრე რაღაცებს. თავიდან ჩვენ გარდა, კიდევ ერთი პატიმარი იყო, რომელიც რეჟიმის უფროსს, ოლეგ ფაცაციას ყველაფერზე დასთანხმდა.

– ამ ზეწოლაში იარაღის გამოყენებაც იგულისხმებოდა?

– კი, შეგვეძლო დანაც გამოგვეყენებინა. როცა ვიტყოდით, მაშინ მოგვახოდებდნენ, იმ პატიმარმა გუნდიშვილს გაარტყა კიდეც და ჯემალი ოთხი დღე საჭმელსაც არ ჭამდა. მერე მე გავედი ფაცაციასთან და ვუთხარი, ის ჩვენიანი არ არის, გატყუებს და გადაიყვანე. გუნდიშვილს მე მარტო მივხედავ-მეთქი. მართლაც ასე მოხდა. ერთხელ გამიყვანეს და დირექტორის კაბინეტში ამიყვანეს. იქ ახალაია დამხვდა. ხელი ჩამომართვა და მერე მკითხა, რატომ გვატყუებო. შენ აზრზე არ ხარ, სად ხარო. მერე ოლეგ ფაცაციას მიუბრუნდა, სერვანდიდან გამოიტანე კამერაო. ჩართო და მაყურებინა კაცების გაუპატიურებას, პატიმრების ოჯახის წევრების – ცოლის, დის გაუპატიურებას. მერე მითხრა, ეს ისინი არიან, ვინც ჩვენ მოგვატყუა, ამიტომ არ გირჩევ ასე მოქცევას და როგორც მეგრელს, ერთ შანსს კიდევ მოგცემო. თუ არ ხარ ამის გამკეთებელი, მაშინ შეეშვი და დავიშლებითო. მე შემეშინდა: ასეთი ინფორმაცია მქონდა, ასეთ რაღაცებს მავალებდნენ... მე რომ უარი მეთქვა, ესენი გამიშვებდნენ ცოცხალს? ჩიტივით კლავდნენ ხალხს და მე ვინ ვიყავი, საერთოდ...

– რა ჩაგითვალათ ტყუილში?

– რომ დავჰირდი, გუნდიშვილს ვათქმევინებ-მეთქი და ის ჩვენებას მაინც არ ცვლიდა. ეს კადრები რომ მანახა, მერე მკითხა, შენ რამდენი წელი გაქვს მისჯილი და რაზე ზიხარო? თითქოს არ იცოდა.

– რაზე იჯექით?

– თაღლითობაზე, თუმცა ეს კიდევ საუბრის სხვა თემაა. ადვოკატის საშუალება არ მაქვს, რომ გავასაჩივრო, თორემ ნახევარ საათში გამომიტანეს განაჩენი და ეს საერთოდ დასაშლელი საქმეა... მერე ახალაიამ მითხრა, შენი „სროკი“ რა არის, ისეთი ნლები გავატანეთ ხალხს, ვინც ერთგულად გვემსახურაო.

– რას გულისხმობდა?

– ახალაიამ მომიყვა, გახსოვს რუსთავის ზონაში აბანოში კაცი დენის დარტყმით რომ მოკვდაო? ეს ისტორია მახსოვდა და მიკვირდა, რადგან იქ დენი არ იყო. ახალაიამ მითხრა, ვინც ეს გააკეთა, ის კაცი ციხიდან გავუშვით. შენ რა, გგონია, ის პატიმარი მართლა დენის დარტყმით მოკვდაო? მერე მეუფე იობზე მითხრა, – ციხიდან ხალხი გავუშვით, მეუფე იობისთვის „ტორმუზები“ რომ გადაეჭრათო. აი, ასეთ ნდობაში ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ ის გადარჩა, ამ ხალხს მაინც იმხელა „სროკი“ გავატანეთ, შენი „სროკი“ იმასთან რა არისო. შენ კი გარწმუნებთ, როგორც კი ამ საქმეს მოაგვარებ, შენც რამე სასიკეთოს გაგიკეთებთო.

– უნდა მოგეკლათ გუნდიშვილი?

– საბოლოოდ, ალბათ, ამასაც დამავალებდნენ, მაგრამ ჯერ უნდა ეთქვა, რომ შეკრული იყო ბურჯანაძესთანაც, საპატრიარქოსთანაც, რუსეთთანაც, გადატრიალების შემდეგ საქართველო ექვსი თვე უნდა ყოფილიყო საპატრიარქოს მმართველობის ქვეშ, პრეზიდენტის გარეშე. ამის მერე კი, ალბათ, გაასაღებდნენ. ახალაიასთან შეხვედრის შემდეგ საკანში დავბრუნდი. ორი დღის შემდეგ ფაცაციას ვუთხარი, ეს ეკლესიური ამბავია, არ მინდა ამაში გარევა, სხვაგან გადამიყვანე და რაც გინდა, ის დამავალე-მეთქი. მართლაც გადამიყვანეს მერაბ ყოლბაიასთან, იგივე კოჭოიასთან. ამერიკის საელჩოს აფეთქების მცდელობაზე რომ იყო დაჭერილი. მისი სასამართლო პროცესი იწყებოდა. პირველ ინსტანციაში აღიარება ჰქონდა მიცემული წამების შედეგად. მერე გადათქვა და ახლა ამ შემთხვევაშიც იგივეს მთხოვდნენ, როგორმე მიმეღწია მისგან აღიარებითი ჩვენებისთვის.

– სხვათა შორის, ჩვენ ვესაუბრეთ ჯემალ გუნდიშვილს და თქვენს შესახებ კითხვა დავუსვით. გვითხრა, რომ თქვენ იყავით ჩვეულებრივი „ნასედკა“, რომელსაც დიდი მხარდაჭერა გქონდათ ადმინისტრაციისგან. ნებისმიერ დროს შეგეძლოთ გასვლა და ყოველთვის გქონდათ ის, რასაც მოისურვებდით. მისივე თქმით, ამას ის კარგად ხვდებოდა. ამიტომაც ერთხელ მოგატყუათ, რის გამოც, თქვენ მაგრად გცემეს. მერე კი მას უსაყვედურეთ, ტყუილი რატომ მითხარიო. ის ამბობს, რომ თქვენ ყველა განცხადებას თქვენი გამორჩენის მიზნით აკეთებთ...

– გუნდიშვილი დღეს მადლობას უნდა მეუბნებოდეს იმისთვის, რომ ცოცხალია. სამართალი ზემოდანაა... მე არ ვმალავ, რომ ადმინისტრაციისგან მხარდაჭერა მქონდა. ნებისმიერ დროს გავდიოდი და რაც მინდოდა, მაძლევდნენ.

– კოჭოიასგან თუ მიიღებდით აღიარებით ჩვენებას, მერე გაგიშვებდნენ?

– ალბათ, საქმე ის არის, რომ ამ აღიარების შემდეგ, ისე მოკვდებოდნენ ესენი, ექსპერტიც ვერაფერს დაადასტურებდა. მე კი დიდ კარს გამიღებდნენ და გამომიშვებდნენ. კოჭოიასთან თითქმის 11 თვე ვიყავი და ამ კაცს ტერაქტზე კი არა, „დრუჟბაზე“, ტრაქტორსა და თავის ეზოკარზე მეტად სხვა არაფერზე ულაპარაკია. რომ მოვატყუებდი ადმინისტრაციას, ამ პროცესზე მისცემს აღიარებით ჩვენებას-მეთქი, ის მიდიოდა და ისევ ძველ ჩვენებას ამბობდა. სხვათა შორის, როდესაც მე იმ საკანში გადამიყვანეს, კოჭოია „რეზბალნიცაზე“ ჰყავდათ. მითხრეს, „მასტერკა“ გაიკეთაო. ეს იცით, რას ნიშნავს? პასტის გულით ნერწყვი შეჰყავთ ფეხში. ორგანიზმი ჩირქდება და ეს ჩირქი გულამდე ადის.

– თავს იკლავდა?

– კი. გადაურჩა ფეხის მოჭრას და დაბრუნდა საკანში. მისგან ვიცი, რომ დაკავებულს მიბჯენით რვა ტყვია ესროლეს ფეხში, შემდეგ კი მოაწყვეს გაქცევის ინსცენირება, თითქოს მაშინ დაჭრეს. პროცესზე კი პროკურორი ჭრილობაზე კალამს ურჭობდა თურმე. ამიტომაც მიუცია აღიარებითი ჩვენება. კოჭოიასთან რომ გადამიყვანეს და ის მაინც რომ არ ცვლიდა ჩვენებას, დირექტორის ოთახში ისევ მომაკითხა ბაჩანა ახალაიამ. მას ამჯერად მეგის ქარდავა ახლდა. პასუხი მომთხოვეს, რატომ არ ცვლის ჩვენებასო. ახლა შეცვლის-მეთქი. ის იყო კოჭოია პროცესზე ნაიყვანეს, რომელიც რადიოში მოვისმინე, რომ გადაიდო. შემოვიდნენ და გამიყვანეს. თითქოს ვიღაც ვცემე. ჯერ მაგრად მცემეს. მერე კი ძიძველი შემიყვანეს კარცერში. მერე კარცერიდან გამიყვანეს. ოთახში შემიყვანეს. დავით საყვარელიძე იყო მოსული, ვიღაც უცხო ამოსულ მამაკაცებთან ერთად. ამ გველის ამბავია, კოჭოია ჩვენებას რომ არ ცვლისო. მაშინაც მაგრად მცემეს. ნაქცეულს კი თვითონ ჩამარტყა სახეში ფეხი. – შე გველო, ჯერ სად ხარ, არ იცი, რა მოგელისო. გადამიყვანეს უცხო საკანში. იქ „ლარიოკი“ დამიკეტეს. მთელი დღე ცალ ფეხზე დგომას მაიძულებდნენ. მარტო მე კი არა, სხვებსაც ასე ექცეოდნენ. ეტყობა, სადამსჯელო საკანი ჰქონდათ. სულზე მომისწრო ხელისუფლების ცვლამ. ციხიდან რომ გამოვედი, გადავწყვიტე, ვინმე ისეთი მენახა, რომელიც მთავარ პროკურორთან მიმიყვანდა. ამიტომ შევარჩიე ირმა ინაშვილი. მისთვისაც კი არ მითქვამს, რა მქონდა კბილაშვილისთვის და წულუკიანისთვის სათქმელი.

– რატომ გადაწყვიტეთ, რომ ეს ყველაფერი გეთქვათ?

– რთული იყო ამ ინფორმაციების ტარება. სხვათა შორის, თვის დასაცავად, ციხეშიც კი გავავრცელე ინფორმაცია, თითქოს ყველაფერი დავწერე, ფეხსაცმლის ქუსლში ჩავდე და ისე გავაგზავნე გარეთ. თუ რამე დამემართება, გარეთ მაინც იციან, რასაც მავალებდით-მეთქი. ეს ერთგვარი თავის დაზღვევა იყო ჩემი მხრიდან...

– გოდერძი, შემდეგი ისტორია, ჩვენთვის ცნობილია. ვიცით, როგორ მოხვდით წულუკიანთან და კბილაშვილთან, მერე კი თქვენ უკვე გააკეთეთ განცხადება იმის თაობაზე, რომ გიგი კალანდაძე დაგემუქრათ შვილით და ძმისშვილით და ამიტომაც მიეცით ვიდეოჩვენება ბაჩანა ახალაიას სასარგებლოდ... დღეს ნანობთ, რომ ალაპარაკდით?

– ვნანობ. ვინაიდან ახალი სატკივარი გავუჩინე ოჯახს. ახლაც წინააღმდეგები იყვნენ, თქვენ რომ გაძლევთ ინტერვიუს. მე მშვიდად მინდა ცხოვრება და მინდა ყველაფერი დავივიწყო, რაც გამოვიარე. არ მეძლევა ჩემს ოჯახთან მშვიდად ცხოვრების საშუალება. ამდენი ხანია, გარეთ ვარ და სამუშაოზეც კი არსად მიღებენ. აღარ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე და როგორ უნდა ვარჩინო ოჯახი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

მირიან ბოქოლიშვილი

„სულხან მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, – ამ სახელწოდებით საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო 10 წლის განმავლობაში იხილავდა. რამდენიმე დღის წინ კი საბოლოო ვერდიქტიც გამოქვეყნდა. გადაწყვეტილების გამოცხადებას წინ უძღოდა მხარეთა შორის მორიგება, რითაც საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ევროკონვენციის არაერთი მუხლის დარღვევა. ხელისუფლებამ ასევე აიღო ვალდებულება, რომ საფუძვლიანად გამოიძიებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სულხან მოლაშვილის წამების ფაქტს და ზიანის ანაზღაურების სახით უახლოეს სამ თვეში 20 ათას ევროს გადაუხდის.

იურისტები განმარტავენ, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილს სულხან მოლაშვილის საქმეზე ბრალი წარედგინოს. ამ პოზიციას იზიარებს თავად სულხან მოლაშვილიც, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ნების შემთხვევაში, სააკაშვილის ბრალეულობის დადასტურება ძნელი არ იქნება. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი ბრალდებებს სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებსაც უყენებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ გადადგომისკენ მოუწოდებს.

გთავაზობთ ინტერვიუს სულხან მოლაშვილთან:

– ამ გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სულხან მოლაშვილის მიმართ დაარღვია ევროპული კონვენციის 4 ძირითადი მუხლი, ესენია: წამება და არაადამიანური მოპყრობა. ამ ნაწილში ევროსასამართლომ დაავალა საქართველოს ხელისუფლებას, საქმე გამოიძიოს და დაადგინოს ობიექტური ჭეშმარიტება. ასევე, დადასტურდა, რომ ჩემი დაკავება და ნინასწარი პატიმრობა იყო უკანონო. დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგან მაშინდელი მაღალჩინოსნები – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, გამუდმებით იმეორებდნენ მოსაზრებას, რომ თითქოს მე ვიყავი დამნაშავე და ვიმხილებოდა კორუფციულ გარიგებებში. სააკაშვილმა ნაციონალური ტელეარხებით გამოსვლისას ორჯერ დამდო ბრალი და დამემუქრა, რომ ის ციხიდან არაფრის ფასად არ გამიშვებდა, რაც ჩაითვალა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად, ისევე როგორც კოტე კუბლაშვილის განცხადება, რომელიც გაზეთ ხვალინდელი დღის 2005 წლის 21 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში აცხადებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად დასაბუთებულია, მოწმეები იძლევიან სწორ ჩვენებასო. რა თქმა უნდა, ამან იქონია გავლენა შემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებებზე. როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წინასწარ ეუბნება მოსამართლეებს, რომლებსაც უნდა განეხილათ ჩემი საქმე, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი განაჩენი დასაბუთებულია და მას წყალი არ გაუვა, ეს უკვე ნიშნავს პირდაპირ მითითებას, რაც ევროსასამართლომ მიიჩნია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. ერთი მხრივ, ეს არის მოსამართლეების საქმიანობაში ჩარევა, მეორე მხრივ, მოსამართლეების დამოუკიდებლობის შეზღუდვა და რაც მთავარია, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, რაც არის საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება. კონსტიტუციის დარღვევა, ისეთი თანამდებობის პირის მიერ, როგორიც არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ამ უკანასკნელის იმპიჩმენტის საფუძველი ხდება.

– ანუ შესაძლებლად მიიჩნევთ პარლამენტის მიერ კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის პროცედურების წამოწყებას?

– ყველა ნორმალურად მოაზროვნე იურისტი გეტყვით, რომ, თუკი მოსამართლემ დაარღვია კონსტიტუცია, ეს ხდება მისი იმპიჩმენტის საფუძველი. იმის მიუხედავად, დადგება თუ არა ეს პროცედურა დღის წესრიგში საქართველოს პარლამენტში, არსებობს მორალური პასუხისმგებლობა. როდესაც ევროპის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი სასამართლო ადგენს ამ ნორმის დარღვევას, ცოტა სინდისმა უნდა შეაწუხოს და იმპიჩმენტის პროცედურას კი არ უნდა დაელოდოს, არამედ საკუთარი ნებით გადადგეს თანამდებობიდან.

– თუმცა იმპიჩმენტი რომ დაიწყოს პარლამენტმა, ეს დროში მაინც გაიწელება... თებერვალში კი კოტე კუბლაშვილს ისედაც ეწურება უფლებამოსილების ვადა...

– თანამდებობაზე ყოფნის ერთი დღეც რომ ჰქონდეს დარჩენილი, საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს მისი გადადგომა. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ კუბლაშვილი თურმე 10 წლის წინაც არღვევდა კონსტიტუციას, თან ეს ხდებოდა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის მიმართ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ვითარება იქნებოდა იმ ადამიანების საქმეებთან დაკავშირებით, რომელსაც არ მოჰყოლია რეზონანსი?! სწორედ ამიტომ არის საჭირო საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, რათა კოტე კუბლაშვილმა იგრძნოს მორალური პასუხისმგებლობა და დატოვოს თანამდებობა. მით უმეტეს ასეთი პრეცედენტები არსებობს ცივილიზებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. როდესაც მთავარი პროკურორის, ფარცხალაძის მიმართ გამოჩნდა მაკომპრომეტირებელი მასალები, იმ კაცმა თავი დახარა და წავიდა სახლში. როცა ასეთ დროს გაჯიქდები და არ მიდიხარ, ეს ნიშნავს, რომ სკამს ებღაუჭები.

ევროსასამართლომ, ასევე დაადასტურა მე-14 მუხლის დარღვევა, რაც

სულხან მოლაშვილი: „სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ კუბლაშვილი არღვევდა კონსტიტუციას... სწორედ ამიტომ არის საჭირო საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, რათა მან იგრძნოს მორალური პასუხისმგებლობა და დატოვოს თანამდებობა“

EXCLUSIVE

კოტე კუბლაშვილი თანამდებობას ვადაზე ადრე დატოვებს?!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მზად ვარ, დავდო სათანადო მტკიცებულებები, რომ პროკურატურის ბევრი მაღალჩინოსანი ასრულებდა პოლიტიკურ შეკვეთას. პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, ეს პირები მარტივად დაასახელებენ, რომ ამ პოლიტიკური შეკვეთის ავტორი იყო პირადად მიხეილ სააკაშვილი“

ასევე უპრეცედენტო შემთხვევაა. საუბარია პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე. ეს ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი არსებობის მანძილზე დაკავებული იყო ადამიანების პოლიტიკური დევნით, მათი წამებითა და განადგურებით. ამ გზით გაიტანა თავი 9 წლის განმავლობაში.

– ამ გადაწყვეტილებით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ გამოიძიებს თქვენი წამების საქმეს... გვახსოვს თქვენი ინტერვიუები, სადაც წამებაში ბრალს სდებდით კონკრეტულ მაღალჩინოსნებს, მათ შორის ასახელებდით გიგა ბოკერიას. ფიქრობთ, რომ შესაძლოა მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს?

– საქმე უკვე აღძრულია. მე ვადასტურებ იგივეს, რასაც ვამბობდი წინა ინტერვიუებში. ყველა ამ პირის მიმართ ვინარჩუნებ ანალოგიურ მოსაზრებას. იმედი მაქვს დღევანდელი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსი. საბედნიეროდ, დღეს გვყავს ძალიან კარგი მთავარი პროკურორი და შს მინისტრი. მხოლოდ ამ ორ ადამიანს ვხედავ, რომლებიც რეალურად უჭერენ მხარს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ნაციონალური საშინელებების წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთოდ არ მიყვარს თანამდებობის პირების ქება, მაგრამ სწორედ ეს ორი პერსონა მიჩენს იმედს, რომ ამ საქმის გამოძიება ბოლომდე მივა.

– რამდენად რეალურია, რომ სტრასბურის სასამართლოს ვერდიქტის საფუძველზე ბრალი წაუყენონ მიხეილ სააკაშვილს?

– თუკი იქნება ამ მიმართულებით მუშაობა, მზად ვარ, დავდო სათანადო მტკიცებულებები, რომ პროკურატურის ბევრი მაღალჩინოსანი ასრულებდა პოლიტიკურ შეკვეთას. პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, ეს პირები მარტივად დაასახელებენ, რომ ამ პოლიტიკური შეკვეთის ავტორი იყო პირადად მიხეილ სააკაშვილი.

– ფიქრობთ, რომ ევროსასამართლოს ეს გადაწყვეტილება არის თქვენი სამართლებრივი რეაბილიტაცია?

– რა თქმა უნდა.

– ამის შემდეგ ხომ არ აპირებთ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას?

– ვნახოთ. ეს ხვალინდელი დღის საკითხია. მთავარია, რომ მე ვრჩები ჩემი ქვეყნის ერთგულ პატრიოტად და გულშემატკივრად.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
მეოთხე სექცია
გადაწყვეტილება
საჩივარი №39726/04

სულხან მოლაშვილი
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია) 2014 წლის 30 სექტემბერს, კომიტეტის სხდომაზე, რომელიც გაიმართა შემდეგი შემადგენლობით:

ლეილი ბიანკუ – *თავმჯდომარე*
პ�el მაპონი,
კრეიშტოფ ეოიტინეკი – *მოსამართლეები*
და დატის არანი – *სექციის რეგისტრატორის მოადგილე*

გაითვალისწინა რა 2004 წლის 27 ოქტომბერს შემოსული საჩივარი,

გაითვალისწინა მოპასუხე მთავრობის მიერ 2014 წლის 11 მარტს წარმოდგენილ... თხოვნა ზემოაღნიშნული საჩივრის საქმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ... აგრეთვე მომჩივნის პასუხი მთავრობის აღნიშნულ პოზიციასთან დაკავშირებ... საქმის მასალების განხილვის საფუძველზე მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტები

1. მომჩივანი, ბ-ნი სულხან მოლაშვილი, საქართველოს მო... დაბადებული 1969 წელს, მცხოვრები თბილისში. სასამართლოში... ინტერესებს წარმოადგენდა თბილისში მოქმედი ადვოკატი ი.ბარათაშვილი.
2. საქართველოს მთავრობის (შემდგომში – „მთავრობა“) ინტერეს... წარმოდგენილი იქნა მისი აგენტის, ბ-ნი ლ.მესხორაძის მეშ... საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

მთავრობა კისრულობს ვალდებულებას, ჩაატაროს მომჩივანის წამების ფაქტების სრულყოფილი გამოძიება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

მთავრობა სათანადო წესით აღიარებს, რომ მომჩივანს, ბატონ მოლაშვილს ექნება უფლება, სურვილის შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს სისხლის სამართლის თავდაპირველი საქმის გადასინჯვა მის მიმართ შერაცხული დანაშაულების ხელახალი გადაწყვეტის მიზნით.

ზემოაღნიშნულისა და მომჩივანის საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა აცხადებს, რომ ის მზად არის, მომჩივანს, ბატონ მოლაშვილს გადაუხადოს 20 ათასი ევრო მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე, ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად. ხსენებული თანხის კონვერტაცია ქართულ ლარებში მოხდება გადახდის დღეს მოქმედი გადაცვლის კურსით, ნებისმიერი მოქმედი გადასახადის გარეშე. თანხის გადახდა მოხდება ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში“.

ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესრულებას მონიტორინგს ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტი გაუწევს. ამის შესახებ გადაწყვეტილების დასკვნით ნაწილშია საუბარი, სადაც წერია:

„ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს შემთხვევა არსებითად უნდა განვიხილოთ, როგორც მხარეთა შორის მშვიდობიანი მორიგება. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს ამ მშვიდობიანი მორიგების პირობებს, რითაც მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის მიერ მომჩივნის უფლებების აღიარებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვოს საქმის გადასინჯვა, აგრეთვე, მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებას 2004 წლის 22-23 აპრილის ღამეს მომხდარი ინციდენტის სრულყოფილად გამოძიების თაობაზე.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მშვიდობიანი მორიგების პირობების განხორციელებაზე ზედამხედველობა ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის პრეროგატივაა. ევროპული სასამართლო კმაყოფილია იმით, რომ მორიგება ეფუძნება კონვენციით და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემას და მიიჩნევს, რომ აღარ არსებობს საჩივრის განხილვის შემდგომი საფუძველი“.

„სააკაშვილმა ნაციონალური ტელეარხებით გამოსვლისას ორჯერ დამდო ბრალი და დამემუქრა, რომ ის ციხიდან არაფრის ფასად არ გამიშვებდა“



სტრასბურგის გადაწყვეტილებაში ასახულია მოპასუხე მხარის, ანუ საქართველოს სახელმწიფოს საბოლოო პოზიცია, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენდა. თეა წულუკიანის უწყებამ ევროსასამართლოში თითქმის მთლიანად დააკმაყოფილა სულხან მოლაშვილის პრეტენზიები, აღიარა ევროკონვენციის მთელი რიგი მუხლების დარღვევა და იკისრა შესაბამისი ვალდებულებებიც, კერძოდ:

„საქართველოს მთავრობა მზად არის, აღიაროს, რომ ადგილი ჰქონდა მომჩივანის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლით, მე-5 მუხლის 1(გ) ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებითა და მე-3 პუნქტის ბ), გ) და დ) ქვეპუნქტებით, ასევე მე-14 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეორე გასაღები

მარგველაშვილის ვეტო

ზემოქმედების რეალური მცდელობა თუ პოპულისტური ნაბიჯი

ქეთი ხატიაშვილი

სინამდვილეში არსად, ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაში არც სასამართლო და, მით უფრო, არც მობილური ოპერატორები ეგრეთწოდებულ გასაღებს – პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებას – არ ფლობენ. ყველა ქვეყნისთვის ეს ნონსენსია, პირველ რიგში, სწორედ ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე. უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე გამოწვევები საკმაოდ მკაცრია იმისთვის, რომ კანონი ლიბერალური გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია ყველა ქვეყანას ავალდებულებს, პატივი სცეს ადამიანის უფლებას ჰქონდეს პირადი სამოქმედო სივრცე, როგორც აღმოჩნდა, ადამიანზე მაღლა სახელმწიფოს უსაფრთხოება დადგა. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე გამოწვევებმა კიდევ უფრო შეავიწროვა ადამიანის უფლებები და უკვე ტერორიზმის საფრთხე გახდა კიდევ ერთი დამატებითი მოტივი ძალოვნებისთვის, ჩაერთონ ადამიანების პირად საიდუმლო სატელეფონო საუბრებში.

გერმანია ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სატელეფონო მოსმენების ისეთი სისტემა შექმნა, რომელიც ევროპულმა სასამართლომ დადებითად შეაფასა, სხვა ქვეყნების მიმართ კითხვის ნიშნები არსებობს. ყველას თავისებური სისტემა აქვს, ზოგს რთული, ზოგს კიდევ უფრო რთული, თუმცა მთავარი ერთია – ეგრეთწოდებული გასაღები ძალოვან უწყებებს აქვთ. სამაგიეროდ, არსებობს სპეციალურად შექმნილი ინსტიტუტები, რომლებსაც ფარული მოსმენების პროცესის გაკონტროლების უფლება აქვთ. ბრიტანეთში ეს ინსპექტორის ინსტიტუტია, გერმანიაში – ზედამხედველობის კომიტეტი... ეს ინსტიტუტები, როგორც წესი, ვერტიკალზე იმყოფებიან და არა მის გარეთ, უბრალოდ, აქვთ გარკვეული სახის უფლებები. მაგალითად, მათ უფლება აქვთ, გადაამოწმონ რამდენად კანონიერად მიმდინარეობს ამა თუ იმ პირის სატელეფონო მოსმენა.

ევროპაშიც და ამერიკაშიც ტერორიზმის საფრთხის მოტივით კანონმდებლობა კიდევ უფრო მკაცრი გახდა, ამერიკაში, განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ, ძალოვანმა უწყებებმა სერიოზული უფლებები მოიპოვეს. მაშინ იქ ხშირად ისმოდა კითხვა: და რა უფრო მნიშვნელოვანია – ქვეყნის უსაფრთხოება და ტერორიზმთან ბრძოლა თუ ადამიანის უფლება, აწარმოოს საიდუმლო სატელეფონო საუბრები?

ამ დეტალებში ახლა აღარ ჩავალთ, ამ პარალელით უბრალოდ იმის დემონსტრირება გვსურდა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანა არ არის, სადაც განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, ადამიანის უფლებები დაიცვან. თუმცა, ისინი ყველგან სახელმწიფოს ინტერესებსა და უსაფრთხოების თემას აწყდებიან.

მართლაც არ შეიძლება, რომ მობილური ოპერატორები ან სასამართლო გასაღებს ფლობდეს. მობილურმა ოპერატორებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს, მათ უარი თქვეს ამ პროცესში ჩართვაზე. მათი არგუმენტი გასაგებია – არ სურთ, თავის თავზე მძიმე პასუხისმგებლობა აიღონ – ინფორმაციის გაჟონვის შემთხვევაში კომპანიების მფლობელებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, ამის გარდა, ისინი ტექნიკურადაც, როგორც ამბობენ, მზად არ არიან.

რაც შეეხება სასამართლოს, მას საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია, თუმცა, ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკიდან თუ გამოვალთ, ასეთი ფუნქცია მათ არ ეკისრებათ...

რაც შეეხება სასამართლოს, მას საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია, თუმცა, ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკიდან თუ გამოვალთ, ასეთი ფუნქცია მათ არ ეკისრებათ...

ამ ფონზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფარული მოსმენების მომგებიან თემაზე ყველა შეეცადა საკუთარი რეიტინგის ან პოლიტიკური ქულების აპრეფას. გამონაკლისი არც პრეზიდენტი აღმოჩნდა...

მოტივიც და არგუმენტიც მარტივი და ნათელია – ისევ და ისევ ქვეყნის უსაფრთხოება.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მინდია ჯანელიძის განმარტებით:

– ჩვენს ქვეყანას უამრავი გამოწვევა აქვს უსაფრთხოების კუთხით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. საუბარი იმის შესახებ, რომ ე.წ. გასაღებები, ანუ მიერთების სისტემა იყოს მობილური ოპერატორების ხელში, რომლებიც წარმოადგენენ უცხოურ კომპანიებს, მიმაჩნია უდიდესი რისკის შემცველად. ჩვენ არ ვიცით კომპანიების შიდა რეგულაციები; არ ვიცით, როგორ შეიძლება იყოს დაცული სახელმწიფო საიდუმლოება; არ ვიცით, როგორ იქნება დაცული უსაფრთხოება და ა.შ. მთელი რიგი კითხვებია ამასთან დაკავშირებით, რომლებზე პასუხებსაც თავად ოპერატორებიც ვერ გვცემენ. ოპერატორების აბსოლუტური უმრავლესობა წინააღმდეგია იმისა, რომ ე.წ. გასაღები იყოს მათ ხელში. ეს საკითხი მოითხოვს დამატებით მსჯელობას, ანალიზსა და გადაწყვეტას... ბალანსი უნდა იყოს დაცული და გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვა, თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს სახელმწიფო უსაფრთხოების ხარჯზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი არ არსებობს!

ყველას თავისებური სისტემა აქვს, ზოგს რთული, ზოგს კიდევ უფრო რთული, თუმცა მთავარი ერთია – ეგრეთწოდებული გასაღები ძალოვან უწყებებს აქვთ

ექსპერტ ლევან ალაფიშვილის შეფასებითაც, სასამართლო არ შეიძლება ჩართული იყოს აღსრულების პროცესში. მისი განმარტებით, სასამართლოს ვერ ექნება გასაღები. ის, როგორც მართლმსაჯულების ორგანო, უნდა მონაწილეობდეს სანქციის გაცემის პროცესში და არა მის აღსრულებაში...

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მეორე გასაღების სასამართლოსთვის ან მობილური ოპერატორებისთვის გადაცემა დიდი შეცდომაა. შესაძლოა, ეს პოპულარულად ჟღერს, მაგრამ არარეალურია, თეორიაში უტოპიური ქვეყნებიც არსებობენ.

ლევან ალაფიშვილის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, ჩვენც ორიენტაცია ავიღოთ ისეთი სტრუქტურის შექმნაზე რომელიც იგივე ბრიტანეთის ან გერმანიის მსგავსად ამ პროცესს გააკონტროლებს.

ახალი სტრუქტურა, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღებას გულისხმობს, საქართველოს კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებულია. ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ამ ინსტიტუტს უფლებები უნდა გაუფართოვდეს.

ამ ფონზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფარული მოსმენების მომგებიან თემაზე ყველა შეეცადა საკუთარი რეიტინგის ან პოლიტიკური ქულების აკრეფას. გამონაკლისი არც პრეზიდენტი აღმოჩნდა.

შედარებისთვის, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ხელი მოაწერა კანონს მოწმის დაკითხვის წესის გადავადების შესახებ, ამ კანონის არსი შესაძლოა, იმდენად გასაგები არ იყო ხალხისთვის, ფარული მოსმენების მიმართ კი მოსახლეობა გაცილებით სენსიტიურია, შესაბამისად, მან პირველს ხელი მოაწერა და მეორეს ვეტო დაადო.

მარგველაშვილმა, როგორც ჩანს, თემის აქტუალურობას გაუწია ანგარიში, ამიტომაც ვეტო გამოიყენა. მერე უკვე ცოტა თუ გაერკვა რეალურ ვითარებაში. მაგალითად, იმაში, რომ პრეზიდენტმა შსს-ს ეგრეთწოდებული გასაღები დაუტოვა (ოღონდ ერთი თვით, განსხვავებით პარლამენტისგან, რომელმაც ეს ვადა სამი თვით გაზარდა), ან იმაში, რომ პრეზიდენტის შენიშვნის თანახმად, კანონი 1-ელ დეკემბრამდე უნდა მიიღონ, თუმცა, კანონმდებლებს შეუძლიათ მისი ამოქმედების ვადა გადაწიონ. და მაშინ დავით საგანელიძეს ლოგიკური კითხვა გაუჩნდა: და თუკი შემიძლია, კანონის ამოქმედების ვადა გადავწიო, მაშინ რატომ იყო მნიშვნელოვანი ამ პროექტის 1-ელ დეკემბრამდე ნაჩქარევად და მოუმზადებლად მიღება?

დავით საგანელიძე:

– ვეტომ, ერთი მხრივ, გამაკვირვა. მეორე მხრივ, ის, რომ მხოლოდ ვადასთან დაკავშირებით აქვს ბატონ პრეზიდენტს შენიშვნა... ჩვენ გუშინ თებერვლის ბოლომდე მოვითხოვეთ ვადის გადაწევა და პრეზიდენტი ამბობს, რომ 1-ელ დეკემბრამდე მივიღოთ ეს კანონი. გამიკვირდა იმ მხრივაც, რომ სამი დღის წინ შეხვდა პრეზიდენტი ხმალაძესა და შავგულიძეს და შესაძლებელი იყო, ეს თარიღი კანონის მიღებამდე გაჟღერებულიყო და, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დღეს გავიგეთ... მეორე – ჩვენ ვამბობდით, რომ ამ კანონის იდეალურამდე მისაახლოებლად ბევრი სამუშაოა კიდევ ჩასატარებელი და დეკემბერში იმართება კონფერენცია, რომელიც ევროგაერთიანების ქვეყნებს საშუალებას მისცემს, სინქრონში მოიყვანოს მთლიანად ეს კანონმდებლობა და ევროპამ გარკვეული რეგულაციები დააწესოს. და ჩვენ გვინდოდა, რომ მათი რეგულაციები, რჩევები და რეკომენდაციები მოგვესმინა და შეიძლება ჩვენც ჩავრთულიყავით ამაში... კი, ბატონო, 1-ელ დეკემბრამდე ჩვენ მივიღებთ კანონს, რომელშიც შესაძლებელია გაიპაროს გარკვეული ხარვეზები. მეორე მხრივ, გაუთვალისწინებელი დაგვრჩეს იმ კონფერენციის შედეგები, რომელიც დეკემბერში იგეგმება, ამიტომ ამ კანონს ავამოქმედებთ არა 1-ლი დეკემბრიდან, არამედ მომავალი წლის რაღაც გონივრულ ვადაში, ეს იქნება 1-ლი მარტი, აპრილი თუ ა.შ. და ვიტოვებთ უფლებას, რომ ამ არამოქმედებულ კანონში მერე შევიდეს კიდევ გარკვეული ცვლილებები და ამ კანონში გარკვეული დახვეწა მოვახდინოთ. ეს იქნება, ალბათ, ერთადერთი სწორი გზა.

პოლიტიკურ მოტივები

საპრეზიდენტო ვეტო, რომელიც შესაძლოა, ახალი პოლიტიკური კონფიგურაციის საწყისი გახდეს და პოლიტიკა, რომელიც ახლა ლეგოს თამაშს ჰგავს და გამოცდილ ექსპერტებსაც კი უჭირთ, ზუსტად განსაზღვრონ, როგორ ფორმას მიიღებს ქართული კოალიცია ან ოპოზიცია 2016 წლამდე.

სააკაშვილმა თუ საკუთარი 9-წლიანი საპრეზიდენტო ვადა ერთადერთი გამოყენებული ვეტოთი დაასრულა – როცა მან ვეტო დაადო ეგრეთწოდებული პოლიტპატიმრების ვადამდელ განთავისუფლებას – მარგველაშვილმა, ზოგიერთების ვარაუდით, შეიძლება პარასკევის ვეტოთი პოლიტიკური კარიერა დაიწყოს...

ყველაფერი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონპროექტით არ დაწყებულა, პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის გარკვეული დაპირისპირებები და დაძაბულობები ადრეც იყო, თუმცა, ვეტომ – ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი თავდაყირა დააყენა – მაგრამ გასაგები გახადა რომ: პოლიტიკური პროცესი აღარ იქნება ისეთი მარტივი როგორიც ადრე იყო და მეორე, შესაძლოა, პოლიტიკის ჰორიზონტზე ახალი ძალა გამოჩნდეს.

ისინი, ვისთვისაც ვეტო ათვლის წერტილია, მიიჩნევენ, რომ სულ მალე ოპოზიციურ ფლანგში ახალი კოალიცია შეიქმნება და გიორგი მარგველაშვილი ჩაუდგება მას სათავეში. ამ ვერსიის მომხრეები, როგორც ჩანს, პრეზიდენტს გარკვეულ მესიანისტურ ფუნქციებს აკისრებენ.

პოლიტიკური მესიანისტების აზრით, მომავალში მოვლენები ასე განვითარდება: პრეზიდენტი ოპოზიციურ ძალებს ჩაუდგება სათავეში, მწვავედ დაუპირისპირდება ხელისუფლებას, შეცვლის პარლამენტში უმრავლესობას, უმრავლესობა – მთავრობას და ასე ერთ დღეს ყველა ბედნიერი გაიღვიძებს.

მეორე მხრივ, რიგი ექსპერტების განმარტებით, რაც არ უნდა უცხო იყოს ეს ჩვენთვის, ფაქტია, რომ დემოკრატია – ეს სწორედ მუდმივი კომპრომისების ძიებაა, სახელისუფლო შტოებს მხრიდან მუდმივი ძალების დემონსტრირებაა, მით უფრო, ისეთ ქვეყნებში როგორიც საქართველოა. ასე რომ, ასეთი გადაძახილ-გადმოძახილები შესაძლოა, პრობლემას აფიქსირებს მაგრამ ეს არ ნიშნავს მწვავე დაპირისპირებასა და განხეთქილებას, ან პრეზიდენტის სურვილს, ოპოზიციაში გადავიდეს.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის მმართველობის დროს წარმოუდგენელი იყო პრეზიდენტს ან პარლამენტის თავმჯდომარეს ერთმანეთთან რაიმე ტიპის დისკუსია ჰქონოდათ. ერთი იტყოდა და დანარჩენები ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ მიღებული გადაწყვეტილება დაეცვათ, ახლა სხვა რეალობაა – სახელისუფლებო შტოები ვალდებულები არიან, ერთმანეთის ინტერესებს, გავლენებსა და მოსაზრებებს ანგარიში გაუწიონ და ისინი შეაჯერონ.

ღია განცხადებებშიც კი არ გადადის ეს პროცესი ლანძღვისა და დაპირისპირების ტონალობაში. მარგველაშვილი აცხადებს, რომ ის საპრეზიდენტო ინსტიტუტს იცავს და ყოველთვის დაიცავს დემოკრატიულ პროცესებს. პრემიერი კი, თავს მხრივ, ამბობს, რომ პრეზიდენტის მიმართ პრეტენზიები არ აქვს:

– მე პირადი პრეტენზია მარგველაშვილის მიმართ არ მაქვს, არც არასდროს მქონია და არც მექნება. პირადზე არასდროს არ უნდა დავიყვანოთ პოლიტიკა. საუბარი გვაქვს ქვეყნის მართვაზე, ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე. როდესაც საუბარია, მსგავსი ტიპის ფორმატებზე, ყოველთვის მზად ვარ მასში მონაწილეობა მივიღო. ასევე, უნდა იყოს მზად პრეზიდენტი მარგველაშვილი, კონსულტაციებს გადიიოდეს მთავრობასთან, პარლამენტთან...

30 ოქტომბერს პარლამენტმა 65 ხმით დაამტკიცა კანონპროექტი, რომლითაც ე.წ. გასაღები შსს-ში 28 თებერვლამდე დარჩება, ხოლო დღეს პრეზიდენტმა ამ კანონს ვეტო დაადო და პარლამენტს შეთავაზა ამ ვადის მხოლოდ 1 დეკემბრამდე გადაწევა, ნაცვლად 1 ნოემბრისა, რასაც აქამდე არსებული კანონი ითვალისწინებდა. ვეტოს დაძლევის საკითხზე პარლამენტი, სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის ბოლო განცხადებები, რაც დავით ბერძენიშვილმა გააკეთა, ძალიან სახიფათოა სახელმწიფოსთვის

ქეთი ხატიაშვილი

ირაკლი ალასანია ასეთია: პოლიტიკაში შემოსვლაც ძალიან გააჭიანურა და მაშინ გამოჩნდა, როცა ყველას ან მოთმინების ფიალა აევსო ან სულაც აზარტი დაეკარგა და ახლაც, თავდაცვის სამინისტროში აგორებულ სკანდალზეც, რეაქცია ძალიან დააგვიანა. არც ვიზიტი შეწყვიტა და არც კომენტარი გააკეთა. ამასობაში კი მაღალჩინოსნები შესყიდვების თემაზე არა მხოლოდ აიყვანეს, ორთვიანი პატიმრობაც შეუფარდეს. თავდაცვის მინისტრს, როგორც ჩანს, არ ეგონა, თუ პროცესები ასე შორს წავიდოდა. როგორც მინიშნებები კეთდება, ალასანიამ შაბათს გამართულ პოლიტიკურ საბჭოზე კიდევ ერთხელ სცადა, პოლიტიკური პარტნიორები დაერწმუნებინა, რომ დაკავებული სამხედრო მაღალჩინოსნები გამოძიებას არ დაემალებიან და ღიად ითანამშრომლებენ. ანუ, როგორც ჩანს, მან დაკავებულების გამოშვება ითხოვა. რა მიიღო პასუხად? ღია კომენტარებში ჩვენ მოვისმინეთ ასეთი ფრაზა: გამოძიებაში ვერავინ ჩაერევა...

ამ ფონზე საინტერესოა პარტიის მიერ შაბათს დაგეგმილი ყრილობის ბედიც. რამდენად შესაძლებელია, რომ მაღალჩინოსნების დაპატიმრებამ ალასანიას პოლიტიკურ გეგმებზეც იმოქმედოს? დღეს რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რას გადაწყვეტს პოლიტიკური გუნდი – დაელოდება გამოძიების შედეგებს თუ დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად იმოქმედებს.

თუმცა მოვლენები სხვაგვარადაც შეიძლება განვითარდეს და შაბათს, გამთენიისას, გერმანიიდან დაბრუნებულმა თავდაცვის მინისტრმა ღია მინიშნებები ჯერ კიდევ აეროპორტში გააკეთა:

„მთავარი, რაზეც ახლა კონცენტრირებული უნდა ვიყოთ ყველა და საზოგადოება, არის ის, რომ ყველა შეკითხვას გაეცეს პასუხი. ამას ჭირდება, რა თქმა უნდა, გამჭვირვალე გამოძიება. დარწმუნებული ვარ, ჩემი თანამებრძოლებისა და ჩემი თანამშრომლების სრულ უდანაშაულობაში, რადგან, ბუნებრივია, მე ვაკვირდებოდი შესყიდვების პროცესებსაც და ვიცი, რომ ყველაფერი კანონთან სრულ შესაბამისობაში კეთდებოდა. თუმცა, რადგან შეკითხვები გაუჩნდა ვიღაცას, ამას უნდა გაეცეს პასუხი და მთელი თავდაცვის სამინისტრო მოწადინებულია, რომ ითანამშრომლოს გამოძიებასთან და საზოგადოებამდე მივიდეს სრული ჭეშმარიტება.

ჩემთვის, რაზეც ახლა ვარ კონცენტრირებული, გავერკვე საქმის ვითარებაში, ყველა დეტალი შევისწავლო, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ბიჭებმა თავი იგრძნონ დაცულად, სამართლებრივად და ამიტომ, რა თქმა უნდა, მთელ ყურადღებას გადავიტან იქითკენ, რომ მათ არ იგრძნონ თავი დაჩაგრულად. სამწუხაროდ, ამის ელემენტები და წინაპირობები უკვე ჩანს, ისე წარიმართა პროცესი, დახურულად.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნას ამ საქმეს, იმიტომ რომ უსაფრთხოების კუთხით დიდი დარტყმა მიიღო ქვეყანამ ამ ნაბიჯით. აქედან გამომდინარე, იმ მომენტების საიდუმლოდ შენახვას, რაც თავის დროზე აუცილებელი იყო, რომ საიდუმლო ყოფილიყო, ახლა მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ, სრული ჭეშმარიტების დადგენისთვის მთავარია, გამოძიება ღიად და გახსნილად წარიმართოს. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვინაიდან ამით ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას მიადგა ზიანი, რა თქმა უნდა, უნდა შედგეს უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე დისკუსიები ამასთან დაკავშირებით. მე დაგეგმილი მაქვს საქართველოს მთავრობის წევრებთან შეხვედრა, პრემიერ-მინისტრთან, ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტთან ვგეგმავ შეხვედრას, პარლამენტის თავმჯდომარესთან, შესაბამის საპარლამენტო კომიტეტებთანაც. ბუნებრივია, როდესაც ყველაფერი დასრულდება, ჩვენ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ და პასუხისმგებლობა დადგება უკვე იმ პირების, ვინც შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება.

„არ მინდა დავიჯერო, რომ ვინმემ სპეციალურად, ალასანია რომ გაფრინდა, მაშინ გამოიტანა ეს საკითხი საჯაროდ“

გამოძიებას არავინ და არაფერი წინ არ უნდა აღუდგეს, სრული ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს. აქვს თუ არა ამას პოლიტიკური სარჩული, მოგვიანებით ვილაპარაკებთ“.

თუ დილით ის უფრო პრინციპული და აგრესიულიც კი ჩანდა, უკვე პოლიტსაბჭოს შემდეგ მან დუმილის უფლებით ისარგებლა და დამატებითი კომენტარები არ გააკეთა.

აეროპორტში შემტევი ხასიათის განცხადებამ ბევრს აფიქრებინა, რომ მინისტრი საკუთარი სამინისტროს ღირსების დასაცავად პოსტსაც დატოვებდა და ოპოზიციაშიც გადავიდოდა, თუმცა, მაგალითად, ნაციონალები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მინისტრს გამბედაობა არ ეყოფოდა. მან ხომ ერთადერთხელ გარისკა და ისიც იმიტომ, რომ ეგონა, 2008 წლის ომი სააკაშვილსაც გადაიყოლებდა.

ალასანია ერთხელ უკვე გადადგა. ეს 2008 წლის ომის შემდეგ მოხდა კერძოდ კი 4 დეკემბერს, მან მაშინ გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობა სამწლიანი მუშაობის შემდეგ დატოვა. მაშინ მინისტრმა სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა და ამ მოტივით დიპლომატიური სამსახური დატოვა.

მძაფრი მიზეზი მას ახლაც სჭირდება. არა მხოლოდ მიზეზი სჭირდება, არამედ იმის შეგრძნებაც, რომ „ქართული ოცნება“ ძალაუფლებას კარგავს და კრიზისის ფაზაში გადადის. მხოლოდ აღძრული საქმის გაპროტესტება, სავარაუდოდ, ვერც საბაბი გახდება და ვერც არგუმენტი.

ასე რომ, გადადგომის შემთხვევაში მას მკვეთრი და რადიკალური განცხადება უნდა გაეკეთებინა და ეთქვა, რომ პროდასავლური პოლიტიკის გატარებაში ხელი შეუშალეს. თავდაცვის მინისტრი იტყოდა, რომ ის მიუღებელი გახდა და რკალიც მის გარშემო ამიტომ შევიწროვდა. რომ ის ძლიერი და ყველაზე რეიტინგულია და რომ ვიღაცებმა ეს ვერ გადაიტანეს... ნაციონალები მიიჩნევენ, რომ ალასანია ასეთ რისკზე არასოდეს წავა. ბუნებით ის ხომ კონფორმისტია. ამაზე უკვე ექსპერტებიც თანხმდებიან. მის ამ თვისებაზე „პრაიმტაიმთან“ საუბარში ხათუნა ლაგაზიძემაც ისაუბრა.

ასე რომ, ალასანია დაელოდება. მორალურად მინისტრი თითქმის ყველამ გაამხნევა. მეტიც, დავით უსუფაშვილმა მას მეგობარი და თანამებრძოლი უწოდა. თუმცა, „ალიანსის“ დაშლის შედეგ მათ ერთმანეთის დანახვაც არ სურდათ. მაგრამ ქართულ პოლიტიკაში ზიზღიც და სიყვარულიც პირობითი ცნებებია. ასეა თუ ისე, პარლამენტის თავმჯდომარემ პროკურატურაც გააფრთხილა და საქმის პოლიტიკურ მოტივებზეც მიანიშნა, როცა თქვა:

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მოითხოვა ალასანიამ პოლიტიკურ საბჭოზე და რა სახიფათო განცხადებებს აკეთებენ რესპუბლიკელები

„მთავარი, რაზეც ახლა კონცენტრირებული უნდა ვიყოთ ყველა და საზოგადოება, არის ის, რომ ყველა შეკითხვას გაეცეს პასუხი“

– ...მე არ მივიჩნევ, რომ ყოველთვის საპატიმრო ზომაა გამოსაყენებელი, როდესაც ბრალს წაუყენებენ, ესეც არ არის ჩემი საქმე – მოსამართლისა და პროკურორის გადასაწყვეტია, მთავარია, რომ ამ პირთა უფლებები იყოს დაცული და სამართლიანი სასამართლო შედგეს, ამით კი ავიცილოთ უფრო მეტი ზიანი. უფრო მეტი ზიანი იქნება, თუკი ეს რაიმე ფორმით პოლიტიკურ ელფერს შეიძენს და დავინახავთ იმას, რისი დანახვაც არ მინდა, რომ აქ ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს... როდესაც დილით აფრინდა თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავი და ის საფრანგეთსა და გერმანიაში ნატო-ს საკითხებზე კოლეგებთან შეხვედრაზეა, ჩემი აზრით, არ არის ეს სწორი საქციელი, რომ ამ ვითარებაში ბერლინში ან პარიზში მინისტრმა პირველ ნიუსად, მისი თანამშრომლების დაკავების შესახებ შეიტყოს. პროკურორს მე ვერ ვეტყვი, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ ის როდესაც ებრძვის კორუფციას, ისიც უნდა იცოდეს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ დააზიანოს. არ მინდა დავიჯერო, რომ ვინმემ სპეციალურად, ალასანია რომ გაფრინდა, მაშინ გამოიტანა ეს საკითხი საჯაროდ. რომ გავითვალისწინოთ ამ ტიპის საკითხები და თავიდან ავიცილოთ ზედმეტი აჟიოტაჟები, რა თქმა უნდა, სწორი და კარგი იქნება...

ერთხელ უკვე გააჟღერეს რესპუბლიკელებმა დავით ბერძენიშვილის პირით, რომ ალასანიასა და რესპუბლიკელებს თურმე შიგნიდან, ანუ კოალიციიდან ებრძვიან... დავითმა მაგალითად „პრაიმტაიმიც“ მოიყვანა. მოგვიანებით, ამ თემაზე განმარტებები ვეღარ მივიღეთ. როგორც ჩანს, უფრო მარტივია, ხელი მედიას შეაწმინდო, ვიდრე რამეში საკუთარი სისუსტე ან ნაკლი, შეცდომა ან არასწორი ნაბიჯი იპოვო. ეს თემა იქით იყოს, თუმცა, რესპუბლიკელების ბოლოდროინდელ განცხადებებში სახიფათო „ნოტებს“ ექსპერტებიც ამჩნევენ.

ლევან ალაფიშვილის შეფასებით, იგივე დავით ბერძენიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები თვითმმართველობასთან დაკავშირებით სახიფათო და რისკის შემცველია სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით.

– ის ბოლო განცხადებები, რაც დავით ბერძენიშვილმა გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ თვითმმართველობების საქმიანობაში ძალოვნები აქტიურად ერევიან, ძალიან სახიფათოა, ჩვენ ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს, სწორედ ამ მიმართულებით განვავითაროთ სისტემა სამი წლის განმავლობაში, ასე რომ, თუკი ამ თემაზე ქმედითი და ადეკვატური რეაგირება არ იქნება, ჩვენ ეს ძალიან დაგვაზარალებს.

ალაფიშვილის მოსაზრებით, როგორც ალასანია, ისე რესპუბლიკელები ასეთი დაპირისპირების მიუხედავად, კოალიციის დატოვებას კი არ ცდილობენ, არამედ შიგნით გავლენების გაფართოებას.

თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ რესპუბლიკელები და ალასანია ოპოზიციაში ნაციონალებს ჩაანაცვლებენ.

ამასობაში ოპოზიციამ ირაკლი ალასანიას ძველი ცოდვები გაუხსენა. სოციალურ ქსელებში აქტიურად გაიხსენეს გენშტაბის უფროსი გიგი კალანდაძე. მაგალითად, **გიორგი ონიანი** წერდა:

„ბატონო ირაკლი დღეს მოვისმინე თქვენი განცხადება და ბევრი კითხვა გამიჩნდა, თქვენ ის ადამიანი არ ხართ, ორი წლის წინათ გენშტაბის უფროსი გიგი კალანდაძე თქვენს თვალწინ საპირფარეშოში რომ დააკავებინეთ? (ყველა ბრალდებაში გამართლდა) ვერც მიხვდით, რომ სწორედ მანდ დასრულდა თქვენი თავდაცვის მინისტრობა, თქვენ არ იყავით თავდაცვის ყოფილ მინისტრს უამრავ დანაშაულში სდებდით ბრალს, მათ შორის 300 მილიონის მოპარვაში, ესეც ტყუილი აღმოჩნდა. თქვენ ის თავდაცვის მინისტრი არ ბრძანდებით, ერთხელაც რომ არ დაინტერესებულხართ ბრიგადის მეთაურის, 2008 წლის ომში ყელში დაჭრილი ზურა შამათავასა და დაზვერვის ასეულის უფროსი სერჟანტის ალექსანდრე გორგაძის, რომლებიც წელიწადია ციხეში სხედან გაუგებარი ბრალდებით, არც მათი და არც მათი ოჯახების ბედით, იქნებ რამხელა შვება ყოფილიყო მათთვის მცირენლოვანი ბავშვები მაინც რომ მოგენახულებინათ. ასევე მინისტრი ბრძანდებოდით მაშინ როდესაც მე, ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი ონიანს, ღამე სახლში შემომივარდნენ, ოჯახი ამიწიოკეს, 3, 4 წლის შვილები შემიშინეს, ჩხრეკა ჩაატარეს, რომელიც ორივე ინსტანციის სასამართლომ უკანონოდ ცნო და დღემდე ამ ბრალდებით დამაწონიალებენ სასამართლოში.

ასე რომ, დინების საწინააღმდეგოდ მხოლოდ კალმახები დაცურავენ, თქვენ კი უფრო იმ ღორჯოებს ჰგავხართ, მდორე გუბეს რომ ეძებენ და საერთოდ არ აინტერესებთ მთელ მდინარეში მიმდინარე ორომტრიალი. ასე რომ, დარჩით იქ, სადაც ხართ, გააგრძელეთ მონური მორჩილებით მსახური და იყავით თქვენს ამპლუაში, სამწუხაროდ, კაცობრიობა არ იცნობს თქვენ ასაკში ადამიანების და მათი ღირებულებების კარდინალურ ცვლილებებს, ნუ დაკარგავთ თქვენს ადგილს“.

ასე რომ, წინ საინტერესო პოლიტიკური მოვლენები გველის. თუმცა, როგორც ერთხელ ზვიად გამსახურდიამ თქვა: ისე არ წვიმს, როგორც ქუხს...



„უფრო მეტი ზიანი იქნება, თუკი ეს რაიმე ფორმით პოლიტიკურ ელფერს შეიძენს და დავინახავთ იმას, რისი დანახვაც არ გვინდა, რომ აქ ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს...“

ყოფილი პროკურორი მაია მწარიაშვილი ზურაბ

„თუ საჭირო გახდება, ყველა საგამოძიებო მოქმედებას მხარს დავუჭერთ“

მარიამ ნადირაძე

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებული 15 ნოემბრის აქციის მოახლოებასთან ერთად, უკვე საგრძნობი ხდება, რომ პოლიტიკური ტემპერატურაც მაღლა იწევს. სწორედ ამ კონტექსტში აღიქვა საზოგადოებამ ის ფაქტიც, რომ ორი დღის წინ პრემიერ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმემ კვლავ წინა პლანზე გადმოინაცვლა.

სწორედ ამიტომაც, გასულ კვირას გადაცემა „განსხვავებული აქცენტების“ მოლოდინი საკმაოდ მაღალი იყო. მით უმეტეს, თუ მისი ანონსის ტექსტს გავითვალისწინებდით:

„ზურაბ ჟვანიას საქმეში არსებული დოკუმენტები, რომელიც „განსხვავებულმა აქცენტებმა“ მოიპოვა, ნათელს ჰფენს აქამდე პასუხგაუცემელ კითხვებს – ვინ არის ჰაკიმ-ფაშა და როგორ აღმოჩნდა მის ხელში საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ფოტომასალა.

დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ღარიბაშვილს ფოტოები შს მინისტრობის დროს უნდა ჰქონოდა ნანახი.

უკავშირდება თუ არა მთავარი პროკურორის თანამდებობიდან წასვლა ჟვანიას საქმეს, რა გადაწყვეტილება მიიღო კბილაშვილმა ჟვანიას საქმეზე გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე.

პირველად „განსხვავებულ აქცენტებში“ ზურაბ ჟვანიას საქმეზე ექსპერტიზის დასკვნა.

არის თუ არა ექსპერტი ლევან ჩაჩუა ღარიბაშვილის პირადი პატიმარი.

9 წელი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან. ახალი ფაქტები, დღემდე უცნობი დოკუმენტები და ვიდეომასალა, რომელსაც მაყურებელი პირველად ნახავს... როგორ ყალიბდება ყველას თვალწინ გამოძიება“

ამ თემებს, რასაც თეზისებად გვთავაზობდნენ, რა თქმა უნდა, ქვემოთ შემოთავაზებულ სტატიაში კვლავაც დავუბრუნდებით.

მანამდე კი იმას მოგახსენებთ, რომ დაანონსებულმა საქმემ და თანაც მისი ინიციატორების განსაზღვრამ, წარმოშვა ბუნებრივი ეჭვი, რომ პროკურატურა სკანდალური დასკვნისთვის სწორედ ნოემბრის აქციებისთვის ემზადებოდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი მას დაასწრო მხოლოდ ერთი მიზნით – აღარ ჩამდგარიყო თავის მართლების რეჟიმში. უფრო მეტიც, ამ რეჟიმში თვითონ დღევანდელი ხელისუფლება ჩაეყენებინა.

გავრცელებული ვიდეომასალით, რაც საზოგადოებამ შაბათ ღამით იხილა, გადაცემის ავტორმა ძირითადად რამდენიმე აქცენტი გამოკვეთა: ის, რომ ირაკლი ღარიბაშვილს თავად უნდა ჰქონოდა ნანახი ის კადრები, რაც მოგვიანებით ჰაკიმ ფაშას სახელით გავრცელდა სოციალურ ქსელში, რომ ექსპერტი ლევან ჩაჩუა უდანაშაულო პატიმარია, რომ კბილაშვილი ჟვანიას საქმეს მხოლოდ იმიტომ გადაჰყვა, რომ თითქოს მის ობიექტურ გამოძიებაში ხელს უშლიდნენ, ის კი დაადასტურებდა, საქმის ძველ ვერსიას და რაც ყველაზე მთავარია: გაისმა მუქარა, რომ პროცესზე, სადაც ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტენ პრემიერის დაცვის ყოფილი ნევრების, ხარშილაძისა და ძაძამიას დამნაშავეობის, თუ უდანაშაულობის საკითხს, გაიშიფრება ფედერალური ბიუროს დასკვნის ის ნაწილი, რასაც თურმე დელიკატურობის გამო, საკუთარი იმიჯის ხარჯზე ძველი ხელისუფლება მალავდა.

მაშ ასე, მივყვეთ ქრონოლოგიას:

ის საიდუმლო დოკუმენტი, რომლის გასაჯაროებასაც წამყვანი აანონსებდა, საქმის მასალებიდან ერთ-ერთია, რომელიც გამოძიების დასრულების დროს მხარეს გადაეცემა ხოლმე. ვინაიდან გადაცემა ექსპერტს დიდ მხარდაჭერას აღუთქვამდა, რთულად განსასაზღვრი სულაც არ არის, როგორ შეიძლებოდა გასაჯაროებულიყო პრემიერის გაკვეთის ფოტომასალა. ეს მასალა არა მარტო გამოძიებას, არამედ ჩაჩუას ადვოკატებსაც უნდა ჰქონდეთ.

თუ ვინმეს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ლევან ჩაჩუას არაფერი დაუმალავს, აქვე ერთ დეტალს შეგახსენებთ: ექსპერტიზაში, რომლის დასკვნასაც ლევან ჩაჩუა აწერდა ხელს, არის ერთი ნაწილი, მიკროსკოპული გამოკვლევა, რომელიც ჩატარებულია პათანატომების მიერ. უფრო ზუსტად კი ჟვანიას მიკროსკოპული გამოკვლევას აწერენ ხელს პათანატომები, რაულ უსუპოვზე იგივე კვლევა კი ჩაატარა სამხარაულის საექსპერტო ბიუროს ჰისტოლოგმა. ჟვანიას გამოკვლევაში წერია, რომ მაგარი გარსის ქვეშ აღინიშნება სისხლჩაქცევა, ანუ თავისუფალი ერითროციტები არის მაგარი გარსის ქვეშ. დიაგნოზში კი ეს გამოტანილი არ არის და არც შეფასებულია. ასე რომ, თავად იმ ექსპერტიზაში, რომლის გამოც ექსპერტი ლევან ჩაჩუა ამჟამად განსასჯელის სკამზე ზის, არის მინიმუმ ერთი ადგილი მაინც, რომელსაც მან ყურადღება შეგნებულად, თუ შეუგნებლად არ მიაქცია.

„ეს ყველაფერი „ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ 15 ნოემბერს აქციაზე მეტი ხალხი მიიყვანოს“

კვლავ აქტუალური ხდება პრემიერისა და ქვემო ქართლის გუბერნატორის ექსჰუმაციის საკითხიც. მხარე, რომელიც ცდილობს, გავრცელოს ინფორმაცია, თითქოს ამ საკითხმა პროკურატურაშიც კი განხეთქილება გამოიწვია, რასაც მთავარი პროკურორის სკამიც კი შეეწირა, გვიამბობს, რომ გასული წლის ნოემბერში შვეიცარიის ლაბორატორიასთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა თბილისის პროკურორი, მაია მწარიაშვილი, რომელიც ვადაზე ადრე გამოიძახეს. 6 დღეში გადადგა მთავარი პროკურორი. იგივე გადაწყვეტილება მიიღო მაია მწარიაშვილმა. ეს ინფორმაცია კი ვრცელდება პროკურატურის პრესსამსახურის ყოფილი უფროსის, ხათუნა პაიჭაძის განცხადებაზე დაყრდნობით.

„პრაიმტაიმი“ მათ დაუკავშირდა და სწორედ ჩვენს მკითხველს ვუამბობთ, რას აცხადებენ ისინი ამ სკანდალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

მაია მწარიაშვილი, თბილისის ყოფილი პროკურორი: „ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ ატრიალეს ტელევიზიით ჩემი ფოტოები. ვერც ინფორმაციის შინაარსს მივხვდი.

– მართლა იყავით შვეიცარიაში წასული?

– მე წავედი იმ დროს, როცა უნდა წავსულიყავი და გავაკეთე ყველაფერი, რაც უნდა გამეკეთებინა.

– მართლა ადრე დაბრუნდით?

– ცოტა ადრე მართლაც მომიწია დაბრუნება, თუმცა ეს არაფერ კავშირში არ არის არც საქმესთან და მით უმეტეს არც ჩემს გადადგომასთან. მეტს ვერაფერს გეტყვით და ნურც დამისვამთ სხვა რამე კითხვას, ვინაიდან გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და სხვა ვერაფერზე ვერ გავაკეთებ კომენტარს.

ხათუნა პაიჭაძე:

– არანაირი განცხადება არ გამიკეთებია ამის შესახებ. ჩემთვის არც ერთ ჟურნალისტს არ მოუმართავს ამ კითხვით და მით უმეტეს ეკა კვესიტაძეს. უბრალოდ, ახლა ვხვდები, საიდან შეიძლებოდათ მოეტანათ ეს ინფორმაცია.

– თუ შეგიძლიათ, ჩვენც რომ გვითხრათ...

– მაშინ, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ჟვანიას საქმეზე გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და ექსჰუმაცია ჩატარდებაო, „ფეისბუკის“ თავის გვერდზე მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის ყოფილმა უფროსმა თავისი აზრი გამოხატა, რომ ინტენსიური გამოძიება კბილაშვილის პროკურორობის დროსაც მიდიოდა და ექსჰუმაციის საკითხი

იაშარ უსუპოვი: „გამოძიება დასკვნას მალე დადებს. ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლო გაფართხალებაა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟვანიას საქმეზე პირველ განცხადებას აკეთებს

კბილაშვილის პრესმდივანი ხათუნა პაიჭაძე ეკა კვესიტაძეს უჩივლებს?

სწორედ მაშინ დადგა. ამ პოზიციას მეც გამოვეხმაურე და დავადასტურე. იქვე აღვნიშნე, რომ ამ საკითხზე შვეიცარიაშიც იყვნენ წასულები და ადრე მოუხდათ დაბრუნება.

– რატომ მოუხდათ ადრე დაბრუნება?

– ეს უკვე აღარ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ კბილაშვილი გადადგა და იგივე გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა მაია მწარიაშვილიც. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა.

– თუ იმიტომ, რომ შვეიცარიაში მიიღეს უარი, ან ის გუნდი სხვანაირად ფიქრობდა?

– არა. სიმართლე გითხრათ, მიზეზი არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ ეს საკადრო ცვლილების გამო მოხდა.

– გინდათ თქვათ, რომ „რუსთავი 2“-მა „ფეისბუკის“ გვერდზე გამოტანილი თქვენი მოსაზრება გამოიყენა ოფიციალურ განცხადებად?

– როგორც ჩანს, ასეა და სანამ არ ვუჩივლებ, მგონი, არ მომეშვებიან.

თუმცა პროკურატურა ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრების ექსჰუმაციაზე სულ რაღაც ერთი თვის წინაც ავრცელებდა განცხადებას. ფაქტია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, როდის ჩატარდება ექსპერტიზა.

როგორც ცნობილია, ამ პროცესში საერთაშორისო ექსპერტები ჩაერთვებიან. პროკურატურის განმარტებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპერტების ვინაობა არ სახელდება.

„სასამართლო-სამედიცინო დარგში საერთაშორისო დონის ექსპერტებთან ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს. რაც შეეხება კონკრეტულ ვადებს, თუ როდის ჩატარდება ექსჰუმაცია, სამწუხაროდ, ამ ვადას ვერ დავასახელებ. ჩვენთვის ოჯახის პოზიცია ცალსახად ცნობილია. მათი მხრიდან ადგილი აქვს გამოძიებისთვის ხელის შეწყობას“, – აცხადებდა საქმის პროკურორი.

ზურაბ ჟვანიას ძმის გოგლა ჟვანიას ინფორმაციით, ოჯახის წევრები ექსჰუმაციის ჩატარების მომხრეები არიან.

„თუ საჭირო გახდება, ყველა საგამოძიებო მოქმედებას მხარს დავუჭერთ“, – განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

დაახლოებით ერთი თვის წინ გოგლა ჟვანიამ „პრაიმტაიმთან ინტერვიუში ისიც განაცხადა, რომ გამოძიება დასკვნას ამ წლის ბოლომდე გააკეთებს. წლის ბოლომდე კი სულ რაღაც ორი თვე რჩება.

მოდით, ვნახოთ, რა პოზიციაზეა რაულ უსუპოვის მამა, იაშარ უსუპოვი:

– ეს ყველაფერი „ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ 15 ნოემბერს აქციაზე მეტი ხალხი მიიყვანოს. ისევ ძველებურად, ტყუილებით მოქმედებენ. არ ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება. რაც ახლა მოვისმინე, 9 წლის განმავლობაში მესმოდა. ამიტომ არაფერი მიკვირს. მათ კარგად იციან, რომ ეს მათი ბოლო გაფართხალებაა, სულ ეს არის.

– ჟვანიას დაცვის წევრების ადვოკატი აცხადებს, რომ პროცესზე გამოაქვეყნებს ფედერალური ბიუროს დასკვნის იმ ნაწილს, რომელსაც ძველი ხელისუფლება საიდუმლოდ ინახავდა მისი დელიკატური შინაარსის გამო...

– რა უნდა გამოაქვეყნონ? ამ ხალხს ნამუსი საერთოდ არ აქვს. ამაზე რა, პირველად საუბრობენ? არც ეს არის ახალი. მათ სხვა გზა არ დარჩენიათ, რომ ასეთ ბინძურ მეთოდებს მიმართონ. სხვანაირად სააკაშვილს ვერ შველიან. ეს არაფერს შეცვლის, რადგან გამოძიება რეალურ დასკვნას ძალიან მალე დადებს.

– მაინც როდის ელოდებით ამას?

– მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს ძალიან მალე მოხდება.

მაია მწარიაშვილი:
„მე წავედი იმ დროს, როცა უნდა წავსულიყავი და გავაკეთე ყველაფერი, რაც უნდა გამეკეთებინა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რით დაემუქრა კოტე გოგელი

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ერთი უკმაყოფილების გამო სამსახურს და მით უფრო, „მაესტროს“ არავინ დატოვებს“

„მაესტროზე“ სკანდალი გრძელდება. თეა სიჭინავასა და ვახო სანაიას შემდეგ არხი სამმა ჟურნალისტმა დატოვა. „სუბიექტური აზრის“ წამყვანებს, თეონა გეგელიასა და დიანა ტრაპაიძეს შემცვლელები არხმა უმოკლეს დროში მოუძებნა. რაც შეეხება საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტს, მაკა ცინცაძეს, მისი ადგილი კვლავ ვაკანტურია. ყოფილი თანამშრომლები დეტალებზე არ საუბრობენ. აცხადებენ, რომ არ სურთ „ნაგავში ქექვა“. ერთადერთი, რასაც აცხადებენ, არის ის, რომ ჟურნალისტები უვიცი და უცოდინარი მფლობელებისგან დაცვას საჭიროებენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „მაესტროს“ ყოფილი ჟურნალისტები დაცვას კოტე გოგელიასგან ითხოვენ. ცნობილი გახდა, რომ გოგელიამ „გაფართოებული“ თათბირი ტელევიზიაში წინა კვირაში ჩაატარა და ჟურნალისტების საბოლოო გადაწყვეტილებაც სწორედ ამ თათბირმა დააჩქარა. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ტელევიზიაში ჟურნალისტებს ორი თვის ხელფასი არ აქვთ აღებული. მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, გოგელიამ მათ „გამოფხიზლება“ ურჩია და სამსახურების გარეშე დატოვებით დაემუქრა... თათბირიდან გამოსული თანამშრომლები დაბნეულები იყვნენ, რადგან უკმაყოფილების გამოსახატავად თავად იყვნენ მომზადებულები, სანაცვლოდ კი ხელმძღვანელობის რისხვა დაიმსახურეს. უმრავლესობამ ჩათვალა, რომ კოტე გოგელიას ტონი და სიტყვები არასწორად იყო შერჩეული.

ზუსტად ამ თათბირის შემდეგ დაწერეს განცხადებები ერთმანეთის მიყოლებით ჯერ თეონა გეგელიამ და მოგვიანებით დიანა ტრაპაიძემ. თეონას განცხადებით, არც ერთ მათგანს არ სურდა ტელევიზიის დატოვება, თუმცა აიძულეს...

„კოტე გოგელიასთან თათბირი შიდაკორპორაციულ თემებს ეხებოდა, ხოლო რაიმე ტიპის საკადრო დანაკარგს, საინფორმაციო სამსახური არ ადასტურებს“

თეონა გეგელია, „მაესტროს“ ყოფილი თანამშრომელი:

– რაც მოხდა და რაც მინდოდა რომ მეთქვა, დავწერე facebook-ზე, ამაზე მეტი და ამის გარდა, მართალი გითხრათ, არც ვიცი. ვიცი, რომ ბოლოს მთელი თვის განმავლობაში ისეთი გაუსაძლისი პირობები შეგვიქმნეს, რომ ნამოსვლა გვაიძულეს. ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი.

– გაუსაძლის პირობებში პოლიტიკურ თემას გულისხმობთ?

– არ ვიცი, ეს რა იყო, მაგრამ ვიცი, რომ ეს ადამიანი, ვინც ტელევიზიას მართავდა, იყო აბსოლუტურად არაკომპეტენტური მენეჯერი. საერთოდ, ტელევიზია გაურკვევლად იმართებოდა, რამაც შექმნა კიდეც ბოლოს კატასტროფული ვითარება და ეს იმით დამთავრდა, რომ ნამოსვლა გვაიძულეს. ხან გადაცემის ფორმატს ცვლიდნენ ისე, როგორც თავად უნდოდათ; ხან ამბობდნენ, რომ კვირაში ერთხელ უნდა გასულიყო გადაცემა ეთერში; ხან ამბობდნენ, რომ ყოველდღიური უნდა გამხდარიყო; ხან ამბობდნენ; თუ გვინდა; მოგცემთ ხელფასს და თუ გვინდა; არ მოგცემთო. იყო აბსოლუტურად ველური დამოკიდებულება. ამიტომ წამოვედით, თავად არხის ხელმძღვანელობას რომ არ ეთქვა, ჩვენ აზრზე არ ვართ, რატომ წავიდნენო, facebook-ზე რაც დავწერე, იმასაც არ დავწერდი. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, ისედაც ძალიან განვიცდი ამ ამბავს.

– ნინო ჟიჟილაშვილის განცხადებას როგორ შეაფასებთ?

– ვერაფერს გეტყვით, ნინო ჟიჟილაშვილმა თქვა, მე ვრჩები არხზეო. ეს უმჯობესია, თავად ნინოს ჰკითხოთ.

– ჟიჟილაშვილმა განაცხადა, რომ არხს არანაირი დანაკარგი არ განუცდია ჟურნალისტების წასვლით...

– მე რატომ მეკითხებით ამას? მე საინფორმაციოსთან შეხება არ მქონია საერთოდ არანაირი, გარდა იმისა, რომ სულ რამდენჯერმე ჩავერთე უცხოეთის მიმოხილვაში.

– შემოთავაზება თუ მიიღეთ უკვე?

– არ მაქვს ჯერჯერობით არაფერი დაგეგმილი. ვნახოთ, რა იქნება.

რაც შეეხება დიანა ტრაპაიძეს, ის კომენტარისგან თავს იკავებს. აცხადებს, რომ „მაესტროში“ ბევრი მისი მეგობარი დარჩა და, შესაბამისად, მათზე საუბარი არასწორად მიაჩნია. თუმცა არამეგობრული იყო ნინო ჟიჟილაშვილის განცხადება ყოფილი თანამშრომლების გადაწყვეტილებაზე. ჟიჟილაშვილმა განაცხადა, რომ ჟურნალისტების წასვლის შედეგად „მაესტრო“ არანაირ დანაკარგს არ განიცდის: „კოტე გოგელიასთან თათბირი შიდაკორპორაციულ თემებს ეხებოდა, ხოლო რაიმე ტიპის საკადრო დანაკარგს, საინფორმაციო სამსახური არ ადასტურებს“. თეონა გეგელიას, მისივე განცხადებით, საინფორმაციო სამსახურთან შეხება არ ჰქონდა, თუმცა მაკა ციცნაძე სწორედ რომ არხის საინფორმაციოს წევრი იყო. ცინცაძე აცხადებს, რომ ყოფილი უფროსის განცხადება მას არ ეხებოდა, რადგან მან არხი განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა...

მაკა ცინცაძე, „მაესტროს“ ყოფილი ჟურნალისტი:

– არხზე მართვის ფორმა არ იყო ჩემთვის მისაღები. ნებისმიერს აქვს უფლება, შეხედულებისამებრ მართოს საკუთარი კომპანია. ასევე, დასაქმებულსაც აქვს არჩევანის უფლება. ეს არ ყოფილა ერთი და ორი დღის თემა. ერთი უკმაყოფილების გამო სამსახურს და მით უფრო, „მაესტროს“ არავინ დატოვებს. ბევრი ნიუანსი დაგროვდა და სწორედ ამიტომ დავტოვე სამსახური, თუმცა ახლა ნამდვილად არ მინდა ამ თემაზე საუბარი.

– ნინო ჟიჟილაშვილის განცხადებას როგორ შეაფასებ?

– ნინო ჟიჟილაშვილის განცხადება ეკუთვნოდათ იმ თანამშრომლებს, რომლებმაც არხი თათბირის შემდეგ დატოვეს. მე მანამდე წამოვედი სამსახურიდან, ეს იყო ხუთშაბათი და, შესაბამისად, ჩემზე ეს სიტყვები არ ვრცელდებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის გასაგები იყო იქ არსებული მდგომარეობა და ამაზე საუბრისა და საკითხის განხილვის გაგრძელება, უბრალოდ, აღარ მინდა.

– თუ მიიღეთ უკვე შეთავაზება?

– კი, ორი შემოთავაზება მივიღე უკვე. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია, ფიქრის პროცესში ვარ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ „მაესტროდან“ წამოსვლა წამოსვლამდე თითქმის ერთი კვირით ადრე გადავწყვიტე. შესაბამისად, ჩემი მეგობრები გავაფრთხილე, რომ „მაესტროდან“ წამოსვლას ვაპირებდი და ახალ სამსახურს ვეძებდი. ერთი შეთავაზება „მაესტროდან“ წამოსვლის მეორე დღესვე მივიღე, წინა პარასკევს, ხოლო მეორე შემოთავაზება – რამდენიმე დღის შემდეგ.

– არ იტყვით, საიდან არის ეს შემოთავაზებები?

– ერთი ტელევიზიიდან არის და მეორე – არა.

– როდისთვის მიიღებთ გადაწყვეტილებას?

– ჯერ მოლაპარაკებები არ დასრულებულა. ვნახოთ, ეს დამოკიდებულია მოლაპარაკებების შედეგზე.

გასაგებია თეონა გეგელიას პოზიცია. მისთვის მიუღებელი იყო ის პროცესები, რომელიც არხზე მიმდინარეობს და სწორედ ამიტომ მიიღო „მაესტროს“ დატოვების გადაწყვეტილება. ასევე გასაგებია დიანა ტრაპაიძის პოზიცია, რომელსაც ორმაგი მიზეზი ჰქონდა სამსახურზე უარის თქმის: პრობლემური მენეჯმენტის გარდა, მისი გადაცემა თანამონაწილის წასვლის შედეგად დაიხურა... პრინციპში, თავად არხის მფლობელის გაგებაც შეიძლება – „მაესტრო“ მისია და ისე მართავს, როგორც ესმის... ამ პროცესში ყველაზე უცნაური არხის დამფუძნებლის პოზიციაა. მამუკა ღლონტი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული ტელევიზიის მართვაში, მენეჯმენტში, თუმცა დღეს ის შორიდან აკვირდება „მაესტროზე“ მიმდინარე პროცესებს და აცხადებს, რომ მისთვის ბევრად მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს.

მამუკა ღლონტი:

– როგორ ფიქრობთ, ტელევიზიაზე რამე ცუდს ვიტყვი? არაფერი არეულობა „მაესტროში“ არ არის, „მაესტრო“ მუშაობს ჩვეულებრივად.

– ჟურნალისტები რომ არხს ტოვებენ, ეს პრობლემად არ მიგაჩნიათ?

– ეს ძალიან სამწუხაროა. რა თქმა უნდა, პრობლემაა, ჩემთვის პირადად პრობლემაა, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მე არ ვარ მართვაში, მენეჯმენტში და ჟურნალისტებიც თავისუფლები არიან თავიანთ ქმედებებში.

– არ ფიქრობთ, რომ ეს პროცესები „მაესტროს “ რეიტინგზე იმოქმედებს?

– რა თქმა უნდა, ჟურნალისტების წასვლა არხისთვის ძალიან საზიანოა და დავადასტურებ, რომ კარგი არ არის.

– ხომ არ აპირებთ, ისევ ისე აქტიურად ჩაერთოთ ტელევიზიის მართვის პროცესში?

– არა, მე ტელევიზიაში არასოდეს დავბრუნდები, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ეტაპი უკვე გავიარე. ვაკეთებ ჩემთვის ძალიან საინტერესო საქმეს და მსურს ამ საქმეს ბოლომდე მივყვე, რომ თავი კომფორტულად ვიგრძნო.

– ანუ თქვენთვის რადიო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტელევიზია?

– არამხოლოდ რადიო, მე ვწერ სცენარებს ქართული ტელესერიალებისთვის და მინდა ამ სფეროში გავაგრძელო მუშაობა. ეს სფერო ჩემთვის რეალური საქმეა.

– ამ ეტაპზე არანაირად არ ხართ ჩართული „მაესტროს“ პროცესებში?

– აბსოლუტურად არანაირად არ ვარ ჩართული.

– ჟურნალისტები აცხადებენ რომ მათ დახმარება და დაცვა სჭირდებათ უნიჭო მფლობელებისგან...

– კიდევ გეტყვით, რომ ის, რაც „მაესტროზე“ მოხდა, არის ზრდასრული ადამიანების გადაწყვეტილება. მათ აქვთ სრული უფლება, არ მოსწონდეთ მენეჯმენტი. შესაბამისად, მათ აქვთ უფლება, დატოვონ ის ადგილი, სადაც არ მოსწონთ მუშაობა.

– რამდენად სწორია ელისაშვილის ჟურნალისტად დაბრუნება?

– კანონი მას ამას არ უკრძალავს, რასაც კანონი არ კრძალავს, ის დასაშვებია. მე მივესალმები ალეკოს დაბრუნებას „მაესტროში“, ის კარგი ჟურნალისტი და კარგი ადამიანია.

ბუნებრივია, რომ მედიაექსპერტების მთელი ყურადღება ამ ეტაპზე

„არ არის „სუბიექტური აზრი“ ქართული ჟურნალისტიკის შედევრი და ბრწყინვალე თვალსაჩინოება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ა თათბირზე თანამშრომლებს

მაკა ცინცაძე:
„ნინო ჟიჟილაშვილის განცხადება ეკუთვნოდა იმ თანამშრომლებს, რომლებმაც არხი თათბირის შემდეგ დატოვეს. მე მანამდე წამოვედი სამსახურიდან“

ია ანთაძე:
„ჩემი აზრით, ამბავი დაიწყო მაშინ, როდესაც ვახო სანაია ტელევიზიიდან წავიდა და, პრინციპში, არც ვიცით, რატომ წავიდა, რა იყო რეალური მიზეზი“

ირაკლი ტაბლიაშვილი:
„არ დავმალავ ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას და ვიტყვი, რომ, ალეკო ელისაშვილი პოლიტიკაში რომ რჩება და პარალელურად ჟურნალისტიკას უბრუნდება, სწორი არ არის“

თეონა გეგელია:
„ხან გადაცემის ფორმატს ცვლიდნენ ისე, როგორც თავად უნდოდათ, ხან ამბობდნენ, რომ კვირაში ერთხელ უნდა გასულიყო გადაცემა ეთერში; ხან ამბობდნენ, რომ ყოველდღიური უნდა გამხდარიყო; ხან ამბობდნენ, თუ გვინდა მოგცემთ ხელფასს და თუ გვინდა, არ მოგცემთო... იყო აბსოლუტურად ველური დამოკიდებულება“

მამუკა ღლონტი:
„არაფერი არეულობა „მაესტროში“ არ არის, „მაესტრო“ მუშაობს ჩვეულებრივად“

სწორედ „მაესტროსკენ“ არის მიმართული. ია ანთაძის განცხადებით, „მაესტროზე“ საეჭვო პროცესები მაშინ დაიწყო, როდესაც არხი ვახო სანაიამ დატოვა. ანთაძე დარწმუნებულია, რომ სანაიას დუმილის უკან სერიოზული პრობლემები იმალება და რეალობა სწორედ მისი გამორკვევის შემთხვევაში გახდება ნათელი...

ია ანთაძე, მედიაექსპერტი:

– ჩემი აზრით, ამბავი მაშინ დაიწყო, როდესაც ტელევიზიიდან ვახო სანაია წავიდა და, პრინციპში, არ ვიცით, რატომ წავიდა, რა იყო ამის რეალური მიზეზი. გაგრძელდა იმით, რომ „მაესტროზე“ კიდევ ერთი გადაცემა დაიხურა იმის გამო, რომ არხი წამყვანებმა დატოვეს. ფაქტია, რომ არხზე პოლიტიკური ნანილი კიდევ უფრო შესუსტდა, დარჩა საინფორმაციო პროგრამა და ისიც არ ვიცით, რამდენად შეინარჩუნებს არხის საინფორმაციო იმ სახეს, როგორიც აქამდე იყო. ახლა მთავარია, გაირკვეს, რატომ წავიდა ვახო სანაია არხიდან. სანამ ეს არ გაირკვევა, იქამდე ყველაფერი ისევ ისეთი ბუნდოვანი იქნება, როგორი ბუნდოვანიცაა არხიდან ჟურნალისტების წასვლის მთელი პროცესი.

ია ანთაძისგან განსხვავებით, ირაკლი ტაბლიაშვილი ჯერ კიდევ თვლის, რომ ტელეკომპანიაში მიმდინარე პროცესები სუფთად შიდაკორპორაციულია და ის მაშინ გახდება საზოგადოებრივი, თუ ხელისუფლებისადმი კრიტიკას შეარბილებს...

ირაკლი ტაბლიაშვილი:

– მე არ ვთვლი, რომ პრობლემა კოტე გოგელიაშია, მიმაჩნია, რომ ეს არის შიდაკორპორაციული საქმე. ეს საკითხი ეხება მხოლოდ და მხოლოდ „მაესტროს“. ორი თანამშრომლის წასვლა მხოლოდ ტელევიზიის საქმეა. თუმცა, მეორე მხრივ, თუ დადასტურდა ინფორმაციები იმის თაობა, რომელიც ჯერ არ დასტურდება, რომ „მაესტროს“ საინფორმაციო პოლიტიკას შეცვლიან და ის გახდება ნაკლებად კრიტიკული ხელისუფლებისა და ხელისუფლების ქმედებების მიმართ, მაშინ, ბუნებრივია, ეს აღარ იქნება შიდაკორპორაციული საკითხი. ასეთ შემთხვევაში „მაესტროს“ საკითხი გახდება საზოგადოებრივი. მაგრამ ამას მე ვამბობ ვარაუდის დონეზე, სანამ ჟიჟილაშვილი რჩება არხზე. რასაც ვაკვირდები, „მაესტროს“ ხელისუფლების კრიტიკის ხარისხისთვის ჯერჯერობით არ დაუკლია, რაც კარგია. სამწუხაროდ, ჩვენთან კრიტიკულობისა და ობიექტურობის პრობლემა ნამდვილად არის.

– თუმცა ორ ჟურნალისტამდე არხი დატოვეს ვახო სანაიამ და თეა სიჭინავამ, მაინც ფიქრობთ, რომ ეს გარკვეული პროცესის გაგრძელება არ არის? გარდა ამისა, თეონა გეგელიამ განაცხადა, რომ გადაცემას უამრავჯერ შეეცვალა პროფილი და ბოლოს ის აიძულეს, არხი დაეტოვებინა...

– ვახო სანაიას წასვლის ჩათვლით ეს პროცესი ჯერჯერობით მაინც რჩება „მაესტროს“ კორპორაციულ საქმედ. არ არის „სუბიექტური აზრი“ ქართული ჟურნალისტიკის შედევრი და ბრწყინვალე თვალსაჩინოება. ბუნებრივია, ის ძალიან საინტერესო და კარგი გადაცემა იყო, თუმცა გავიმეორებ, თუ „მაესტრო“ ხელისუფლებისადმი ლოიალური გახდება, მაშინ ამას პოლიტიკური შეფასებაც მიეცემა.

– ცნობილი გახდა, რომ გეგელიასა და ტრაპაიძეს ალეკო ელისაშვილი და ნათია გამცემლიძე ჩაანაცვლებენ, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ელისაშვილის ჟურნალისტიკაში დაბრუნება და როგორც ფიქრობთ, იქნება თუ არა ის კრიტიკული?

– არ დავმალავ ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას და ვიტყვი, რომ, ალეკო ელისაშვილი პოლიტიკაში რომ ჩება და პარალელურად ჟურნალისტიკას უბრუნდება, არ არის სწორი. ვფიქრობ, პოლიტიკოსებმა და პოლიტიკაში წასულებმა პოლიტიკა უნდა აკეთონ, საკრებულოს წევრებმა – საკრებულოს საქმეები, ხოლო ჟურნალისტებმა – თავიანთი საქმე. არ მიმაჩნია ეს სწორ გადაწყვეტილებად. რაც შეეხება ნათია გამცემლიძეს, მე მას დიდი ხანია ვიცნობ და იმედს გამოვთქვამ, რომ მის მიერ გაკეთებული გადაცემა საინტერესო იქნება კრიტიკულობის თვალსაზრისით.

სკანდალი კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ „სუბიექტურ აზრს“ ახალი წამყვანები შეურჩიეს: ალეკო ელისაშვილი და ნათია გამცემლიძე. თეონა გეგელიას განცხადებით, ალეკო ელისაშვილი „უკიდურესად სამარცხვინოდ“ მოიქცა. საკრებულოს წევრმა, პოლიტიკოსმა საკუთარი გადაწყვეტილება ბევრი მიზეზით ახსნა: საკრებულოს დაბალი ხელფასი, არხის ხელმძღვანელობის შეთავაზება და რაც მთავარია, ელისაშვილისთვის გადაცემის წამყვანობა მისაღები აღმოჩნდა იმიტომ, რომ ის გეგელია-ტრაპაიძემ საკუთარი ნებით დატოვეს და ისინი არავის გაუყრია...

ალეკო ელისაშვილი, საკრებულოს წევრი:

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ფინანსურადაც ძალიან საინტერესოა „მაესტროს“ წინადადება, იმიტომ, რომ საკრებულოში ძალიან დაბალი ხელფასი მაქვს – 1120 ლარი. ამაზე მეტს ბინის კრედიტში ვიხდი და ძალიან დიდ ჭაპანწყვეტაში ვიყავი და სხვა რამეზე ვფიქრობდი. „მეორე არხი“ მთავაზობდა გადაცემის წაყვანას სოციალურ პრობლემებზე, მაგრამ ის საზოგადოებრივი მაუწყებელია და მისი კოდექსი ამის საშუალებას არ მაძლევდა. ეს კერძო ტელეკომპანიაა... ჩემი მეგობრები არიან დიანაც და თეონაც, ისინი თავისი ნებით წამოვიდნენ ხომ „მაესტროდან“? ჩემი მეგობრები არიან ბაია გადაბაძე და დანარჩენი მენეჯმენტიც. ერთი მხარეც ჩემი მეგობარია და მეორეც. მეც წამოვედი „კავკასიიდან“ და ჩემს ადგილას სხვამ დაიწყო მუშაობა. მე არაფერი მითქვამს, პირიქით, რაც შემეძლო ყველაფერი ავუხსენი ჩემი გადაცემის სპეციფიკაზე. ეს ჩვეულებრივი ამბავია. რომ გაეგდოთ, ან რაღაც ექნათ... ძალიან უხერხული იქნებოდა და არც ვიკადრებდი, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ რამე უკადრებელი ვიკადრე.

ელისაშვილი საკრებულოს წევრობას სულაც არ თვლის ბარიერად, მიაჩნია, რომ საკრებულოს წევრობა პოლიტიკას არ ნიშნავს, რადგან სამსახურში ის ძირითადად საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული და რაც მთავარია, არც ერთი პარტიის წევრი არ არის, რომ რომელიმე მათგანის კრიტიკაში შეიზღუდოს...

რაც შეეხება „საწყის პრობლემას“, ანუ ვახო სანაიას, ის დღემდე გაურბის დეტალებზე საუბარს. მედიასთან ამ თემაზე საერთოდ არ გამოდის კონტაქტზე, ისევე როგორც ნათია მიქიაშვილი. მართალია, აბსოლუტურად სხვა არხზე და სხვა შინაარსის პრობლემებით უნდა გასულიყო მიქიაშვილის საგამოძიებო გადაცემა ეთერში, თუმცა ის ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა ჟურნალისტური სფეროდან, როგორც გამოჩნდა. მიქიაშვილი კომენტარებს გაურბის, ერთადერთი პირად საუბრებში აცხადებს, რომ ჯერ კიდევ ისვენებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სიკვდილ-სიცოცხლის გზა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

დაღესტნის პოლიტიკურ წრეებში საქართველოსთან დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. იქ ამას უკვე უწოდეს სიცოცხლის გზა. საქართველოში კი აზრი ორად იყოფა. ზოგი მიიჩნევს, რომ ეს არათუ სიცოცხლის, არამედ სიკვდილის გზაა, რადგან სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ქვეყანა პრაქტიკულად ზურგს კარგავს. მეორე ნაწილის აზრით კი, ახალი მაგისტრალი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

„თავდასხმის შემთხვევაში პრაქტიკულად საქართველოს ზურგი აღარ ექნება“

EXCLUSIVE

ალეკო კვახაძე: „არ უნდა დაგვავიწყდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ეთნიკური ხუნძები, რომლებიც შესაძლოა, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ბრმა იარაღად იქცნენ“

პროექტის თანახმად, დაღესტან-საქართველოს დამაკავშირებელი გზა დაღესტნის ბეჟტის რაიონიდან კვეთს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს და უერთდება ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებულ გრუნტის გზას. აღსანიშნავია, რომ ამ გზის მონაკვეთი კავკასიონის ქედის ყველაზე დაბალ წერტილში მდებარეობს, რაც შესაძლებელს ხდის მაგისტრალის შეუფერხებელ მუშაობას ყველა სეზონის განმავლობაში. სწორედ ეს განაპირობებს გზის რესპექტაბელობას.

კავკასიოლოგი, ალეკო კვახაძე მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, აღნიშნული გზის მშენებლობით, რუსეთი რამდენიმე სტრატეგიულ ამოცანას გადაჭრის. ესენია: საქართველოზე თავდასხმისთვის გამოსადეგი ავტომაგისტრალი; სომხეთთან დამატებითი სატრანსპორტო კავშირები; ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანზე გავლენის გაძლიერება და ხუნძური სეპარატიზმის წახალისება.

„აღნიშნული გზის უშუალო მეზობლობაში მდებარეობს აზერბაიჯანის კახის, ბელაქნისა და ზაქათალის რაიონები, რომლის მოსახლეობის უმრავლესობასაც ეთნიკური ხუნძები შეადგენენ. ხუნძების ნაწილში არსებობს სეპარატისტული განწყობები, თუმცა დაღესტანში მცხოვრებ ხუნძებთან მათ არ აქვთ პირდაპირი სატრანსპორტო კავშირი და ერთმანეთთან მიმოსვლას მხოლოდ ბაქოს გავლით, საკმაოდ გრძელი გზით ახერხებენ. კახეთ-დაღესტნის გზის გახსნასაც იგივე ეფექტი ექნება, რაც 80-იან წლებში როკის გვირაბის აშენებას ჰქონდა. ყოველივე ეს გამოიწვევს აზერბაიჯანის ხუნძებით დასახლებული ტერიტორიების დაღესტანზე ეკონომიკურად და პოლიტიკურად მიბმას, რაც გაზრდის სეპარატიზმის საფრთხეს. ყოველივე ეს ნეგატიურად აისახება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე და საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორობას. არ უნდა დაგვავიწყდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში – თივში, ჩანთლისყურსა და სარუსოში მცხოვრები ეთნიკური ხუნძები, რომლებიც შესაძლოა, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ბრმა იარაღად იქცნენ.

საქართველოს კავკასიონის ქედის სახით ბუნებრივი ციხესიმაგრე არგუნა. და ამ ციხე-გალავნის გარღვევის ყოველი მცდელობა ქართული სახელმწიფოსთვის სავალალო შედეგით სრულდებოდა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ასეთი ინიციატივის განხილვისას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ეროვნული ინტერესები და მოსალოდნელი საფრთხეები ჩვენი სახელმწიფოს არაკეთილმოსურნეების მხრიდან“, – აცხადებს ალეკო კვახაძე.

ექსპერტი მამუკა არეშიძე კი მიიჩნევს, რომ ახალი გზის მშენებლობა არა იმდენად საქართველოზეა ორიენტირებული, რამდენადაც სომხეთზე. მისი თქმით, რელიეფურად ეს იქნება ყველაზე ხელსაყრელი გზა რუსეთ-სომხეთის ტვირთბრუნვისთვის.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– პრინციპში, ვეთანხმები, რომ ეს გზა სამხედრო თვალსაზრისით საფრთხის მატარებელია. თავდასხმის შემთხვევაში პრაქტიკულად საქართველოს ზურგი აღარ ექნება. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ეს გზა იქმნება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მცხოვრები დაღესტნური ტომებისთვისაც, რომლებსაც ამჟამად დაღესტანში მოსახვედრად ბაქოში ჩასვლა უწევთ. ეს გზა მათ საშუალებას აძლევთ, პირდაპირი კავშირი დაამყარონ დაღესტანთან.

– ეს ხომ არ წაახალისებს აზერბაიჯანში ე.წ. ხუნძურ სეპარატიზმს?

– თავისთავად წაახალისებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი საკითხი. საქმე ის არის, რომ ჩრდილოეთ აზერბაიჯანი არის ვაჰაბიზმის ძირითადი კერა. ისინი, ვინც სირიაში აზერბაიჯანიდან იბრძვიან, სწორედ ამ რეგიონებს წარმოადგენენ. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ყვარლის რაიონში 1500-მდე დაღესტნელი ცხოვრობს, რაც გარკვეულწილად დასაყრდენ ბაზად შეიძლება იქცეს. მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო, რომელსაც ამ ტიპის საფრთხეების ეშინია, არ არის შემდგარი. მით უმეტეს, ეს გზა არ გაივლის დასახლებულ ურბანულ ტერიტორიაზე. ამ მონაკვეთზე საკმაოდ რთული რელიეფია და მისი დაცვა, პრინციპში, ძალიან მარტივია. ბოლოს და ბოლოს, ერთ ხიდს ააფეთქებ და ამით დამთავრდება ყველაფერი.

– რატომ არის დაინტერესებული რუსეთი ამ გზის გაყვანით?

– ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის ეტაპი დამთავრდა და იწყება ეკონომიკური ექსპანსიის ეტაპი. ცხადია, რუსეთი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური საყრდენი მოიპოვოს საქართველოზე, მაგრამ ეს გზა გათვლილია არა იმდენად საქართველოზე, რამდენადაც სომხეთზე. მოგეხსენებათ, ლარსის გზა, გეოლოგიური თვალსაზრისით, საკმაოდ არაპროგნოზირებადია. ეს ახალი გზა საბაჟო კავშირის კონტექსტში სომხეთისთვის ყველაზე მისაღები გზაა.

– აზერბაიჯანისთვის რამდენად სახიფათოა ეს გზა?

– აზერბაიჯანი თავის ჩრდილოეთ რეგიონს ძალიან მკაცრად აკონტროლებს, თუმცა ამის მიუხედავად, ის ვერ მოერია იქ არსებულ ვაჰაბიზმს, რასაც მთელი სისასტიკით ებრძვის. ახალი გზის მეშვეობით, ცხადია, გაცილებით მარტივი იქნება ვაჰაბისტების გადაადგილება ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. გაიზრდება კომუნიკაციის ხარისხი დაღესტნელ ვაჰაბისტებთან.

რაც შეეხება საქართველოზე თავდასხმის შესაძლებლობას, საქართველოზე თავდასხმისთვის რუსეთის ფედერაციას აქვს სამი ძირითადი პლაცდარმი. ესენია: ოკუპირებული აფხაზეთი და შავი ზღვა (დასავლეთ საქართველოს მიმართულება), ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (თბილისის მიმართულება) და გიუმრის სამხედრო ბაზა სომხეთში (სამხრეთ საქართველოსა და თბილისის მიმართულება). რთული რელიეფის გამო, დარიალის ხეობიდან და მამისონის უღელტეხილიდან წარმოუდგენელია სამხედრო ტექნიკის მასიური გადასროლა და ამ ტრასების ჩახერგვა ერთ ასეულსაც შეუძლია.

„ამ რეალობის გათვალისწინებით, თბილისის ალყის შემთხვევაში საქართველოს ზურგად კახეთის რეგიონი მოიაზრება. მართალია, რუსეთს თეორიულად შეუძლია, დესანტი შირაქის ველზე გადმოსხას, თუმცა კარგი ორგანიზების შემთხვევაში, ქართულ ჯარს შეუძლია ამ შეტევის მოგერიება. იმ შემთხვევაში, თუკი დაღესტან-კახეთის დამაკავშირებელი გზა აშენდა, ქართული სახელმწიფო ომის შემთხვევაში კარგავს ზურგს და რუსეთის წინაშე აბსოლუტურად დაუცველი რჩება. ის, რომ ამ გზას სამხედრო და არა ჰუმანიტარული დანიშნულება აქვს, პუტინმაც აღნიშნა, როცა 2008 წლის გაზაფხულზე იკითხა, შეძლებს თუ არა ტანკები ამ გზაზე გავლას“, – აცხადებს ექსპერტი ალეკო კვახაძე.

მამუკა არეშიძე: „ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის ეტაპი დამთავრდა და იწყება ეკონომიკური ექსპანსიის ეტაპი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეს საქმე დიდი ბურუსით არის მოცული, რომელიც ძალიან „ლამაზად“ ჩაფარცხეს“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ეს ამბავი გასული წლის 30 ნოემბერს მოხდა... 21 წლის ახალგაზრდა გიგი ხვედელიძე ხაშურში, საკუთარი სახლის ეზოში დაუნდობლად მოკლეს. მას სხეულზე დანით 10 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. შსს-მ მკვლელობის საქმე მალევე გახსნა და, ბრალდებულის სახით, ხვედელიძეების მეზობელი 18 წლის იური ნოზაძე, მეტსახელად ხუხუ, დააკავა.

ამ დრომდე გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ჟურნალისტებთან არ უსაუბრიათ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ გიგის მკვლელობისთვის დაუსჯელი არავინ დარჩებოდა. დიახ, არავინ, რადგან ოჯახს აქვს ეჭვი, რომ მკვლელობის დროს იური ნოზაძე მარტო არ იმყოფებოდა... ხვედელიძეების მოლოდინი არ გამართლდა. პროკურატურამ დამნაშავედ მხოლოდ ერთი პირი – იური ნოზაძე ცნო და მასაც პირველ ინსტანციაში მისჯილი სასჯელი სააპელაციო სასამართლომ შეუმსუბუქა.

გარდაცვლილის მამა, ალექსანდრე ხვედელიძე პირადად ესაუბრა მთავარ პროკურორს, რომელიც საქმის ობიექტურ გამოძიებას დაჰპირდა, თუმცა ხვედელიძეები აცხადებენ, რომ ეს დაპირებაც დაპირებად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მიერ სასჯელის შემსუბუქება ბოლო წვეთი იყო, რის შემდეგაც გარდაცვლილის მამამ ჩვენთან საუბარი გადაწყვიტა. ალექსანდრე ხვედელიძე რედაქციაში თავად დაგვიკავშირდა და მისი ოჯახის თავს დატრიალებულ ტრაგედიაზე გვიამბო.

გარდაცვლილის მამა: „ლაწირაკი, რომელმაც შვილი დანით დამიჩეხა, თურმე დადებითად ხასიათდება და ამ მოტივით სააპელაციო სასამართლომ სასჯელი შეუმსუბუქა“

EXCLUSIVE

ინტერვიუ ხაშურში მოკლული გიგი ხვედელიძის მამასთან

ალექსანდრე ხვედელიძე, გარდაცვლილის მამა:

– იმ დღეს მე და ჩემი მეუღლე თბილისში ვიყავით წამოსულები. პირველის 20 წუთი იქნებოდა, ჩემს შვილს რომ დაურეკავს თავისი მეგობრისთვის, რომელიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. უთხრა, გარეთ ვერ გამოვდივარ, თუ შეგიძლია, სამი ღერი სიგარეტი მომაწოდეო. ცოტა ხანში მისულა, – გარეთ გელოდები, სიგარეტი მოგიტანეო. მართლაც გავიდა გიორგი, ეზოში ჩასვლიდან ორი წუთის შემდეგ ამოდის სულ სისხლიანი. 10-ჯერ დაარტყა დანა. იური ნოზაძე 18 წლის ლაწირაკია და შვილი სიცოცხლეს გამომისალმა. გორის სასამართლომ 10 წელი მიუსაჯა, სააპელაციომ კი რამდენიმე წელი იმიტომ ჩამოაკლო, რომ თითქოს დადებითად ხასიათდებოდა. წარმოგიდგენიათ? საქმეში გარეულია კიდევ ორი პიროვნება, რომლებმაც მკვლელი საკუთარი ავტომობილით გადამალეს, თუმცა ისინი ადასტურებენ, რომ ჩემს შვილს დანა არ ჰქონია, ხელცარიელი გამოვიდა ბავშვი. ნოზაძე მკვლელობის შემდეგ კახეთში დააკავეს.

– რა იყო დამნაშავის მოტივი? რატომ გაიმეტა მეგობარი?

– ძვირადღირებული ადვოკატი აიყვანეს და საქმე ისე დახატეს, თითქოს, პირიქით, ჩემი შვილი ესხმოდა თავს და ის იგერიებდა. ორმეტრიანი შვილი მყავდა, იმას რომ თავდასხმა ნდომებოდა, მერწმუნეთ, თვითონ არ იქნებოდა მსხვერპლი. ამას ადასტურებს ექსპერტიზაც და მოწმეებიც, რომლებიც დაიკითხნენ. თუ ამ საქმით ვინმე დაინტერესდება, მოიკითხონ ეს ადამიანი, მისი ოჯახი... რას წარმოადგენდნენ... მთელ რაიონში მხოლოდ ეგ თუ მომიკლავდა შვილს, სხვა არავინ. 10-ჯერ დაარტყა ჩემს ეზოში დანა, გაიხურა კარი და წავიდა.

– როგორც მითხარით, მთავარ პროკურორსაც შეხვდით ამ საქმეზე...

– დიახ, სიცოცხლის ფასი დამიჯდა გიორგი ბადაშვილთან შეხვედრა. დამპირდა, რომ ამ საქმეს მთავარი პროკურატურა გამოიძიებდა, რადგან არ მინდოდა საქმე გორის პროკურატურას ჰქონოდა. ჩემი უბნის შესასვლელთან აფთიაქია, სადაც კამერებია დამონტაჟებული. ამოიღეს ჩანაწერები, მაგრამ რა... თურმე საქართველოში არ არსებობს იმის ექსპერტიზა, რომ დადგინდეს, რამდენი ადამიანი იჯდა იმ მანქანაში. მარტო ის ლაწირაკი შვილს ვერ მომიკლავდა. ეს საქმე დიდი ბურუსითაა მოცული, რომელიც ძალიან „ლამაზად“ ჩაფარცხეს. ბადაშვილმა მითხრა, კამერის ჩანაწერებს გადმოგცემთო. მე თვითონ წავიღებ სხვა ქვეყანაში, თუ საქართველოში ამას ვერ არკვევენ, და მე თვითონ დავადგენ, იქ რამდენი ადამიანი იჯდა.

– თქვენთვის მოულოდნელი იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?

– გორის სასამართლომ 10 წელი მიუსაჯა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა და მოსამართლე მაია თეთრაულმა 2 წელი კიდევ ჩამოაკლო. ეს იყო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის სრული შოკი. იცით, რა დაასახელა მოტივად? მეზობლებისგან და ახლობლებისგან დადებითად ხასიათდებაო. ლაწირაკი, რომელმაც შვილი დანით დამიჩეხა, თურმე დადებითად ხასიათდება და ამ მოტივით სააპელაციო სასამართლომ სასჯელი შეუმსუბუქა. რა მნიშვნელობა აქვს მის დახასიათებას? ჩემი 21 წლის შვილის სიკვდილი არაფრად ღირს? ეს არის სამართალი?!

– ახლა რას აპირებთ?

– არ ვიცი, სად წავიდე და ვის მივმართო სიმართლის საძიებლად? არ მინდა იმ ზომამდე მიმიყვანონ, რომ სამართალი მე თვითონ აღვასრულო. ფული ვასესხე და არ მიბრუნებდაო. როგორ შეიძლება, გიორგი ხვედელიძეს ფული დასჭირვებოდა. ოჯახში ყველა ვმუშაობდით, ვის რად უნდოდა მაგათი ფული. და თუნდაც ესესხა, ამის გამო შვილი უნდა მომიკლა? და თურმე დადებითად ხასიათდება. რატომ, ამას არ ამბობენ. ასე არ გავჩერდები. თავს დავიწვავ და ამით დავასრულებ ყველაფერს. თუ ჩემი მოკლული შვილი იყო დამნაშავე, მაშინ ის 8 წელიც მოაკლონ მკვლელს და გარეთ გამოუშვან, მე თვითონ აღვასრულებდი სამართალს. თუ ხელისუფლებას არ შესწევს იმის ძალა, რომ სამართალი აღადგინოს, მე ვიღებ პასუხისმგებლობას სამართალზე. თუ 21 წლის ბიჭის სიცოცხლე 8 წელი ღირს, მაშინ მე მზად ვარ, 16 წლით წავიდე ციხეში, თუმცა მანამდე პასუხს ვაგებინებ იმათ, ვინც ამ მკვლელობის თანამონაწილენი იყვნენ. ყველას მოვუვლი, ვინც ჩემი შვილის მკვლელობაში მონაწილეობდა. მივმართავ პირადად პრემიერ-მინისტრს - ბატონო ირაკლი, თქვენი ყველა გამოსვლა, ჩემთვის ირონიის შემცველია. ყოველთვის შედარებას აკეთებთ წინა ხელისუფლებასთან, ნაციონალები თუ ქუჩაში ხოცავდნენ ახალგაზრდებს, მე აგერ, საკუთარი სახლის ეზოში მომიკლეს შვილი და სამართალს ვერ ვპოულობ. მეც და ჩემმა შვილმაც თქვენ და თქვენს პარტიას მივეცით ხმა, მაგრამ დღესაც უსამართლობაში ვცხოვრობ. არაერთხელ მივმართე ეკა ბესელიასაც, თუმცა, როგორც ჩანს, მას 21 წლის ბიჭის მკვლელობა, საერთოდ არ აინტერესებს.



„ძვირადღირებული ადვოკატი აიყვანეს და საქმე ისე დახატეს, თითქოს, პირიქით, ჩემი შვილი ესხმოდა თავს და ის იგერიებდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაფლანგული მილ

თავდაცვის სამინისტრო, უკანონო ტენდერების მხრივ, ყოველთვის პრობლემური უწყება გახლდათ

დარიგაშვილი: „ძალიან ჩქაროგთ, დავველოდოთ გამოძიებას“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, მათ შორის შესყიდვების სამსახურის უფროსი გიზო ღლონტი დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. რა კავშირი აქვს თავად ირაკლი ალასანიას მის უწყებაში გამოვლენილ კორუფციულ სკანდალთან? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი გამოძიების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი, თუმცა წინამორბედთა მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, თავდაცვის მოქმედი მინისტრი, როგორც მინიმუმ, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, ალბათ, ვერ გაექცევა.

თავდაცვის სამინისტრო, უკანონო ტენდერების მხრივ, ყოველთვის პრობლემური უწყება გახლდათ, გამომდინარე იქიდან, რომ მთელი რიგი შესყიდვები სახელმწიფო საიდუმლოების სფეროს მიეკუთვნება. დარღვევები იკვეთებოდა არათუ იმ ტენდერებში, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს, არამედ ღია შესყიდვებშიც კი. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, „პრაიმტაიმი“ წერდა თავდაცვის სამინისტროს 7 ტენდერის შესახებ, საიდანაც სამში კომპანია „ARPANIV“-მა გაიმარჯვა.

კომპანია „არპანივი“ სომხეთშია რეგისტრირებული, ხოლო საქართველოში ფილიალი მხოლოდ ტენდერის გამოცხადების შემდეგ დააარსა. ამასთანავე, ის მოთხოვნილი საქონლის მწარმოებელი არ არის და რეექსპორტს რუსეთიდან ახორციელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულ არმიას „არპანივი“ რუსული წარმოების საბურავებითა და აკუმულატორებით ამარაგებს. საუბარია საბურავებზე, რომლებიც სამხედრო-სატვირთო ავტომანქანებს უყენდება, ასევე აკუმულატორებზე, რომლებიც ჯავშანტექნიკაშიც იდება.

თავდაცვის სამინისტრო სამ ტენდერში „არპანივის“ გამარჯვება ამ სფეროში კომპანიის გამოცდილებით ახსნეს და გაზეთს წერილობით განუმარტეს, რომ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ფილიალის გახსნა არავითარი კანონდარღვევა არ არის.

რაც შეეხება საქმეს, რის გამოც პროკურატურამ ალასანიას უწყების მაღალჩინოსნები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა... **ბადაშვილის უწყების მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება შემდეგი:**

„2013 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებისთვის ცნობილი გახდა, რომ სს „სილქნეტი“, კერძო სამეწარმეო მიზნებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე, გარკვეული მიმართულებით გეგმავდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოქმედმა თანამდებობის პირებმა: გიზო ღლონტმა, გიორგი ლობჟანიძემ, არჩილ ალავიძემ, ნუგზარ კაიშაურმა და დავით წიფურიამ განიზრახეს სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვა...

საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობისას თავდაცვის სამინისტროს ხსენებულმა თანამდებობის პირებმა მიიღეს ყველა ზომა, რომ სს „სილქნეტისთვის“ უპირატესობის მინიჭებითა და პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებით, რაც გამოიხატებოდა სხვა კომპანიებისთვის ქონებასა და მომსახურებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში, ამ უკანასკნელს გაემარჯვა გამოცხადებულ საიდუმლო შესყიდვაში...

2013 წლის 26 დეკემბერს თავდაცვის სამინისტრომ სს „სილქნეტთან“ გაფორმა ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შესყიდვის, ქსელური აპარატურის, შეძენა-მონტაჟისა და მომსახურების პირობით. ამ ხელშეკრულებით თავდაცვის სამინისტრომ სს „სილქნეტს“ უნდა გადაუხადოს, ჯამში, 6 720 877.42 ლარი, საიდანაც წინასწარ (ავანსად) გადარიცხულია უკვე 6 480 877.42 ლარი, სანაცვლოდ კი თავდაცვის სამინისტრომ სს „სილქნეტისგან“ 2015 წლის 16 იანვარს უნდა მიიღოს ქონება და მომსახურება, რომლის რეალური საბაზრო ღირებულება, ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მხოლოდ 2 618 004.82 ლარს შეადგენს...

აღნიშნული ქმედებით გიზო ღლონტმა, გიორგი ლობჟანიძემ, არჩილ ალავიძემ, ნუგზარ კაიშაურმა, დავით წიფურიამ და თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარი“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში, სხვა კომპანიებთან ერთად, მონაწილეობდა კომპანია „დელტა კომიც“, რომელმაც მიმდინარე წლის აპრილში პროკურატურას სავარაუდო კორუფციული სქემის შესწავლის მოთხოვნით პირადად მიმართა. პროკურატურაში საჩივრის შეტანამდე კომპანიის წარმომადგენლებმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენციაც გამართეს.

ლაშა უფლისაშვილი, კავკასიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი:

– კავკასიის განვითარების ფონდი არის ერთ-ერთი კომპანიის, შპს „დელტაკომის“ დამფინანსებელი, რომლის დამფუძნებელთა შორის არაერთი ცნობილი კომპანიაა, მათ შორის – IBRD. აღნიშნული ორგანიზაციები საქართველოში ბიზნესს აწარმოებენ და ბაზარზე უმსხვილეს დამფინანსებელს წარმოადგენენ. შპს „დელტაკომის“ 20%-ს ფლობს აღნიშნული განვითარების ფონდი. 2013 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, გამოაცხადა და ჩაატარა დახურული აუქციონი. ეს იყო გრიფით „საიდუმლო“ და ამიტომაც მე არ ვარ უფლებამოსილი, წარმოგიდგინოთ აღნიშნული ტენდერის მასალები. ამ ტენდერში, კომპანია შპს „დელტაკომთან“ ერთად, სხვა 8 ქართული კომპანიაც მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ჩვენი კომპანია ტენდერში დამარცხდა, თუმცა ამ ტენდერში დამარცხების მიზეზები ბურუსით არის მოცული. ამიტომაც მივმართეთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომ მოეწოდებინა ჩვენთვის ეს მასალები. თუმცა, სამწუხაროდ, კომპანიას ტენდერის შესახებ პასუხები დღემდე არ მიუღია. დღევანდელი მდგომარეობით ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ჩვენ გადავხედეთ იმ სამუშაოებს, რომელსაც აღნიშნული კომპანია აწარმოებს. გვინდა გითხრათ, რომ ეს სამუშაოები არ შეესაბამება ტენდერით განსაზღვრულ სამუშაოებს და ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია სპეციალური წერილით მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით“.

„დელტაკომის“ საჩივრის საფუძველზე დაწყებული გამოძიება თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების, მათ შორის შესყიდვების სამსახურის უფროსის, გიზო ღლონტის დაპატიმრებით გაგრძელდა, თუმცა გამოძიება ამით არ დასრულებულა. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, „გრძელდება მუშაობა ამ დანაშაულში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვა თანამდებობის პირების გამოსავლენად“.

პროკურატურა:
„გრძელდება მუშაობა ამ დანაშაულში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვა თანამდებობის პირების გამოსავლენად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲛᲓᲔ

ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲧᲕᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲣᲚ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ? ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲜ...

გადაჰყვება თუ არა კორუფციულ სკანდალს ირაკლი ალასანია? ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, საქმე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდე არ მივიდეს, მაგრამ დიდი ალბათობით თავდაცვის მინისტრს პოსტიდან გაათავისუფლებენ. ამის საფუძველს იძლევა სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, დავით კირვალიძის საქმე, რომელსაც თანამდებობის დატოვება სწორედ მას შემდეგ მოუწია, რაც მისი უწყების მაღალჩინოსნები კორუფციაში ამხილეს. გაიზიარებს თუ არა ალასანია კირვალიძის ბედს, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს არც პრემიერ-მინისტრი იძლევა. „ძალიან ჩქარობთ, დაველოდოთ გამოძიებას“, – აცხადებს ღარიბაშვილი.

უახლეს ისტორიაში თითქმის არ გვყოლია თავდაცვის მინისტრი, რომლის ირგვლივაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით კითხვები არ გაჩენილიყო. კორუფციულ მაქინაციებში ამხილეს უწყების არაერთი ხელმძღვანელი, რასაც თითქმის ყველა შემთხვევაში შესყიდვების სამსახურის უფროსების დაკავებაც ახლდა. აღარაფერს ვამბობ შევარდნაძის პერიოდზე, როდესაც ქვეყანაც და მისი თავდაცვის უწყებაც კორუფციულ ჭაობში ტივტივებდა. დავით თევზაძის მმართველობის ლაბირინთებში ჩაყოლა შორს ნაგვიყვანს, ამიტომ ჩვენ თვალი გადავავლეთ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდს, როდესაც თავდაცვის უწყების დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა, ისევე როგორც ამავე უწყებიდან გაფლანგული თანხების ოდენობა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი იყო თავდაცვის პირველი მინისტრი, ვინც საბიუჯეტო თანხების მითვისებასა და გაფლანგვაში ამხილეს. ბრალი წარედგინა იასონ ჩიხლაძესაც (მეტსახელად „ვოლკი“), რომელიც ოქრუაშვილის მინისტროობის დროს შესყიდვების სამსახურს ხელმძღვანელობდა. მაშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს საჯაროდ უსაყვედურა იმის გამო, რომ სამართალდამცავებმა იასონ ჩიხლაძეს, საიდუმლო ინფორმაციით, რუსეთში გაქცევის საშუალება მისცეს. ვანო მერაბიშვილმა პრეზიდენტს განუცხადა, რომ ჩიხლაძე ცოტა ხნის წინ თურქეთიდან რუსეთში გაიქცა ყალბი პასპორტით.

„ის თურქეთში იმყოფებოდა ოქრუაშვილთან ერთად“, – განაცხადა მერაბიშვილმა. მათ ასევე ახლდათ ალექსანდრე სუხიტაშვილი (თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე).

„მინდა შინაგან საქმეთა მინისტრს ვკითხო, – როგორ გაგიძვრათ ხელიდან და როგორ აღმოჩნდა დღეს რუსეთის ფედერაციაში ეს ჩიხლაძე, ე.წ. „ვოლკი“? – განაცხადა სააკაშვილმა, – გაითვალისწინეთ, რომ ლაპარაკია თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების უფროსზე. ადამიანი, რომელმაც საქართველოს თავდაცვის შესყიდვების შესახებ ყველა საიდუმლო ინფორმაცია იცის, პირდაპირ მოსკოვში აღმოჩნდა“.

ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა ხელშეკრულებას, რომელიც 2006 წლის 27 ივნისს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა იასონ ჩიხლაძემ გააფორმა ვირჯინიის კუნძულებზე (ოფშორულ ზონაში) რეგისტრირებულ კომპანიასთან „AG Transport and Development“ 4 ათასი ტონა საავიაციო ნავთის თურქმენეთიდან მიწოდებაზე საერთო ღირებულებით 2 მლნ 903 ათასი ამერიკული დოლარი.

კონტრაქტში მოწოდებული 1 ტონა საწვავის ფასად 725,7 ამერიკული დოლარი დაფიქსირდა, მაშინ როდესაც იმ დროისთვის საწვავის ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე 671,2 აშშ დოლარს შეადგენდა. არადა, იმ დროისთვის თავდაცვის სამინისტროს უკვე ჰყავდა ბენზინის მომწოდებელი კონტრაქტორი ფირმა შპს „ავიასაწვავსერვისი“, შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი ობიექტური საბაბი ახალ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმებისთვის. მით უფრო, რომ ამ პერიოდში შპს „ავიასაწვავსერვისს“ იგივე საწვავი, იმავე ქვეყნიდან – თურქმენეთიდან, 1 ტონა 675 ამერიკულ დოლარად შემოჰქონდა.

გამოძიების ინფორმაციით, ამ ოფშორულ კომპანიასთან კავშირი ჰქონდა ირაკლი ოქრუაშვილის ახლო მეგობარს ქიბარ ხალვაშს, რომლის მიერ საგანგებოდ დაფუძნებული სამშენებლო კომპანია ყველა იმ ტენდერში იმარჯვებდა, რომელსაც ოქრუაშვილის უწყება აცხადებდა. საერთო ჯამში, ხალვაშის კომპანიამ სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის 140 მილიონი ლარი მიიღო.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პროკურატურამ დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის მუხლით ბრალი წაუყენა თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილსა და მისივე უწყების შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელს, ალექსანდრე ნინუასაც.

„2008 წლის 10 იანვარს, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა, მასთან დაკავშირებული პირის, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანია „Girwood Business Corp.“-ის სასარგებლოდ, თანხების გაფლანგვის მიზნით, გამოსცა ბრძანება – ხსენებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“.

ამავდროულად, გამოძიების ვერსიით, „დავით კეზერაშვილთან დანამაულებრივ კავშირში ჩაერთო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ნინუა, რომელმაც კომპანიის გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეუმოწმებლად, 2008 წლის 10 იანვარს, კომპანია „Girwood Business Corp“-თან, თავდაცვის სამინისტროს სახელით გააფორმა ხელშეკრულება, თავდაცვის შესაბამისი ქვედანაყოფების გეგმური საბრძოლო მომზადების შესახებ, რომლის ღირებულება 5 685 000 ევროს ოდენობით განისაზღვრა“.

ხელშეკრულების თანახმად, საავანსო თანხად განისაზღვრა მთლიანი თანხის 40%, მაშინ როდესაც კომპანიას, რომელსაც საქართველოში წარმომადგენლობაც კი არ ჰქონდა, არ დაევალა საბანკო ან სხვა სახის გარანტიების წარმოდგენა. საგამოძიებო უწყების მტკიცებით, სინამდვილეში ხელშეკრულება იყო ფიქციური და დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანია „Girwood Business Corp“-ს სამხედრო ქვედანაყოფებში არანაირი სახის სასწავლო წვრთნები არ ჩაუტარებია.

„დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია „Girwood Business Corp“-ს თავდაცვის სამინისტროდან ოფშორულ ზონაში არსებულ საბანკო ანგარიშზე საავანსო თანხად გადაერიცხა 2 330 937 ევრო. ხოლო დარჩენილი თანხების გადარიცხვის მიზნით, თავდაცვის სამინისტროში ყალბი ანგარიში შედგა, თითქოსდა კომპანიის მიერ სამხედრო დანაყოფებში ჩატარებული სწავლებების შესახებ, რითაც კომპანია „Girwood Business Corp“-ის საბანკო ანგარიშზე დამატებით 2 729 062.50 ევრო გადაირიცხა. მთლიანობაში, დავით კეზერაშვილმა და ალექსანდრე ნინუამ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისე რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბრძოლო სწავლების კურსები არ ჩატარებულა, კომპანიის „Girwood Business Corp“-ის სასარგებლოდ გაფლანგეს 5 060 000 ევრო, რითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი“.

ამჟამად ალექსანდრე ნინუა პატიმრობაში იმყოფება, დავით კეზერაშვილს კი ბრალი დაუსწრებლად აქვს წარდგენილი. პროკურატურა ირწმუნება, რომ ნინუა კეზერაშვილის გარეშე ვერ იმოქმედებდა და ამ ხელა თანხას ვერ გაფლანგავდა. ამ ლოგიკით პროკურატურას ირაკლი ალასანიასთვისაც მოუწევს ბრალის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა დაასაბუთოს, შეძლებდა თუ არა შესყიდვების სამსახურის უფროსი გიზო ღლონტი, ალასანიასგან დამოუკიდებლად 4 მილიონის გაფლანგვას.

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ

გამოძიების ინტერესის მიღმა არც ბაჩო ახალაიას მინისტრობის პერიოდში განხორციელებული შესყიდვები დარჩენილა, თუმცა ამ დრომდე უცნობია, რა საქმეზე დაიკითხა თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ოთარ ბაზაძე, რომელიც 2014 წლის 11 ივნისს ე.წ. მოდულის შენობაში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება თავად ოთარ ბაზაძემ არ ისურვა. ის თავდაცვის სამინისტროში ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს შესყიდვების სამსახურს ხელმძღვანელობდა.

გავრცელებული ინფორმაციით, საქმეს, რომლის ირგვლივაც ბაზაძე დაიკითხა, გრიფი „საიდუმლო“ ადევს და ის ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს კანონდარღვევით განხორციელებულ რამდენიმე ტენდერს უკავშირდება. არ არის გამორიცხული, ამ საქმის გამო ახალაიას კიდევ ერთი ბრალი წაუყენონ.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ანტიდეპრესანტების შეწყვ

მაკა წივწივაძე



მარიამ არაქელოვა

სალომე ჯორბენაძე

ანტიდეპრესანტზე დამოკიდებული: „ახლაც სიამოვნებით დავამთავრებდი ცხოვრებას, რომ არა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ჩემი შვილები ვერასოდეს მოინელებენ და დანაშაულის გრძნობით დაიტანჯებიან“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

დიდი ალბათობით ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს პასუხისმგებლობის საკითხი ძალიან მალე დადგება. წამლების რეცეპტებით გაყიდვის მოწინააღმდეგეთა რიცხვი ყოველდღიურად კატასტროფულად იზრდება. თუმცა მარტივი პრეპარატის გამო ხანგრძლივ რიგში დგომის გარდა, სრულიად სხვა და ბევრად მძიმე პრობლემამ იჩინა თავი. ანტიდეპრესანტების უმრავლესობა ჯანდაცვის ინიციატივით დღეს რეცეპტებით გაიცემა. მედიცინის სფეროს წარმომადგენლები უკვე ხმამაღლა საუბრობენ, რომ ბოლო დროს გახშირებული აგრესიის ფაქტები სწორედ დამოკიდებული ადამიანების მიერ არის ჩადენილი... მტკიცებულებად ბოლო ორიოდე თვის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევები მოჰყავთ, სადაც ადამიანმა სასიკვდილოდ გაიმეტა შეყვარებული, მეუღლე, ოჯახის წევრი... გახშირებული აგრესიის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ რეცეპტების შემოღებას ასახელებენ და აცხადებენ, რომ საპატიმროებიდან გამოსული ადამიანების 99%, როგორც წესი, ანტიდეპრესანტებს, დამამშვიდებლებსა და საძილე საშუალებებს იყენებდნენ. რეცეპტების შემოღების შემდეგ მათ ეს საშუალებაც „გადაეკეტათ“... ნებისმიერი ანტიდეპრესანტის, გნებავთ დამამშვიდებლის ან საძილე საშუალების ანოტაცია რომ ნახოთ, დარწმუნდებით, რომ მათი მიღების უცაბედი შეწყვეტა სწორედ აგრესიას, არაადეკვატურ საქციელსა და ხშირ შემთხვევაში სხვისთვის ან საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების სურვილს იწვევს. „გაფრთხილება – ფიქრები თვითმკვლელობაზე და დეპრესიის ან შფოთვის გაუარესება. დეპრესიის და/ან შფოთვის დროს ზოგჯერ შესაძლოა, გაჩნდეს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების ან თვითმკვლელობის აზრები. ეს აზრები შეიძლება გაძლიერდეს... ემოციური არასტაბილურობა. მსგავსი სიმპტომები ვლინდება მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის ფორმით, მაგრამ ზოგ პაციენტში შესაძლებელია, გამოვლინდეს მძიმე ფორმითაც... რეაქციები ფსიქიკური სფეროს მხრივ და პარადოქსული რეაქციები: ღამის „კოშმარები“, გაღიზიანებადობა, ჰალუცინაციები, აგრესიულობა, არაადეკვატური ქმედებები... დამახასიათებელია მოხსნის სინდრომი და უკუგების ფენომენი ზოგჯერ აღინიშნება მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ“ – ეს ვენლაქსორისთვის და იმოვანისთვის დამახასიათებელი რეაქციებია. დაახლოებით იგივე მახასიათებლები აქვს სხვა, დანარჩენ პრეპარატებსაც. ანოტაციებშიც, ნაშრომებშიც და გაფრთხილებებშიც მკაცრად არის მითითებული, რომ მსგავსი პრეპარატების უცაბედი შეწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. როდესაც ადამიანი ანტიდეპრესანტს იღებს მისი მოხსნა ეტაპობრივად ხდება, ისიც ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ხშირ შემთხვევაში, ძლიერი ანტიდეპრესანტებიდან ჯერ სუსტ პრეპარატზე გადასვლა ხდება და შემდეგ ამ სუსტი პრეპარატის დოზის შემცირება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საბოლოო ჯამში, მკურნალობის დასრულების პროცესი დაახლოებით ოთხ კვირას გრძელდება ხოლმე, წინააღმდეგ შემთხვევაში აგრესიულობა მატულობს უფრო გამძაფრებული დოზით, ვიდრე მკურნალობის დაწყებამდე იყო: „ძლიერი ანტიდეპრესანტების მიღება, თუკი მათ გამოვიყენებთ ორ-სამ კვირაზე მეტხანს, იწვევენ სასტიკ დამოკიდებულებას და ადაპტაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ იმავე ეფექტის მისაღებად სულ უფრო და უფრო დიდი დოზა გვჭირდება, ხოლო მისგან თავის დანებების მცდელობა იწვევს სასტიკ სიმპტომებს. პრეპარატების მიღების შედეგად ხდება სიმპტომების დროებითი გაქრობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიურად გიყალიბდება რწმენა, რომ შენი კარგად ყოფნა დამოკიდებულია წამალზე და რომ ეს დამოუკიდებლად არ შეგიძლია. ასევე, ვერ ახდენ დიფერენცირებას, მდგომარეობიდან გამოსვლა შენი დამსახურებაა თუ წამლის, რაც, თავის მხრივ, იწვევს იმას, რომ გეშინია თავის დანებება, ხოლო ეს შიში იმის გარანტიაა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყება. გარდა ამისა, ანტიდეპრესანტების გრძელვადიანი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, შესაბამისად, არავინ იცის, რას გამოიწვევს ისინი მომავალში. მართალია, ბევრ შემთხვევაში მათი მიღებიდან 3-4 კვირის შემდეგ იწყება სიმპტომების გაქრობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი „კურნავს“ პრობლემას და ამის საწინააღმდეგოს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ კლინიკური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ ფარმაკოთერაპიის ჩატარებისა და მისი შეწყვეტის შემდეგ ძალიან მაღალია რეციდივის კოეფიციენტი“.

ქეთევან გეჯაძე:
„ფსიქოტროპული, ანტიდეპრესანტების ან მსგავსი საშუალებების უეცარი შეწყვეტა, არმიღება დაავადების განახლების პროვოცირებას იწვევს, რამაც შეიძლება ადამიანი გაუსაძლის, გაღიზიანებულობისა და გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ჩააგდოს“

„პრაიმტაიმი“ ესაუბრა ანტიდეპრესანტზე დამოკიდებულ ორ ადამიანს. მათი ისტორიები რადიკალურად განსხვავდება. ერთმა მათგანმა შეძლო დამოკიდებულების დამოუკიდებლად დაძლევა, ხოლო მეორე დღესაც პრობლემის წინაშე დგას და მისთვის სიტუაციას გაცილებით ამძიმებს სწორედ რეცეპტების პრობლემა...

ანტიდეპრესანტზე დამოკიდებული ადამიანი: „ინტერნეტშიც ძალიან ბევრი ინფორმაცია მოიძებნება. თუ ნახავთ სტატიებს, გაიგებთ, რომ ნარკოტიკებზე უარესი მიჯაჭვულობა აქვს ანტიდეპრესანტებს. უბრალოდ, იურიდიულად არ ითვლება ნარკომანიად და აფთიაქებშიც თავისუფლად იყიდებოდა აქამდე. როდესაც ამბობენ, ანტიდეპრესანტები არ იწვევს შეჩვევას, ან მისი კურსის დასრულების შემდეგ უკეთ იკურნებიანო, ჩემი გამოცდილებით გეტყვით, რომ ეს ასე არ არის. დამხმარე წამლებისა და ფსიქოთერაპიის გარეშე დიდი ხანია სუიციდით წავიდოდი ამქვეყნიდან. ახლაც სიამოვნებით დავამთავრებდი ცხოვრებას, რომ არა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ჩემი შვილები ვერასოდეს მოინელებენ და დანაშაულის გრძნობით დაიტანჯებიან. სამწუხაროდ, მე ჯერ დიდი პრობლემა მაქვს მოსაგვარებელი: ვებრძვი ერთ-ერთ წამალზე მიჯაჭვულობას. ვკითხულობდი ინტერნეტში და თუ ვაჯობე იმოვანს, რომელიც (ყველას ძალიან გთხოვთ არ გაეკაროთ) მსოფლიო მასშტაბით პრობლემაა“.

ანტიდეპრესანტების მიღებას ბევრი ეწინააღმდეგება. ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ საკუთარი სისუსტეები თავად უნდა აკონტროლოს, ყოველგვარი ანტიდეპრესანტის, წამლისა და ფსიქოლოგის დახმარების გარეშე, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ ანტიდეპრესანტებზე დამოკიდებულება ყველაზე რთულად მოსაგვარებელია. თუმცა ასეთი ადამიანების რიცხვი საკმაოდ ცოტაა: „მე ვუთხარი

ქეთევან გეჯაძე: „მე ვადანაშაულებ ჯანდაცვის მინისტრს საზოგადოებისა და ქვეყნის მოუმზადებლად შემოღებულ რეცეპტებთან დაკავშირებულ მაფიოზურ გარიგებაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეტით გამოწვეული აგრესია

ხანუმ ჯეირანოვა

სოფო ზურეზიანი

ლუდა გიორგაძე

EXCLUSIVE

ჩემს თავს, რომ კარგად ყოფნა წამლის გარეშეც მიიღწევა, შეიძლება გაცილებით რთულია, მაგრამ უფრო ეფექტური, ვიდრე წამლით. შენით გამოსვლას გართულებები ნაკლები დოზით ახასიათებს, იმიტომ რომ ყველაფერი საკუთარ აზრებზეა დამოკიდებული და შენს სტრესთან მიდგომაში. თუ წამლის გარეშე, აზროვნებით მოახერხებ შეცვლას, ძალიან ცოტა შანსი რჩება, რომ ის უკან დაბრუნდეს. მე არ ვამბობ, ცხოვრებაში სტრესი და განცდა აღარ მექნება-მეთქი, უბრალოდ, სწორი მიდგომა უნდა ვისწავლოთ, რომ საკუთარი თავები შფოთვითი აშლილობის წრედში აღარ მოვაქციოთ. რატომ არ დამემართა აგორაფობია ან რამე სხვა ფობია? მქონდა აშლილობის ძალიან მძიმე მომენტები, როდესაც სახლიდან გასვლა არ მინდოდა, არც გავდიოდი, ვიწექი და ველოდებოდი სიკვდილს. მეგონა, რომ ვკვდებოდი, მაგრამ არ მოვკვდი, ავდექი და გარეთაც გავედი. მქონდა პერიოდი, როდესაც მეტროთი მარტო მგზავრობის მეშინოდა. ერთ დღესაც ავდექი, წავედი მეტროთი და გავაანალიზე, რომ ამაში საშიში არაფერია. დღეს მე არანაირი ფობია არ მაწუხებს საერთოდ. ეს ხომ ჩემით შევძელი, წამალი არც დამჭირვებია, სიმპტომებიც შემცირდა, დღითი დღე თავს მანებებს. არ მჯეროდა, როცა მეუბნებოდნენ, წამლების გარეშე წრედს გაარღვევ და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებიო, მაგრამ ფაქტი სახეზეა. ჩემში რაიმე არაამქვეყნიური ძალა არ დევს, რაც თქვენში არ არის“.

„საქართველოს მედიკოსთა კავშირის“ თავმჯდომარის, ქეთევან გეჯაძის განცხადებით, პრობლემის დამოუკიდებლად დაძლევის უნარის მქონე ადამიანები ძალიან იშვიათად გვხვდებიან. შესაბამისად, ის სწორედ დავით სერგეენკოს ადანაშაულებს დამატებითი პრობლემების შექმნაში და ამის შესაბამ მინისტრს პირადადაც მისწერა, თუმცა სამინისტროს წერილზე რეაგირება ჯერაც არ მოუხდენია.

შეწყვიტე!

ქეთევან გეჯაძე, „საქართველოს მედიკოსთა კავშირის თავმჯდომარე“:

– ყველასთვის ცნობილია, რამდენად ბევრი მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ ადამიანმა დაიწყოს ტრაკვილიზატორების, ფსიქოტროპული ან, უფრო უარესი, ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება. სიდუხჭირე და სოციალური არამდგრადობა ხშირი მიზეზი ხდება ადამიანის ფსიქოსომატური მოტორიკის მოშლის, რაც აუცილებლად ფსიქონევროლოგებისა და ფსიქიატრების სამკურნალო ხდება, უკვე ხშირ შემთხვევებში შეძლებული ოჯახების ტრაგედიადაც კი იქცა. ფსიქიატრიული პრეპარატები – ეს ძლიერი საშუალებებია, რომლებიც იწვევს ,,შეჩვევას“, თუმცა ასეთი ჯგუფის პრეპარატების მიღება ორგანიზმისთვის დიდი რისკ-ფაქტორიცაა, რადგან მათმა მიღებამ შეიძლება საშინელი ზიანი გამოიწვიოს, რაც კიდევ უფრო მეტ პრობლემას მიიღებს შედეგად.

– რა პრობლემა შეიძლება მივიღოთ?

– ფსიქიატრიული პრეპარატების ხანგრძლივმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის მძიმე დაავადება, გულის მოულოდნელი უკმარისობა, დიაბეტი, შიდა სისხლდენა, დეპრესია, მოდუნება, ჰალუცინაციები, ქრონიკული ფსიქოზი, ძალადობის, აგრესიისა და თვითმკვლელობის შემთხვევები – ეს არის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი ოფიციალური გვერდითი მოვლენებისა.

– და რა მოჰყვება მსგავსი პრეპარატების მოულოდნელ შეწყვეტას მაშინ, როდესაც კონკრეტული ადამიანი მასზე დამოკიდებულია?

– ფსიქოტროპული, ანტიდეპრესანტების ან მსგავსი საშუალებების უეცარი შეწყვეტა, არმიღება დაავადების განახლების პროვოცირებას იწვევს, რამაც შეიძლება ადამიანი გაუსაძლის, გაღიზიანებულობისა და გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ჩააგდოს. უამრავი დასაბუთებული მაგალითების მოყვანა შეიძლება მსოფლიოს სამედიცინო პრაქტიკიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს ქვეყანაზე. უკვე დიდი ხანია ვსვამ კითხვას, რომელსაც არ პასუხობს ჯანდაცვა: რატომ ხდება ისე, რომ, რასაც დასავლეთში იწუნებენ, ჩვენთან დიდი ზარ-ზეიმით იღებენ და პირიქით, რაც მიღებულია დასავლეთში, ჩვენთან უარყოფილია? მე, როგორც „საქართველოს მედიკოსთა კავშირის თავმჯდომარე“ ვადანაშაულებ ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს საზოგადოებისა და ქვეყნის მოუმზადებლად შემოღებულ რეცეპტებთან დაკავშირებულ მაფიოზურ გარიგებაში.

ყველაზე მეტად ამ პრობლემას ფსიქოლოგები აწყდებიან, მათ უამრავ ადამიანთან უწევთ ურთიერთობა, რომლებიც სწორედ ანტიდეპრესანტებზე დამოკიდებულებას ებრძვიან. ფსიქოლოგ რუსუდან ფხაკაძის განცხადებით, სხვა ბევრ განმაპირობებელ მიზეზთან ერთად პრობლემას, რა თქმა უნდა, მედიკამენტების რეცეპტებით გაცემაც ქმნის...

„არის ქიმიური დამზადების ანტიდეპრესანტები, რომლის უცაბედი შეწყვეტა არაფრით არ შეიძლება“

რუსუდან ფხაკაძე, ფსიქოლოგი:

– ბუნებრივია, ანტიდეპრესანტები მოქმედებს ფსიქიკაზე, მათი მოულოდნელად შეწყვეტა, რასაკვირველია, აგრესიულობას ზრდის.

– როგორც წესი, ანტიდეპრესანტები შეჩვევას არ იწვევს...

– გააჩნია ანტიდეპრესანტს, ზოგი იწვევს და ზოგი – არა. ეს ფსიქიატრების საქმეა და დეტალები მათ უკეთ იციან. როდესაც ანტიდეპრესანტების შეწყვეტაზე ვსაუბრობთ, არის ზოგიერთი მათგანი, რომლის პირდაპირ შეწყვეტაც შეიძლება, მაგალითად, ბალახეული ანტიდეპრესანტები შეიძლება პირდაპირ აღარ მივიღოთ, თუმცა არის ქიმიური დამზადების ანტიდეპრესანტები, რომლის უცაბედი შეწყვეტა არაფრით არ შეიძლება. ყველა მათგანს თავისი წესები აქვს, დოზის შემცირებით ან კიდევ სხვა საშუალებებით ხდება თავის დანებება.

– რამდენად შეიძლება გაზრდილი აგრესიის მიზეზად ნაწილობრივ სწორედ ანტიდეპრესანტების შეწყვეტა ჩაითვალოს?

– საერთოდ, მიმაჩნია, რომ, პირველ რიგში, სწორედ სიძულვილის კულტურა მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ამის არგათვალისწინება და ამ მიმართულებით სწორი ნაბიჯების არგადადგმა, რასაკვირველია, აძლიერებს აგრესიულობასაც და სიძულვილსაც. საერთოდ, აგრესიას არ ვუკავშირებთ თითოთითო პრობლემას, ყველაფერი ერთად აღებული ქმნის იმ გაუსაძლის სოციალურ ატმოსფეროს და ადამიანის შინაგანად მძიმე მდგომარეობას, რომელიც ხშირად გამოვლინდება ხოლმე. კიდევ უფრო კონკრეტულად, ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან არასტაბილურ, ექსპერიმენტულ და სიძულვილის კულტურის მქონე გარემოში. ამის გამომწვევი მიზეზები კონკრეტულად რეცეპტების მოულოდნელი შემოღება, ციხიდან მრავლად გამოსული ადამიანები იქნებიან თუ კიდევ სხვა უამრავი პრობლემა, ბუნებრივია, ეს ყველაფერი დამატებით განსახილველი საკითხებია.

რუსუდან ფხაკაძე: „ბუნებრივია, ანტიდეპრესანტები მოქმედებს ფსიქიკაზე, მათი მოულოდნელად შეწყვეტა, რასაკვირველია, აგრესიულობას ზრდის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გახმაურებული მკვლელობის

მარიამ ნადირაძე

2006 წელს, 4 თებერვალს, საკუთარ დაბადების დღეზე მოკლეს 15 წლის ირაკლი გოგბერაშვილი. მკვლელი ოჯახმა გადამალა. სასამართლომ კი მას დაუსწრებლად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა...

ოთხი წლის შემდეგ, ამ ოჯახში მეორე ტრაგედია მოხდა. ოჯახში ცოცხლად დარჩენილი უკანასკნელი შვილი, 20 წლის სანდრო გოგბერაშვილი სახლიდან რამდენიმე მეტრში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიით თავში მიღებული დაზიანებით გარდაიცვალა. მას კონფლიქტი ჰქონდა უბნელთან, ზურაბ ტარყაშვილთან. იმ დღეს შემთხვევის ადგილზე ზურაბ ტარყაშვილიც იმყოფებოდა მეგობრებთან ერთად, თუმცა მართლმსაჯულებამ ის ციხეში ხულიგნობის მუხლით გაუშვა, სანდროს განზრახ მკვლელობისთვის კი 24 წელი მისავე ბავშვობის მეგობარს, თორნიკე კაჭარავას შეუფარდა. თორნიკე ამჟამად მიმალვაშია...

2011 წლის 17 ოქტომბერს, ტარყაშვილის ციხიდან განთავისუფლებიდან 10 დღეში ის სანდროს მამამ მოკლა...

ჩვენ აქამდე მხოლოდ გარდაცვლილი ტარყაშვილის ოჯახის პოზიცია ვიცოდით, დღეს ჩვენ შემოგთავაზებთ ინტერვიუს მეგობრის მკვლელობაში მსჯავრდადებულის, თორნიკე კაჭარავას დედასთან და რაც მთავარია, პირველად „პრაიმტაიმში“ წაიკითხავთ ინტერვიუს დავით გოგბერაშვილთან, რომელიც დღესაც პატიმრობაშია და მიიჩნევს, რომ ამ შურისძიებამდე მართლმსაჯულების ცინიკურმა უსამართლობამ მიიყვანა.

თორნიკე კაჭარავა და სანდრო გოგბერაშვილი

ზურაბ ტარყაშვილი

ვერიკო ბაზიარი, თორნიკე კაჭა-

რავას დედა:

– თორნიკე პირველ სკოლაში რომ შევიყვანე, თავიდანვე ერთ მერხზე მოხვდა სანდროსთან. ისინი მარტო მეგობრები კი არ იყვნენ, ერთმანეთით ცხოვრობდნენ...

სანდრო უსაყვარლესი ბიჭი იყო. თორნიკე ყოველთვის არ მეუბნებოდა სიმართლეს, სად იყო. როცა წყნეთში, ან კოჯორში ადიოდნენ, სულ მეშინოდა. არ მინდოდა, ღამით ევლოთ. სანდროს რომ დავურეკავდი, ის აუცილებლად სიმართლეს მეტყოდა. ტელეფონს ასე პასუხობდა, – „დიახ, ვერიკო დეიდა“. ეს ხმა მუდმივად, ახლაც ყურში ჩამესმის. თავის სიცოცხლეში დანითა და იარაღით კი არა, ფრჩხილით არ ეყოლებოდა ვინმე გაკაწრული... სანდროს 4 წლით ადრე უმცროსი ძმა მოუკლეს. ამ ბავშვზე,ირაკლიზე სკოლაში ამბობდნენ, ფენომენალური ტვინის ადამიანი იყოო. იმ ზაფხულს ირაკლი წყნეთში ისვენებდა. ჩამოსულს ოჯახში მოუყოლია, ერთი უცნაური ბიჭი გავიცანი, მგონი, ჯანმრთელად არ არის. ამბობს, ხანდახან მომივლის და ადამიანის სისხლის დანახვა მინდაო. აღმოჩნდა, რომ ამ ბიჭს უამრავი ადამიანი ჰყავდა დაჭრილი. ირაკლი ამ ბიჭის გაცნობით თან შეძრწუნებული იყო და თან ეცოდებოდა. 4 თებერვალს დაბადების დღე ჰქონდა და იმ ბიჭს უთქვამს, მეც მინდა დაბადების დღეზე მოსვლაო. სანდროსა და ირაკლის ოჯახი ვიწროდ ცხოვრობდა. ამიტომ დაბადების დღე მეგობრის დაკეტილ სახლში გადაიხადა. იმ სუფრაზე ამ ბიჭს უსიამოვნება მოსვლია ირაკლის მეგობართან. ირაკლის შენიშვნა მიუცია. ისიც გაბრაზდა და დედამისს დაურეკა, მომაკითხე, აქ არ მინდა ყოფნაო. როცა დედამისი მოვიდა, ირაკლიმ გამოაცილა ეს ბიჭი. კიბეზე რომ ჩამოდიოდნენ, ამ ბიჭმა, გვარად კიკაბიძე იყო, დედის თვალწინ კიბეზე საძილე არტერიაში დაჭრა ირაკლი სუფრიდან მოპარული დანით, ჩაუხტა დედამისს მანქანაში. იმ ქალმაც პირდაპირ აეროპორტში გააქანა და გზიდან შეატყობინა ქმარს მომხდარის შესახებ. ეს კაცი საკმაო დიდი გავლენით სარგებლობდა. მას შემდეგ ამ ოჯახმა ბიზნესიც უცხოეთში გადაიტანა და საქართველოში აღარ გამოჩენილა. საქმე ჩააწყვეს. პროკურორს დაუთმეს საკუთარი ბინა. სხვათა შორის, ორი წლის თავზე ეს პროკურორი ამ ბინაში ჩამომხრჩვალი იპოვეს. სასამართლომ ირაკლის მკვლელს დაუსწრებლად 7 წელი მიუსაჯა. ამ მკვლელობამ ძალიან შეცვალა თორნიკეც და სანდროც. როდესაც ამ ასაკის ბიჭები ხედავენ, რომ ასეთი დანაშაულისთვის სახელმწიფო სჯის, მერე ცხოვრებას აგრძელებენ, მაგრამ, როცა ნახეს, რომ ამ პატარა ბიჭის სიცოცხლის მოსწრაფისთვის არავის უგია პასუხი, ეს მათთვის უსამართლობის პიკია. იმ დღის მერე, სანდრო გაცინებული არავის უნახავს. 6 თვე ინგლისში სწავლობდა. მერე ჩამოვიდა და მთხოვა, თორნიკეც გამოუშვითო.



ივერი (დავით) გოგბერაშვილი

2010 წლის 14 მარტს დღისით სანდრო პურზე ჩავიდა მაღაზიაში. იმ მაღაზიაში შესულა ტარყაშვილი. სანდროზე სამი წლით დიდი იყო. გამარჯობა რომ თქვა, სანდროსაც უპასუხია, მაგრამ ძალიან დაბალი ხმა ჰქონდა. შენ, ბიჭო, რაც ინგლისში წახვედი, გამარჯობა დაგავიწყდაო. სანდროს უთქვამს, მოგესალმე და ვერ გაიგეო. ტარყაშვილი მივიდა და თავზე ხელი ჩამოარტყა. სანდრომ ხელი ჰკრა. იმას ნამცხვარი ჰქონია აღებული და ხელიდან გაუვარდა. ერთი სიტყვით, შეძიძგილავდნენ. გააშველეს და ბოლოს რომ გამოვიდნენ, მე შენ მოგივლიო, დაემუქრა. სანდროს ეს ამბავი არაფრად ჩაუთვლია, თორნიკესთვისაც კი არ მოუყოლია. მეორე დღეს ექვსის ნახევარზე დარეკე სამსახურიდან, თორნიკე სახლში იყო. მითხრა, გოგბერასთან მივდივარ, იმ ბიჭებს უნდა შევხვდეთ, ინგლისში სამუშაოს ამბავზეო. შვიდის ნახევარზე მოვედი. ვივახშმე. დაახლოებით რვის ნახევარი იყო, მირეკავენ და მეუბნებიან, სანდრო დაჭრესო. მაშინვე გავიქეცი, მითხრეს, მეცხრე საავადმყოფოში მიჰყავთო.

– შემთხვევის შესახებ რა იცით?

– ამ ბიჭებს სანდრო და თორნიკე კაფე „პურ-პურში“ შეხვდნენ. 4 ჩაი ჰქონდათ აღებული. მანამდე დედისგან ვიცი, მთელი დღე ვიღაც ურეკავდა და სანდრო ძირითადად არ პასუხობდა. როცა უპასუხებდა, ეუბნებოდა, არ მცალია და როცა მოვიცლი, მერე გამოვალო. 6ნ ზარი იყო შესული სანდროსთან დილიდან საღამოს 4-5 საათამდე. კაფეში რომ წავიდნენ, იქ დაადგნენ თავზე. ტარყაშვილი დილიდან ემზადებოდა სანდროსთან შესახვედრად. მანქანა, რითაც მასთან მივიდნენ, სავსე იყო „დუბინკებით, ბეისბოლის ჯოხებით. ეს იყო მანქანა, რითაც ეს „ზონდერჯგუფი“ მოძრაობდა მთაწმინდის ტერიტორიაზე – ტარყაშვილი, ძმები ჩიჩუები და ლატარია. ეს იყო ზონდერბრიგადა, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფილი იყო ნარკოტიკით, იარაღითა და ფულით. ამიტომაც იყო, რომ მაღაზიაში ინციდენტის შემდეგ, გამყიდველმა უთხრა სანდროს დედას, საშინელი ხალხია და მამამისი გააფრთხილეთო. დათოს რომ უკითხავს სანდროსთვის, სანდროს უთქვამს, არაფერი მომხდარა. ამას გაგრძელება არ ექნებაო. სანდროს ცემას რად უნდოდა 4 კაცი? ეს ისეთი პერიოდი იყო, მთაწმინდა გადათხრილი იყო, დენის კაბელებს ცვლიდნენ. კოკისპირული წვიმა იყო იმ დასაქცევ დღეს. ესენი რომ მივიდნენ, სანდროს სწერდნენ, გამოდიო. ის მაშინ გავიდა, როცა თორნიკე საპირფარეშოში იყო გასული, მეგობარი შარში რომ არ გაეხვია. ამ ამბამდე 5 წუთით ადრე სინათლე ჩაქრა. მამამ დაურეკა სანდროს. მას კი უპასუხია, 5 წუთში ვიქნებიო. მამამისი ყვება, მოვტრიალდი იმ კედლისკენ, სადაც ირაკლის სურათები მელაგა, რადგან ვიცოდი, რომ სანთელი იქ იქნებოდაო. დავანთე სანთელი და სროლაც ატყდა ისეთი, გეგონებოდა, ომი დაიწყოო. მაშინვე გამოვარდნილა დათო. ჭავჭავაძის კვეთაზე თორნიკე შეხვდა, გვესვრიან, დათო ბიძიაო. ჩქარა სახლში შედიო და თვითონ სანდროსკენ გაიქცა. ვიღაც ოთხი მანქანაში ჩახტა. თვითონ მივიდა და ტვინგახვრეტილი შვილი დახვდა იქ.

„მკვლელი მკვდარია, გულიც მოვიფხანე... მე აღვასრულე სამართალი იმიტომ, რომ ეს არ გააკეთა იმან, ვისაც ეს ევალებოდა“

წარმოიდგინეთ, რა ჭკუაზე უნდა იყოს ეს კაცი. ღრიალით აიყვანა შვილი. დედამისის კივილს მიჰქონდა იქაურობა. სასწრაფოს არც დაელოდნენ, მაშინვე გააქანეს საავადმყოფოში, სანდრო მაშინ ჯერ კიდევ რაღაცას ლუღლუღებდა თურმე. იმ საავადმყოფოში სანდრო გარდაიცვალა.

ფაქტი საბოლოოდ ასე წარმოჩინდა: თურმე ეს ჯგუფი, რომელიც დღის განმავლობაში 6ნ ზარს ახორციელებს სანდროს ტელეფონზე, მასთან შესახვედრად თავზე ხელის გადასასმელად მივიდა. თაღში რომ შეიყვანეს, სანდრომ ამოიღო იარაღი და დაუმიზნა ტარყაშვილს. მას ეცა ჩიჩუა და ეჯავჯგურებოდა, რომ ნაერთმია. ამ დროს ქუჩიდან გაისმა სროლები, დაიჭრა სამივე და მოკვდა სანდრო. თანაც მას ისე მოხვდა თავში ტყვია, რომ ამ ტყვიამ ქუჩიდან თაღში შეაღწია, მერე მოუხვია და პირდაპირ საფეთქელს მოხვდა.

ერთი სიტყვით, ნაციონალური მართლმსაჯულების წყალობით, პირველმა ინსტანციამ ტარყაშვილსა და ძმებ ჩიჩუებს 14, 12 და 4 წელი მიუსაჯა. სააპელაციომ კი, რაკი მათ ხელი სანდროსკენ გაიშვირეს, 10-10 წელი დააკლო, თანამშრომლობისთვის საპროცესოც გაუფორმა და ზურაბ ტარყაშვილი წელიწადი და შვიდი თვის შემდეგ ციხიდან გამოუშვა. 10 დღეში რუსთაველზე მოხდა საზარელი მკვლელობა:

ვერიკო ბაზიარი: „იმ დღეს დათო გოგბერაშვილთან სანდროსა და თორნიკეს ძმაკაცები იყვნენ... ერთი კვირით ადრე, მე ვკითხე დათოს, შენ უკვე მაზიარებელი ადამიანი ხარ და იმედია, შურს აღარ იძიებ-თქო. მან კი მიპასუხა: არ ვიცი, ვერიკო, ჩემი გასაკეთებელი მე უნდა გავაკეთოო. იმ დღეს, დათოს დაურეკეს, ზურა ტარყაშვილი სტომატოლოგიურ კლინიკასთან ვნახე, მარტო იყოო. დათოს არაფერი უთქვამს ბიჭებისთვის, ისე დაეშვა კიბეებზე.“

ზურა ტარყაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. ახლა კი ვნახოთ, რას ყვება სანდრო და ირაკლი გოგბერაშვილების მამა დავით გოგბერაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას:

– ბევრი სალაპარაკო არ მაქვს. მოსაკლავი მოვკალი. თორნიკე კაჭარავა კი სულ უდანაშაულოდ არის დასჯილი. რისთვის დასაჯეს ამ უნამუსოებმა, არ ვიცი. ეს ჩემთვის უკანასკნელი წვეთი იყო. ეს რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელია, აქამდეც არ მისულიყო ყველაფერი. წესიერად რომ მოქცეულიყვნენ. სხვისი საქციელი, თუ უსაქციელობა დააბრალეს ამ ბავშვს. 9 თვე გამომძიებელი მეუბნებოდა, მოვიდეს მოწმის სტატუსით. მაგათი მეგობარი დაადებს ხელს ერთ-ერთს და ამან დაადასტუროსო. გამიკვირდა, როგორ მოვიდეს და დაადასტუროს ადამიანმა, რომელსაც არაფერი უნახავს-მეთქი. ასე გრძელდებოდა ცხრა თვე. ამის შემდეგ კი ხელი გაიშვირეს თორნიკესკენ. მე გამაფრთხილეს, ასე მოიქცევიან, ამას აპირებენო. მე მაშინ ვუთხარი კიდეც, ამას ნუ გააკეთებენ, ჩემი შვილის მკვლელობას ესეც რომ დაუმატ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ ვილის მკვლელობისთვის შურისძიებელ მამასთან

ვერიკო ბაზიარი

ონ, მერე არ ვიცი, რა იქნება-მეთქი. მაინც ასე მოიქცნენ. თორნიკეს სასამართლოზე არ მიშვებდნენ. მემუქრებოდნენ, დაგიჭერთო. ბოლოს ადგნენ და სააპელაციო სასამართლოში ოთხიდან ორმა თორნიკესკენ გაიშვირა ხელი. მოწმეები, რომლებმაც სიმართლე იცოდნენ, არც კი დაუკითხავთ. საოჯახო სასამართლო ჩაატარეს. როცა ისინი პირველად დაიჭირეს, 14, 12, 4 წელი მიუსაჯეს და მძღოლს, მგონი, წელიწად-ნახევარი. მერე ეს მძღოლი გამოუშვეს, მე მომიგდეს, ვნახოთ, აბა, რას იზამსო. ამ მძღოლმა თავიდან სიმართლე თქვა, რაც იქ მოხდა. მას მერე შეაცვლევინეს ჩვენება და მერე დაწერა, პოლიციის ზეწოლის ქვეშ ვიყავი და ჩემს მეგობრებს დავაბრალეო. შემდეგ, როდესაც ის გამოუშვეს, დანარჩენების აპელაციამდე, კიდევ მივიდა სასამართლოში და გაიმეორა ის სიმართლე, რაც თავიდან ჰქონდა ნათქვამი. ამის გამო მეორედ დაიჭირეს, მანქანაში ვითომ იარაღი უპოვეს. შეაცვლევინეს ეს ჩვენება და სამი თვის მერე ისევ გამოუშვეს. ბოლოს გააფრთხილეს, ალბათ, უთხრეს, ციხეში დაგგალპობთო და ისევ დაუბრუნდა იმ ჩვენებას, სადაც ამბობდა, – არაფერი მინახავსო. ამათ კი პირველმა ინსტანციამ 14, 12 და 4 წელი მისცა. აპელაციაში კი თორნიკეს რომ დაადეს ხელი, 10-10 წელი მოაკლეს და საპროცესო გარიგება გაუფორმეს. აპელაციაში გააკეთეს თავისი ბინძური საქმე. სააპელაციოში რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. შეიძლება ისე მოგვიდეს განაჩენი, რომ საერთოდ დარბაზში არც შეგიყვანონ. 10-10 წელი რომ დააკლეს, სულ შემთხვევით გავიგე. შემდეგ, ერთი წლის შემდეგ გაახსენდათ, თურმე. თორნიკე ყოფილა ყველაფერში დამნაშავე, ჩვენ არაფერ შუაში ვართო, და წელიწადსა და 7 თვეში სახლში გამოვიდნენ. სააპელაციო სასამართლოს შემდეგ.

– თქვენ მეორე შვილიც მოგიკლეს მანამდე...

– სხვათა შორის, ირაკლის მკვლელობაზეც იგივე გამომძიებლები და მოსამართლე მუშაობდნენ და ვითომ გამოიძიეს. არც ვიცი, იქ რა ხდება საერთოდ. მკვლელი ოჯახმა სადღაც 9 მთას იქით გადამალა. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, სწორად მოიქცნენ. გადამალეს მაინც, თვალს მოაცილეს. ძალიან რთულია, ყოველდღე სახლიდან გამოხვიდე და ხედავდე შვილის მკვლელისა და მისი ოჯახის ციინიკურ ქცევებს. ყოველდღე ოთხი პოლიციელის გარემოცვაში დადის შენი სახლს წინ, შენს ცხვირწინ, ლუდით ხელში, გამომწვევად იქცევა – ჩვენი პოლიცია ჩვენ გვიცავსო. ამის იმედი ჰქონდათ. მანამდე მამამისი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ცდილობდა, რომ შარში გაეხვია ვინმე ჩვენი ახლობელი, ან მე. ჩვენს აივანთან ხშირად გამოივლიდა ფანჯრებჩაწეული მანქანით, საიდანაც ტაშ-ფანდური და სურამელაშვილის სიმღერები ისმოდა.

– ბიჭებს ჰქონდათ იარაღი. გამორიცხავთ, რომ თორნიკეს მიერ გასროლილ თუნდაც ბრმა ტყვიას ემსხვერპლა სანდრო?

– აბსოლუტურად გამოვრიცხავ.

– ბოლოს თქვენ მაზიარებელი ადამიანი იყავით. მაინც რატომ გადაწყვიტეთ შურისძიება?

– ამ გადაწყვეტილებამდე მერე, გვიან მივედი... ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ტარყაშვილს 17 წელს მისცემდნენ, თუ თორმეტს. მე მაინც არ ვაპირებდი ამდენხანს ლოდინს.

– მაინც იგივეს გააკეთებდით?

– მე მაინც მეგონა, რომ დრო გავიდოდა და ჭკუაზე მოვიდოდნენ. ხომ შეიძლება, ახალგაზრდები არიან, ზედმეტი მოუვიდათ, ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ... ჩემს შვილს მაინც ვერავინ დამიბრუნებდა. მე ერთ კაცს მოვკლავდი, თუ ხუთს, ჩემთვის მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ერთადერთი ვუთხარი, კარგი, მომიკალით შვილი, აღარ მყავს, მაგრამ თორნიკეს შვილივით ვუყურებ და ამას მაინც ნუ დამიჩაგრავთ-მეთქი, რატომ მიკეთებთ ამას-მეთქი. ასე გვინდა და ასე იქნებაო. მაშინ ისე იქნება, როგორც მე ჩავთვლი საჭიროდ-მეთქი. სხვა გზა არ დამიტოვეს. სხვანაირად არ გამიგოთ, მეგონა, აპელაცია იქნება, ცოტა გონზე მოვლენ, რაღაც შეიცვლება, ადამიანს ცოტა ნამუსი ხომ უნდა ჰქონდეს? კარგი, მოკალი, ასეთი რამ შეიძლება მოგვივიდეს, ემოციურ ნიადაგზე ვერ გაზომე, მაგრამ მერე შენი მოკლული ისეთ ადამიანს დააბრალო, 20 წლის ბიჭს, რომელიც არაფერ შუაშია? ძმაკაცს დააბრალო ძმაკაცის მკვლელობა, როცა ეს შენ გააკეთე? მართლა ასეც რომ ყოფილიყო, განზრახ მკვლელობას რატომ უყენებ? რატომ წირავ და 24 წელს რატომ უსჯი ტყუილად 20 წლის ბიჭს.

– ამას უშვებთ, რომ შეიძლება თორნიკეს შემთხვევით მოეკლა?

– არა, მე ამას არ ვუშვებ... აქამდე არ მითქვამს, ახლა გეტყვით. მის გასვენებაში ყველა იყო – ადეიშვილი, მერაბიშვილი, სააკაშვილი. მთელი ნაცელიტა. მისი და ერთ-ერთი რაიონის შტაბის ხელმძღვანელი იყო. სიძე – „რეალტივის“ ერთ-ერთი სახე... მისი თავებია ეს ყველაფერი. ეს ყველაფერი მათი დახმარებით ხდებოდა, თორემ მაშინ რუსთაველზე წითელზე რომ ფეხით გადასულიყავი, წელიწადი და შვიდი თვე ციხე შეიძლება ამისთვის მოეცათ. ამ ადამიანებმა აღიარეს სროლა, იარაღი, ყველაფერი აღიარეს, მკვლელობის გარდა, და წელიწად-ნახევარში გარეთ გამოუშვეს. ამათ ეგონათ, რომ ის ხალხი დაიცავდათ ყველაფრისგან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის.

– ამაზე მეტი რაღა უნდა გააკეთონ? ტარყაშვილი მკვდარია...

– კი, მკვლელი მკვდარია, გულიც მოვიფხანე, მაგრამ საერთო ჯამში ეს ხომ არაფერს ცვლის? მაინც ვერავინ მოვახედე სიმართლისკენ. მე აღვასრულე სამართალი იმიტომ, რომ ეს არ გააკეთა იმან, ვისაც ეს ევალებოდა. ამიტომაც, დღისით, მზისით, ყველას დასანახად გავაკეთე ეს შუა რუსთაველზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არავის არაფერი დაჰბრალებოდა. მაგრამ მაინც მოახერხეს, რომ 2 საათზე რუსთაველზე ვერ ნახეს მოწმე, ვინც ტყუილს იტყოდა

და გლდანიდან მოიყვანეს პოლიციელი, ვინც თქვა, რომ თითქოს მე ვიღაც მახლდა. დანარჩენი მოწმეები არიან ოჯახის წევრები, ვინც იქ არ ყოფილან.

– თუმცა მოწმეა ნიკა მელიაც...

– ნიკა მელია ისეთივე მოწმეა, როგორც ის გლდანელი პოლიციელი. მელია იმ დროს იყო პრობაციის უფროსი. და ის ბავშვი, რომელიც ახლა ჩემთან ერთად არის დაჭერილი, პრობაციაში იყო მიმაგრებული. ამიტომაც მელიამ მოწმეობაც ითავა. თუმცა, ესეც ვერ გააკეთა ისე, რომ ეს სტატუსი შეენარჩუნებინა. ვერ გაერკვა მელია, ვისთვის რა უნდა დაებრალებინა, რომელი მხარე რომლის იყო და მისი მოწმეობა ისტორიად დარჩა.

ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა: როდესაც თორნიკე კაჭარავას სასამართლომ 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაკი ის ძებნაში იყო, მისი ოჯახი ვერ ასაჩივრებდა ამ გადაწყვეტილებას. ამიტომ, ეს გააკეთა დაზარალებულმა. გოგბერაშვილებმა აიყვანეს ძვირადღირებული ადვოკატი და „მკვლელის“ გამართლება მოითხოვეს.

სხვათა შორის, 2013 წელს, ერთ-ერთმა დაკავებულმა, დავით ჩიჩუამ პროკურატურაში წერილი გაგზავნა. ამ წერილში ის დაწვრილებით აღწერდა რეალურ ვითარებას. ითხოვდა დაკითხვას, ვინაიდან ის შემთხვევის ეპიცენტრში იყო და რეალურად იცოდა, რაც იქ მოხდა. მისივე თქმით, მან სხვებისგან განსხვავებით ზეწოლას გაუძლო და თორნიკე კაჭარავას წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა. ამ წერილში ის დაწვრილებით აღწერდა, როგორ დაათრევდნენ ციხიდან ციხეში მას პროკურორები – გრიშა ბიბილაშვილი და დავით ზაქარაიძე და როგორ აიძულებდნენ თორნიკესთვის დაედო ხელი. ცნობისთვის, ეს ის პროკურორები არიან, რომელთა წინააღმდეგ ათეულობით ათასი საჩივარია შესული და ჯერჯერობით, არც ერთი არ არის შესწავლილი. ვერიკო ბაზიარის თქმით, პროცესზე ბრალდების მხარედ გამოდიოდა 23 წლის პროკურორი, რომელიც თავის დროზე ადეიშვილს ყავას უდუღებდა. მეტიც, თვითონ მოსამართლის ქმარიც პროკურორი გახლავთ და ლოგიკურად ის ბიბილაშვილისა და ზაქარაიძის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებებს არ გაიზიარებდა. მან ასევე არ გაიზიარა ორი დამოუკიდებელი ექსპერტის დაკვნა, რომლებიც უტყუარად ადასტურებდნენ, რომ ვინაიდან თაღის სიღრმეში და ქუჩაში ნაპოვნი მასრები იდენტური იყო, ის ვერაფრით ვერ იქნებოდა თორნიკე კაჭარავასგან გასროლილი.

ერთი სიტყვით, ჯაჭვი შეიკრა: სააპელაციო გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული უწყებასთან, სადაც მისი ოჯახის წევრი მუშაობს და რომელსაც თავის დროზე ხელმძღვანელობდა ადეიშვილი, რომელიც, თავის მხრივ, მფარველობდა ადამიანებს, ვისაც ჯერ კიდევ არსებული ეჭვით სანდრო გოგბერაშვილის სისხლში აქვთ ხელი გასვრილი.

სააპელაციო სასამართლო გასულ კვირას დასრულდა. მოსამართლის განაჩენით ყველაფერი უცვლელი დარჩა. თუმცა, რაკი შეკრებითობა გაუქმდა და ამ მუხლებს თავის დროზე ამნისტიაც შეეხო, საბოლოოდ თორნიკე კაჭარავას სასჯელის ზომად 16 წელი განესაზღვრა.

ასე რომ, პრობლემა პრობლემად დარჩა. წინ კი ბოლო ინსტანციაა – უზენაესი სასამართლო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეპორტაჟი ქალთა მე

სალომე გოგოხია

„ყველაფერი რეკლამისთვის არის“

გასულ კვირას ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში შესვლის შესაძლებლობა მოგვეცა. ციხეში სამკერვალოს გახსნა იგეგმებოდა, ამასთან, მსჯავრდებული ქალები სპექტაკლს მართავდნენ. ღონისძიებას სასჯელაღსრულების მინისტრი, ევროკავშირის და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, ასევე, მსახიობებიც ესწრებოდნენ.

სამწუხაროდ, „პრაიმტაიმის“ ჟურნალისტისთვის „სპექტაკლი“ ციხის კარებიდან დაიწყო. თუმცა, ამაში ციხის ადმინისტრაცია და დეპარტმენტი არაფერ შუაშია. დაწესებულებასთან დათქმულ დროზე რამენიმე წუთით ადრე მივედი, თუმცა, პრესცენტრის ხელმძღვანელმა თაია მახარაშვილმა მითხრა, რომ სხვა ჟურნალისტებს უნდა დავლოდებოდი და ერთად შეგვიყვანდნენ. ასე არ მოხდა. ტელეკომპანიების „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის გადამღები ჯგუფები რიგრიგობით შევიდნენ. როცა ეს გავაპროტესტე, მახარაშვილისგან პასუხად მივიღე, რომ ისინი სიუჟეტს იღებენდნენ. ცხადია, მხოლოდ სპექტაკლზე დასასწრებად არც მე მივსულვარ. ამის შემდეგ დამოუკიდებლად ვცადე ციხეში შევსლა. ვინაიდან, ადმინისტრაციისთვის წინასწარ ცნობილი იყო ჟურნალისტების ვინაობა, უპრობლემოდ შემიშვეს.

სამწუხაროდ, პრესსამსახურთან „გაუგებრობა“ ამით არ ამოწურულა. ამაზე ოდნავ ქვემოთ. მანამდე კი, გთავაზობთ რეპორტაჟს ქალთა ციხიდან.

ამჟამად, ქალთა დაწესებულებაში 252 პატიმარია. აქ იმყოფებიან როგორც მძიმე დანაშულისთვის, ასევე, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები. ბევრს ამნისტიის შედეგად სასჯელი გაუნახევრდა. თუმცა, სასჯელის შემსუბუქებას კვლავ ითხოვენ. პატიმრებმა მათ მიერ დადგმული ერთმოქმედებიანი კომედია „იტალიური ეზო“ წარმოადგინეს. სპექტაკლის მსვლელობისას იქ მყოფ პატიმარ ქალებთან გასაუბრება მოვინდომე. თუმცა, ცდამ ამაოდ ჩაიარა. როგორც ბადრაგი, ასევე პრესსამსახური ცდილობდა, რომ მათთან კონტაქტს ავერიდებინეთ. თუმცა, დაგვპირდნენ, რომ სპექტაკლის დასრულების შემდეგ პატიმარ რესპონდენტებთან ინტერვიუს ჩაგვაწერინებდნენ.

ქალთა ციხე მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ დანესებულებად ითვლება, იგივე კვების და რეჟიმის მხრივ. ამიტომ, მათი მხრიდან ასეთი „სიფრთხილე“ ცოტა არ იყოს უცნაური იყო. ჟურნალისტები ჩასაფრებულის პოზიციით კი არ ვიყავით მისული, არამედ ამ ადამიანების ისტორია, მათი ცხოვრების პირობები გვაინტერესებდა.

ერთმა მსჯავრდებულმა, როცა ჟურნალისტებს გვერდით ჩაგვიარა, ჩვენს გასაგონად ჩაილაპარაკა, რომ „ყველაფერი რეკლამისთვის არის“. სამწუხაროდ, მასთან გასაუბრების საშუალება არ მოგვეცა, რომ გაგვეგო რას გულისხმობდა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ქალებმა მინისტრს და დამსწრე საზოგადოებას თხოვნით მიმართეს. პატიმრების საერთო ტკივილი და თხოვნა ერთ-ერთმა პატიმარმა ნინო ჭილაშვილმა გააჟღერა: „ბატონო მინისტრო, თქვენ ძალიან დიდი ძალა გაქვთ. გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, დავიღალეთ“.

პატიმრებმა ასევე თხოვნით მიმართეს მსახიობებს და სთხოვეს შუამავლის როლი ეკისრათ მათსა და მთავრობას, პრეზიდენტს შორის.

„გთხოვთ, ხმა მიაწვდინეთ, უდო-ს კომისიაში შეგვიყვანონ, გადახედონ ჩვენს საქმეებს. მოგვცენ შანსი, ჩვენ უკვე მოვინანიეთ ჩვენი დანაშაული, ღმერთმა ეს განსაცდელი მოგვივლინა“, - დაახლოებით ასეთი შინაარსის მიმართვას ჰქონდა ადგილი.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, მსჯავრდებულებთან შეპირებული ინტერვიუების ჩაწერის შესაძლებლობა მოგვეცა.

როცა უსმენ, შეუძლებელია მათმა ემოციამ, გულისტკივილმა და ამავდროულად მომავლის იმედმა არ შეგძრას. ისინი ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ, თუმცა, იქვე დასძენენ, რომ დანაშაულისთვის პასუხი უკვე აგეს და კიდევ ერთი შანსის მიცემას ითხოვენ. ზოგი იმედგაცრუებულია და ამბობს, რომ შეწყალების კომისია როგორც საჭიროა ისე არ მუშაობს.

37 წლის მსჯავრდებული, შორენა აბულაძე-სიხარულიძე ნარკოტიკების რეალიზაციისთვის არის გასამართლებული. შინ მეუღლე და ორი შვილი ელოდება. თავისუფლებამდე სამი წელი და 7 თვე დარჩა.

„17 წელი მომისაჯეს. ამნისტია შემეხო და შემიმცირდა. ხუთი წელია ციხეში ვარ. თითოეულ პატიმარს გვაქვს ეს თხოვნა, ვთხოვთ გვერდში დაგვიდგნენ. ჩვენ ისეთი გაუსაძლისი პირობები გამოვიარეთ წინა ხელისუფლების დროს... ყველაფერი გაუმჯობესდა, საკვების მხრივ, ურთიერთობის მხრივ თანამშრომლებთან, მაგრამ ციხე მაინც ციხეა. ვაღიარებ, დანაშაული ჩავიდინე, მაგრამ სასჯელი არაადეკვატური იყო. ჩემგან თანხა არ ამოუღიათ, მაგრამ მაინც რეალიზაცია ჩამიწერეს. ვაღიარებ, ნარკოტიკების მომხმარებელი ვიყავი. ორი შვილის დედა ვარ, არ უნდა ვამბობდე ამას... ვთხოვ პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს გადმოგვხედოს. ვისაც ეს 9-წლიანი რეჟიმი გამოვლილი გვაქვს, სასჯელი გაგვინახევრონ. თუ გასაშვებად არ ვემეტებით, მაშინ შეგვიმსუბუქონ, უდომდე მაინც მიგვაღწევინონ. უდომდე ჩვენთვის ძალიან შორი გზაა“.

საუბრის დროს ციხის ყველაზე უხუცესი პატიმარი მოგვიახლოდა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, თუმცა, გვითხრა, რომ 38 წელი მიუსაჯეს და ამნისტიის შედეგად სასჯელი 24 წლით შეუმცირდა. ქალბატონი ციხეს 5 თვეში დატოვებს. პროფესიით ბიოქიმიკოსი ნარკოტიკების რეალიზაციისთვის დაეკავა.

შემდეგი რესპონდენტი საქართველოს ჩემპიონი კიკბოქსში, 37 წლის თეაა. გვარის გამოქვეყნებაზე უარი გვითხრა. თეა 2009 წელს სამართალდამცველებმა 5 ინდოელი მამაკაცის ცემისთვის დააკავეს. იგი ხულიგნობის და გამოძალვის მუხლით გაასამართლეს და 28 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

თეა: ამნისტია შემეხო და სასჯელი შემიმცირდა. 13 წელი დამრჩა. აქედან, ციხეში 5 წელია, რაც ვარ. 8 წლის მერე მიწევს თავისუფლებაზე გასვლა. ეს ამბავი ვარკეთილში მოხდა. ჩემგან ფული 4 500 დოლარი ჰქონდათ წაღებული. შუამავალი ჩემი ნაცნობი გოგო იყო. გადაგდება დამიპირეს. მივაკითხე. 5 ინდოელი მამაკაცი იყო. ცემას არ ვაპირებდი, მაგრამ ისეთი სიტუაცია დამხვდა, თავი უნდა დამეცვა. ყველას მოვერიე. დამაკავეს. რაც შეეხება აქაურობას, მთავრობის შეცვლის მერე კმაყოფილები ვართ, დამიჯერეთ. სხვადასხვა წრეებია, ვსწავლობთ. ამდენი კონცერტები არ გვქონია. რაღაცნაირად სიცოცხლე დაგვიბრუნდა. მანამდე ურთულესი პირობები იყო. მატროსოვზე ზონაზე არ ვყოფილვარ, რადგან ახალ მისჯილი ვიყავი, მაგრამ მოდიოდა ხმები, რომ ცუდი სიტუაცია იყო. კვება არ ვარგოდა, ციხის თანამშრომლები პატიმრებს ადამიანად არ აგდებდნენ. ახლა ვგრძნობ, რომ ადამიანები ვართ. შეძლებისდაგვარად კარგი კვება გვაქვს. ციხის დირექტორი ყველაფერს აკეთებს, ხელს გვიწყობს, არ გვაგრძნობინებს, რომ საზოგადოებისგან გარიყულები ვართ. მაღაზიაც გვაქვს, აქაც ისეთი ფასებია, როგორც გარეთ. ერთი პატარა ოჯახი ვართ, ერთმანეთი გაგვაქვს. ჩვენ მხოლოდ სასჯელის განახევრებას, ვითხოვთ, მეტს არაფერს“.

ამ საუბარში ციხის სამკერვალოსაც მივადექით, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პატიმარ, პრობაციონერ ყოფილ მსჯავრდებულ ქალთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა კანონმორჩილი ცხოვრებისთვის“ ფარგლებში, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“-ის ხელშეწყობით გაიხსნა.

საწარმოში ის 25 მსჯავრდებული დასაქმდა, რომლებმაც დაწესებულებაში ჭრა-კერვის პროფესიული კურსები გაიარეს და მკერავის პროფესიას დაეუფლნენ.

სამკერვალომ პირველი შეკვეთა ციხის სამლოცველოს მოძღვრისგან მამა ტარიელისგან მიიღო, რომელმაც სტიქარები და მგალობლებისთვის მანტიები შეუკვეთა. სამომავლოდ ადმინისტრაცია დაწესებულებების შეკვეთებზე მუშაობას აპირებს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ სასჯელაღსრულების მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. აღნიშნა, რომ გვერდში უდგას დაწესებულებას.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა რამდენიმე კითხვა დაესვა მინისტრისთვის, თუმცა, როგორც ჩანს, „ლიმიტს“ გადავაჭარბეთ და პრესსამსახურის უფრო ლამის ქორივით დაგვაცხრა და შეკითხვების შეწყვეტისკენ მოგვიწოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მღებრიშვილი: „ჩვენთან პრეტენზია არც არც ერთ პატიმარს არ აქვს. მათ აქვთ პრეტენზიები გამოძიებასთან, პროკურატურასთან, სასამართლოსთან“

EXCLUSIVE

ექსპრეზიდენტის აპარატის ყოფილი თანამშრომელი, გოგა ონიანს წამებაში ადანაშაულებს

თამარ ბაშარაძე: „აი, წამების კვალი, გოგა ონიანმა მაწამა“

ამიტომ, მინისტრისთვის მხოლოდ რამდენიმე შეკითხვის დასმა მოვასწარით. საუბარი შეეხო მოსმენების თემასაც.

გიორგი მღებრიშვილი: „მე აბსოლუტურად ვიზიარებ პრემიერის განწყობას და პოზიციას. არ შეიძლება ქვეყანაში კერძო კომპანიას და მით უმეტესს, უცხოურ კომპანიას ჰქონდეს ეს გასაღები. მე ვერ წამომიდგენია სასამართლომ რა ფორმით უნდა განახორციელოს ის ფუნქციები, რაზეც არის საუბარი“.

- ბატონო გიორგი, პატიმრებმა უდო-ს კომისიაში მათი საქმეების გადახედვა გთხოვეს. როგორია თქვენი პოზიცია?

- უდოს კომისია შეიკრიბება. მე კომისიის მუშაობაში ვერ ჩავერევი. აბსოლუტურად დამოუკიდებელია. მე შემიძლია რეკომენდაცია გავუწიო პატიმრებს, მაგრამ ისე, რომ ჩავერიო და ვინმეს იმპერატიულად მოვთხოვო ვინმეს გათავისუფლება, ეს ჩემი უფლება არ არის.

- ორ თვეზე მეტია ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ, თქვენი მოსვლის პერიოდში, ციხეებში პატიმრები მასობრივად შიმშილობდნენ, იყო სხვა პრობლემებიც, ამჟამად რა მდგომარეობაა?

- მასობრივად შიმშილობები არ გვაქვს. ინდივიდუალური მოთხოვნები ვისაც აქვს, ისინი შიმშილობენ. ეს ჩვენ კომპეტენციას სცდება. ჩვენთან პრეტენზია არც ერთ პატიმარს არ აქვს. მათ აქვთ პრეტენზიები გამოძიებასთან, პროკურატურასთან, სასამართლოსთან.

- რაც შეეხება ე.წ. მატროსოვზე მყოფ ვანო მერაბიშვილს, გავრცელებული ინფორმაციით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაურესდა...

- მერაბიშვილი ჯანმრთელია. არავითარი პრობლემები არ არის. ექიმები, ექსპერტები შესულები იყვნენ. დადეს დასკვნა, რომ ის არის აბსოლუტურად ჯანმრთელი. ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არის და თუკი რაიმე პრობლემა ექნება, ჩვენ მზად ვართ, რომ ვუმკურნალოთ. ჩვენი მხრიდან არავითარი პრობლემა არ არის.

ჩვენი ბოლო გაჩერება ციხის ბიბლიოთეკა იყო. სხვადასხვა ლიტერატურით გამდიდრებული ლამაზი ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ, სანამ სტუმრები და მასპინძლები ტორტს შეექცეოდნენ, „პრაიმტაიმმა“ კიდევ ერთ მსჯავრდებულთან გასაუბრება მოახერხა.

პატიმარი თამარ ბაშარაძე, თავის დროზე, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი იყო. იგი პრეზიდენტის აპარატში პიარის მიმართულებით მუშაობდა. მისი ისტორია საკმაოდ ცნობილია. როგორც ამბობს, ქონების წართმევა დაუპირეს, არ დათმო, შედეგად კი ციხეში აღმოჩნდა.

საუბრის დროს ქალბატონმა თამარმა 9-წლიანი რეჟიმის წამების „სამახსოვრო“ ნაჭდევებიც გვაჩვენა: - აი, წამების კვალი, გოგა ონიანმა მაწამა.

თამარ ბაშარაძე: „პიარმენეჯერი ვარ, ჯიპა მაქვს დამთავრებული, სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი ვარ. უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი. სააკაშვილს რეჟიმს ძალიან უნდოდა ჩემი დაჭერა, არ დავთმე ის, რაც უნდა დამეთმო. საკმაოდ კარგი ოჯახიდან ვარ... წამების მსხვერპლი გავხდი. მკვლელობის თანამონაწილეობისთვის დამაკავეს. რაც არ ჩამიდენია იმას როგორ ვაღიარებდი? შეიძლება თაღლითობა დაიბრალო, მაგრამ მკვლელობა როგორ? ეს ელემენტარული გამოსაძიებელია - მკვლელობა ჩაიდინე თუ არა. ახალი ხელისუფლების იმედი მქონდა. ამნისტია მცირედით შემეხო. 15 წელი მაქვს მისჯილი. იმედი მქონდა, რომ ხარვეზების კომისია შეიქმნებოდა. რა თქმა უნდა, იმედი გამიცრუვდა. შეწყალების კომისია არ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა. უდო და შეწყალება არ მკითხოთ. ზუსტად ვიცი, სასჯელს მომახდევინებენ, რადგან არაღიარებით ვარ. 42 წლის გავხდი. 35 წლის ვიყავი როცა დამიჭირეს... მაშინ ჩემი შვილი 6 თვის იყო. პრაქტიკულად, ჩემი შვილი ციხის კარზე გაიზარდა. დედა და და ზრდიან. ჩემი შვილი ციხეში არ უნდა გაზრდილიყო“.

დაბოლოს, ციხის დირექტორი ნესტან ვერულაშვილი, რომელსაც პატიმრები სიყვარულით და სითბოთი იხსენიებენ: „როდესაც მსჯავრდებული ტოვებს დაწესებულებას და გადის საზოგადოებაში, აქვს დიდი მოლოდინი და შიში, როგორ მიიღებს საზოგადოება. ასევე, საზოგადოებასაც აქვს შიში, როგორი გამოვა პატიმარი. იმისთვის, რომ ისინი ერთმანეთს კარგად შეხვდნენ, ყოფილმა პატიმრებმა საზოგადოებაში ადგილი დაიმკვიდრონ, ამისთვის ყოველდღე ფიქრი და შრომა გვიწევს. ისინი აქ ეუფლებიან სხვადასხვა სპეციალობებს, აკეთებენ არაჩვეულებრივ ხელნაკეთ ნივთებს, ლექციები აქვთ. ეს არის მათთვის რელაქსაციის საშუალება, რომ ცოტა ხნით მაინც არ იფიქრონ თავის ყოფაზე. როცა ტოვებენ დაწესებულებას, აქ დაუფლებული სპეციალობა შეუძლიათ გარეთ განავითარონ. რესოციალიზაციის მიზნით ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მთავარია ადამიანი გაწონასწორებული ფსიქიკით, ჯანსაღი აზროვნებით გავიდეს დაწესებულებიდან.

- ამბობენ, რომ ქალთა ციხეში კარცერი და სამარტოვო საკანი დასჯის მეთოდის სახით ყველაზე იშვიათად გამოიყენება.

- ვერ გეტყვით, რომ აქ მარტო კონცერტები არის. კონცერტებიც არის, მაგრამ თითოეულმა პატიმარმა იცის, რომ უპატიებელი არავის არ ეპატიება. მართალია, კარცერი ნაკლებად გამოყენებადია, მაგრამ პატიმარმა იცის, თუ დააშავა, აუცილებლად დაისჯება.

- აქ შვილებიან პატიმრებსაც მოვკარით თვალი, რა ასაკამდე რჩებიან ბავშვები?

- 3 წლამდე აქ ჰყავთ. შემდეგ უკვე ოჯახში მიჰყვათ. ამ ოჯახების მდგომარეობა შესწავლილია, რამდენად შეუძლია ოჯახს მისი სრულყოფილად აღზრდა. თუ არ შეუძლია, დედის თანხმობით შესაძლებელია მზრუნველობა ნათესავს გადასცეს.

ასეთი იყო ერთი დღე ქალთა ციხეში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოზარდი, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა, ფსიქიატრიულში მოათავსეს

სალომე გოგოხია

„ამ ბავშვს ადრეც ჰქონდა სუიციდის მცდელობა“

EXCLUSIVE

გასულ კვირას უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში „ბელურები“ ინციდენტი მოხდა. 15 წლის გოგონამ თვითმკვლელობა სცადა. თუმცა, თავშესაფრის ადმინისტრაციის დროული ჩარევით, გოგონა იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანეს. მისი გადარჩენა ექიმებმა შეძლეს. როგორც „პრაიმტაიმს“ ჯანდაცვის სამინისტროს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტში განუმარტეს, ამჟამად, გოგონა ფსიქიატრიულ განყოფილებაში იმყოფება და მკურნალობის კურსს გადის.

მომხდართან დაკავშირებით „ბელურების“დირექტორმა ნანა იაშვილმა ოფიციალურ კომენტარზე უარი განაცხადა. პირად საუბარში კი აღნიშნა, რომ მოზარდს ოჯახში პრობლემები ჰქონდა, მამა არ ჰყავს, ხოლო დედა ალკოჰოლდამოკიდებულია. ოჯახში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მასზე მზრუნველობა სახელმწიფომ იკისრა.

როგორ არის ამჟამად მოზარდი, რატომ სცადა თვითმკვლელობა და რა ბედი ელის, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსს მარი წერეთელს ესაუბრა:

- ცხადია, ბავშვის ვინაობას ვერ გაგიმხელთ. ეს ბავშვი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ საკმაოდ დიდი ხანია. ძალიან მცირე ასაკის, დაახლოებით 5 წლის იყო, როდესაც ოჯახიდან გამოიყვანეს, რადგან დედა ალკოჰოლდამოკიდებულია, ოჯახი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, პრაქტიკულად, ბავშვი ქუჩაში იყო, მოწყალებას ითხოვდა. ამიტომ, გადაყვანილ იქნა სახელმწიფო მზრუნველობაში. მას საკმაოდ რთული ცხოვრება აქვს გამოვლილი, გაურთულდა ფსიქიკური მდგომარეობა, ცუდი ქცევა დიდი ხანია ჰქონდა. ბავშვი იმყოფება ფსიქიატრიულ დისპანსერში აღრიცხვაზე. სუიციდის მცდელობამდე მან გარკვეული დრო დაჰყო ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სადაც მკურნალობის კურსი გაიარა. ხშირად არა, მაგრამ პერიოდულად ალკოჰოლთან ურთიერთობა აქვს. იმ დღეს, როცა ეს ინციდენტი მოხდა, დილით თავშესაფრიდან გავიდა. იქ მცხოვრები ბავშვები სკოლაში, პროფესიული გადამზადების დღის ცენტრებში დადიან და საღამოს ბრუნდებიან. იმ საღამოს თავშესაფარში განერვიულებული, გაღიზიანებული მივიდა და თვითმკვლელობა სცადა. ამ შემთხვევამდე ის ფსიქიატრიულიდან 10 დღის გამოწერილი იყო.

- რა საგნით მიიყენა დაზიანება?

- ზუსტად არ ვიცი. როგორც ვიცი, ბასრი საგნით. თვითმკვლელობის მცდელობა მისი დაავადების პრობლემიდან გამომდინარეობს.

- ადრეც ჰქონდა სუიციდის მცდელობა?

- ადრეც ჰქონდა მცდელობა. სწორედ ამიტომ არის აყვანილი ფსიქიატრიულ დეპარტამენტში აღრიცხვაზე. მას აქვს ფსიქიკური პრობლემის გარკვეული დიაგნოზი, შედეგად, გამწვავების დროს პერიოდულად მკურნალობას გადის.

- ნათესავები არ ჰყავს, რომ უპატრონონ?

- დედასთან დაბრუნება ვერ ხერხდება, რადგან სოციუმში გარეული არ არის, ალკოჰოლდამოკიდებულია. ოჯახში არასტაბილური მდგომარეობაა, სადაც ბავშვისთვის ყოფნა დამღუპველი იქნება. რეალურად, სისტემაში ბავშვის შემოსვლის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოზი დაზუსტებულია, მიმდინარეობს მკურნალობა, აღგზნებადობის ეპიზოდები ბევრად უფრო შემცირდა. ამ ბავშვის მდგომარეობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მუდმივად გვყავს მეთვალყურეობის ქვეშ. ბოლო ხანებში პერიოდულად გვიწევს სტაციონარში.

რადგანაც ასეთ მდგომარეობაშია, თანაც სუიციდის მცდელობა ადრეც ჰქონდა, რამდენად მიზანშეწონილია მისი „ბელურებში“ დაბრუნება?

- ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ზრუნვის სხვადასხვა ფორმა. ეს დაწესებულება დახურული ტიპის არ არის. დღის განმავლობაში იქ მყოფი ბავშვები ცენტრიდან გადიან, შემდეგ ისევ მოდიან. სკოლაში, პროფესიულ სასწავლებლებში დადიან. სავარაუდოდ, იქ არ დავაბრუნებთ. სხვა ალტერნატიულ ფორმაში გადავიყვანთ. ასეთ მდგომარეობაში გოგონას იგივე ადგილზე დაბრუნების რეკომენდაცია ექიმებმაც არ მოგვცეს. რათა მაპროვოცირებელი არ აღმოჩნდეს ის ფაქტორი, არ გაახსენდეს რაც იქ მოხდა. როგორც უკვე გითხარით, ეს ადამიანი მუდმივად მკურნალობს. როცა მწვავდება ავადმყოფობა, სტაციონარში ვათავსებთ. ახლა სტაციონარში გვეუბნებიან, რომ ჯერ ვერ გაწერენ.

რამდენად მიზანშეწონილია ფსიქიკური პრობლემის მქონე მოზარდის ყოფნა ღია ტიპის დაწესებულებაში? მით უმეტეს, როცა ბავშვზე მზრუნველობა სახელმწიფომ იკისრა. ასეთ შემთხვევაში ბავშვის სიცოცხლეზეც სახელმწიფოა პასუხისმგებელი.

ფსიქოლოგ სოფი ხარატის თქმით, როდესაც ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანს ოჯახი ვერ პატრონობს, სახელმწიფო ვალდებულია ასეთ ადამიანებს მიხედოს. ფსიქოლოგის თქმით, ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს აღნიშნული პრობლემა. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია და ზოგიერთი ახლა იწყებს ამ პრობლემის მოგვარებას.

„თუ ოჯახს არა აქვს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ფსიქოლოგიურად არამყარი ადამიანის უზრუნველყოფა შეძლოს, მოდის შემდეგი კითხვა, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს ან ვალდებულია თუ არა სახელმწიფო მიხედოს ადამიანებს, რომლებიც ამათუ იმ მიზეზის გამო არიან საშიში საკუთარი თავის და სხვების მიმართ? ჩვენ ვიცით,რომ მაღალი განვითარების მქონე სახელმწიფოებმა დიდი ხანია მოაგვარეს მსგავსი პრობლემები და ისინი კარგი და ნათელი მაგალითი არიან განვითარებადი ქვეყნებისთვის, მაგალითად, საქართველოსთვის. ჩვენთან გახსნილია რამდენიმე ფსიქიატრიული, მაგრამ არ არის სათანადო ინვენტარი, მომსახურე პერსონალი, ისინი მხოლოდ მედიკამენტებს გასცემენ და შენობა ცარიელია. ამ შენობაში არ ხდება იმ ადამიანების რეაბილიტაცია, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება. ფსიქოლოგიურად არამყარ თუ რომელიმე სხვა პრობლემის მქონე ადამიანს აუცილებელია ჰქონდეს ის შეგრძნება, რომ ის თავის პრობლემასთან მარტო არ არის. ანუ იგი უნდა იყოს დაცული ოჯახის წევრების ან რომელიმე სტრუქტურის წარმომადგენლის მიერ. ამ შემთხვევაში ჯანმრთელობის სფეროს წარმომადგენლები უნდა ინტერესდებოდნენ ამ პრობლემით და ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს იმაზე ფიქრი, რით შეიძლება ადამიანების რეაბილიტაცია ისე, რომ ფსიქოლოგიური პრობლემით ადამიანმა ფსიქიატრიულამდე არ მიაღწიოს. უყურადღებობის შედეგად შესაძლოა, ერთი პატარა პრობლემა დიდ ფსიქიატრიულ პრობლემად იქცეს და მდგომარება ვეღარ გამოსწორდეს. თვითმკვლელობა არის ურთულესი თემა, რომელიც 5 წუთში არ ყალიბდება, ამაზე ფიქრს ადამიანი წლებს, თვეებს ანდომებს და ყველა მიზეზს ეძებს,რომ თავისი საქციელი გაამართლოს. ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს დახმარება ყველაზე მეტად იმ ადამიანებს სჭირდებათ, რომლებსაც სხვა მომხმარე არ ჰყავთ. შშმ პირებს, ფსიქოლოგიურად არამყარ ადამიანებს, რთულ ოჯახური პირობებში გაზრდილ ბავშვებს, რომ ისინი მომავალში საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იქცნენ. ასევე, მათ ოჯახებს არ დასჭირდეთ მათი დამალვა და მათ გამო უხერხულობის შეგრძნება არ დაეუფლოთ. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების უსაფრთხოება. ამისთვის ვირჩევთ ჩვენ ადამიანებს მთავრობაში, რომ ვთვლით, მათ შეუძლიათ მოაგვარონ ის პრობლემები, რომლის მოგვარებაც ჩვენთვის შეუძლებელი ან რთულია. სახელმწიფო მოხელეებს აქვთ უნარი ეს პრობლემა მოაწესრიგონ და ეძებონ ახალი გზები, რათა აიყვანონ ადამიანები რეგისტრაციაზე და გამონახონ მათთან საერთო ენა,რომ მოხდეს მათი მოტივირება და ცხოვრების რეჟიმში ჩართვა. მოგეხსენებათ, რომ ალკოჰოლიკებთან ან რომელიმე სისუსტის მქონე ადამიანებთან დასჯის მეთოდი არ გაჭრის, იმიტომ რომ მათ საკუთარ თავს უკვე უსურვეს ყველაზე ცუდი და ამაზე უფრო ცუდის დაპირება შედეგს არ მოიტანს. ანუ უნდა მოხდეს და ჩამოყალიბდეს სტრუქტურა, რომელიც გამონახავს მათთან საკონტაქტო გზას, რომ მათ არ ჰქონდეთ უპატრონობის შეგრძნება. ნებისმიერ სტრუქტურაში ჩვენ უნდა გვქონდეს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი სხვის ცხოვრებაზე. გვემატება თანამდებობა, შესაბამისად გვემატება არა მხოლოდ ხელფასი, არამედ პასუხისმგებლობაც“. - ამბობს სოფი ხარატი.

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა არასრულწლოვნებში სუიციდის და სუიციდის მცდელობის სტატისტიკით. თუმცა, როგორც შსს-ს პრესცენტრში გვითხრეს, ამის ცალკე სტატისტიკა არ აქვთ.

ზოგადი სტატისტიკის მიხედვით, 2013 წელს საქართველოში თვითმკვლელობის 281, ხოლო 2014 წელს - 284 შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა, აქედან რამდენია არასრულწლოვანი არ ვიცით.

„ბავშვის დედა ალკოჰოლდამოკიდებულია, ბავშვი 5 წლიდან ქუჩაში მათხოვრობდა, ფსიქიკური მდგომარეობა გაურთულდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ურთიერთობის რა მოდელს სთავაზობდა არძინბა თბილისს

ქეთი ხატიაშვილი

გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ახალი ტიპის, ახალი თაობის პოლიტიკურ ფიგურებად შეგვიძლია, მივიჩნიოთ. მათ აჩვენეს, რომ აფხაზეთის თემა არის სწორედ ის საკითხი, რომელიც პოლიტიკური ერთიანობისა და გუნდურობის დემონსტრირებას საჭიროებს. ანუ როცა საქმე კონფლიქტურ ზონებს ეხება, აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ რა პოზიციებს იკავებდა, რა თემები იწვევდა მანამდე პოლიტიკურ ვნებათაღელვას, ვინ ვინ გააკრიტიკა ან რა უთხრა... არადა, ყველა ეს „ნიუანსი" 90-იანი წლებიდან წამოსული პოლიტიკოსებისთვის აფხაზეთსა და ცხინვალზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ხოლმე.

„შევთანხმდით, რომ კოორდინირებულად გავაგრძელებთ მუშაობას. ეს არის ისეთი საკითხები, რომლებზეც, პრეზიდენტი, პრემიერი, მთავრობა და პარლამენტი ერთსულოვანი ვართ და ასეც ვიქნებით"

სოხუმი და ცხინვალი ყოველთვის სარგებლობდნენ თბილისში პოლიტიკური დესტაბილიზაციით. მეტიც, ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად ვერც კი აცნობიერებდნენ რა გავლენა ჰქონდა დედაქალაქში გაკეთებულ მკვახე და ცხარე განცხადებებს ქვეყნის პერიფერიებში, თითქოს მათთვის მხოლოდ ის არეალი იყო მნიშვნელოვანი, სადაც იდგნენ და მხოლოდ ის ხალხი არსებობდა, ვინც ტაშს უკრავდა.

ასე იყო თითქმის ყოველთვის და ეს ტრადიცია დღემდე არ დარღვეულა. ისევე როგორც დღემდე არასოდეს გადაუდიათ უკანა პლანზე პოლიტიკოსებს საკუთარი ინტერესები და ერთობლივად არ უმსჯელიათ კონფლიქტებზე.

90-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკოსებს კონკურსიც კი ჰქონდათ გამოცხადებული, ვინ უფრო რადიკალური და შეუბრალებელი იქნებოდა თავის გამონათქვამებში. ვინც უფრო ხმამაღლა იყვირებდა, რაც უფრო დიდ საოცრებას იტყოდა, მით უფრო მქუხარე ტაშს დაიმსახურებდა. და თითქოს ეს ტაში უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა, ვიდრე ის, რა პროცესებიც სოხუმსა თუ ცხინვალში მიმდინარეობდა. თუმცა, უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ამ პროცესებს მაშინდელი ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობა საერთოდ ვერც ხედავდა, ვერც აცნობიერებდა. ერთეულები კი მაშინვე მტრებად ცხადდებოდნენ.

კლასიკური მაგალითი: თუ არ ვცდები, სწორედ რომან გოცირიძე ამბობდა, რომ საქართველო ვერ გამოუცხადებდა რუსეთს ეკონომიკურ ბოიკოტს... თუმცა, პოლიტიკოსების მხრიდან ამ სიტყვებმა ირონია და დაცინვა უფრო გამოიწვია. ყველა, ვინც დარწმუნებული იყო, რომ დამოუკიდებლობისთვის ხალხი ბალახსაც შეჭამდა და რკინიგზის გადაკეტვით რუსეთი დაიქცეოდა, გოცირიძეს დასცინოდა...

აფხაზეთში დაწყებულ კრიზისს პრეზიდენტმა გამსახურდიამ სამიტინგო სტილის გამოსვლებით უპასუხა. მან ათასი წყევლა და კრულვა გაუგზავნა მოსკოვს და მოღალატე უნოდა არძინბას:

„ადრე თუ გვიან, საბჭოთა კავშირის დამონებული ხალხები გადაიგდებენ კომუნისტური დიქტატურის უღელს და მაშინ არძინბას მსგავსი მოღვაწეები შეფასდებიან, როგორც საკუთარი ხალხის მოღალატენი.

დღეს მთელი მსოფლიო გმობს გორბაჩოვის რეპრესიულ პოლიტიკას დაპყრობილი ერების მიმართ, ლიტვასა და ლატვიაში ჩადენილ ბარბაროსობას. ასე რომ, საბჭოთა ტანკების იმედი ნუღარავის ექნება. მსოფლიო გმობს, აგრეთვე, ცენტრის მიერ ინტერფრონტებისა და „ხსნის კომიტეტების" შექმნის მცდელობას ხალხის მიერ არჩეული მთავრობების დამხობის მიზნით. და აი, ასეთ დროს აფხაზეთში შეიქმნა ინტერფრონტი, რომელსაც სურს, გაიმეოროს ბალტიისპირეთის მოდელი, ხოლო არძინბა გამუდმებით იწვევს იმპერიის ჯარს, რათა სისხლისღვრა გამოიწვიოს აფხაზეთში. მან უკვე მიაღწია შინაგანი ჯარის შემოყვანას ბაბუშერაში, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიო ისევე დაგმობს მის საქციელს, როგორც დაგმო ბალტიისპირეთის „ხსნის კომიტეტები". ამით არძინბას სურს, აფხაზი ხალხი სახიფათო ავანტიურაში ჩაითრიოს, რომელიც მას სირცხვილსა და უბედურებას მოუტანს.

ნუ აყვებით პროკომუნისტებს, ჩვენი ისტორიული მტრების აგენტებსა და პროვოკატორებს, ბოიკოტი გამოუცხადეთ საბჭოთა რეფერენდუმს და მონაწილეობა მიიღეთ საქართველოს რესპუბლიკის 31 მარტის რეფერენდუმში, რომელიც დაკავშირებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. დამოუკიდებელი საქართველო თქვენ უფრო მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია".

რა თქმა უნდა, გამსახურდიას უფრო მჭახე განცხადებების გახსენებაც შეიძლებოდა... არანაკლებად მწვავე იყო თავის განცხადებებში პრეზიდენტი სააკაშვილიც. კონკურსი მაშინაც მიმდინარეობდა, მაგალითად, იგივე პრეზიდენტსა და მის თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს შორის. ოკუპირებული რეგიონები და რუსეთის მისამართით მწვავე განცხადებები რეიტინგებზე მოქმედებდა, შესაბამისად, ამ მიმართულებით კონკურენცია ზოგჯერ კომიკურ ხასიათსაც იღებდა, მაგალითად, მაშინ, როცა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა დაიჩემა, 31 დეკემბერს ცხინვალში შევხვდებითო...

მოკლედ, არასოდეს აქამდე აფხაზეთი თბილისში პოლიტიკური ძალების მობილიზაციას არ ახდენდა, პირიქით, ის მაინც ყოველთვის იყო ამ თემაზე ცენტრში ქულების ჩაწერის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება და ამ ცდუნებაზე უარი ცოტას თუ უთქვამს.

ასე რომ, ამ კონტექსტში უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტისა და პრემიერის ერთად ხილვა მნიშვნელოვანი იყო.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ" შეთანხმების შესაძლო გაფორმება განიხილეს.

სხდომის დასრულების შემდეგ პრემიერმა და პრეზიდენტმა განცხადებები გააკეთეს:

„შევთანხმდით, რომ კოორდინირებულად გავაგრძელებთ მუშაობას. ეს არის ისეთი საკითხები, რომლებზეც, პრეზიდენტი, პრემიერი, მთავრობა და პარლამენტი ერთსულოვანი ვართ და ასეც ვიქნებით. ჩვენ დღეს ვაჩვენეთ, რომ ნამდვილად შეგვიძლია ერთად მუშაობა და დღევანდელი დღე ამის დემონსტრირებაა. ჩვენს შორის არ არსებობს საკითხი, რომელზეც ვერ ვთანხმდებით", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, იმსჯელეს, როგორ უპასუხოს საქართველომ იმ ურთულეს ვითარებას, რომელიც შექმნილია აფხაზეთთან დასადებ ახალ ხელშეკრულებასთან მიმართებაში. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, გაანალიზდა ვითარება, შესაძლო საფრთხეები და საუბარი შეეხო ნაბიჯებს, რომელსაც კოორდინირებულად გადადგამენ მთავრობა, პრეზიდენტი და პარლამენტი.

წარსულში ჩადენილი საბედისწერო შეცდომების გამოსწორება ან შეცვლა საკმაოდ რთული ხდება.

თავის დროზე არძინბა მზად იყო თბილისთან მოლაპარაკებებზე, თუმცა აქ ისეთი რადიკალური და აგრესიული განცხადებები კეთდებოდა, რომ მარტივად აიღო გეზი ჩრდილოეთისკენ. მაშინ თქვა კიდეც, ეგენი ერთმანეთში ვერ ნახულობენ საერთო ენას და ჩვენ საერთოდ რას გვიზამენო.

არძინბას მაშინ თავისი კონკრეტული შეთავაზებებიც ჰქონდა. ის საქართველოს ჩეხოსლოვაკიის მოდელს სთავაზობდა. ანუ უსისხლო და მშვიდობიან გაყოფას ორ სუვერენულ ნაწილად, ისე როგორც ეს ჩეხოსლოვაკიის მაგალითზე მოხდა, რომელიც 1993 წლიდან უკვე ჩეხეთისა და სლოვენიის სახელმწიფოებად გაიყო.

სხვათა შორის, აქაც საინტერესო რამ მოხდა. გაყოფის წინ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სლოვაკების თითქმის 80% ჩეხეთთან ერთად ხედავდა საკუთარი ქვეყნის მომავალსაც. ეს 1991 წლის მიხედვით. თუმცა, სულ წელიწად-ნახევარში პოლიტიკოსებმა მოახერხეს საზოგადოებრივი აზრის მომზადება და უკვე 1992 წელს, პარლამენტის გადაწყვეტილებით, ჩეხეთი და სლოვაკეთი გაიყო.

ეს ევროპაში პირველი უსისხლო გაყოფაა. დანარჩენები, იგივე იუგოსლავია, უკვე რთული სისხლიანი დაპირისპირების შედეგად დაიყვნენ.

აბა, მაშინ ჩეხეთისა და სლოვაკეთის მაგალითს ვინ დასთანხმდებოდა. ეს ხომ იგივე აღიარება იყო, თანაც არძინბა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ლტოლვილების დაბრუნებას. ლტოლვილების დაბრუნება არის სწორედ ის თემა, რომელიც დღემდე სოხუმის გაღიზიანებას იწვევს...

ახლა სოხუმი, ისევე როგორც თბილისი, დაინტერესებულია, „ინტეგრაციისა და მოკავშირეობის შესახებ" ხელშეკრულება ჩაიშალოს

თუმცა, ახლა სოხუმი, ისევე როგორც თბილისი, დაინტერესებულია, „ინტეგრაციისა და მოკავშირეობის შესახებ" ხელშეკრულება ჩაიშალოს. თბილისისთვის ეს რუსეთის მხრიდან ანექსიის გაგრძელებაა, სოხუმისთვის – მოპოვებული „დამოუკიდებლობის" დაკარგვა.

რამდენიმე დღეში აფხაზეთში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩავა. გავრცელებული ინფორმაციით: გიუხტერ ბეხლერი საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს შეხვდება და რუსეთის მიერ „ინტეგრაციისა და მოკავშირეობის შესახებ" შეთავაზებული ხელშეკრულების პროექტის დეტალებს განიხილავს.

ელჩის განცხადებით, მას აქვს ინფორმაცია აღნიშნული ხელშეკრულებისადმი თავად აფხაზების უკმაყოფილების თაობაზე:

„შეთანხმება ჯერ ხელმოწერილი არ არის. ვხედავთ, რომ ამ დოკუმენტის გამო თავად აფხაზებიც უკმაყოფილო არიან. საქართველო უნდა ჩაერთოს მოლაპარაკებებში, რომ იპოვონ საერთო გზა ევროპისკენ. დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის მოსახლეობასაც სწორედ ეს სურს. მომავალ კვირას ჩასვლას ვაპირებ სოხუმში და მოლაპარაკებას გავმართავ ახალ ხელისუფლებასთან", – განაცხადა გიუხტერ ბეხლერმა.

თუმცა, ოპოზიცია მაინც მიიჩნევს, რომ ხელისუფლება უუნაროა და არაფერს აკეთებს, ელჩის ვიზიტთან დაკავშირებით კი ამბობს, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია და ელჩმა ასეთი გადაწყვეტილება თავადვე მიიღო, ასე ნაციონალები ფიქრობენ.

ჯერჯერობით დიდი შავი ხვრელი ისევ ოპოზიციაში რჩება, რომელიც ხელისუფლებასთან დაპირისპირების რეჟიმიდან თანამშრომლობის რეჟიმში გადასვლას ვერც აფხაზეთის თემაზე ახერხებს... ნაციონალები ამ საბაბით ქუჩაში გამოდიან, თუმცა, პოლიტიკურ პროცესებში სრულად არიან ჩართულები, მათ შორის პარლამენტშიც. და ქუჩაში პროცესების გადატანა თანაც აფხაზეთის თემის არა უბრალოდ გაუმართლებელი, არამედ მოძველებულიცაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოში შემოსული ხილისა და ბოსტნეულის შავი სია

სალომე გოგოხია

„დაახლოებით ორ კვირაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს კვლევის შედეგები ცნობილი გახდება და გავიგებთ, რომელი პროდუქტია საკვებად ვარგისი“

სიახლე არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოში იმპორტირებული ხილ-ბოსტნეულის წარმომავლობა ყოველთვის ეჭვის ქვეშ იდგა. ამაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ოფიციალური კვლევები იმის შესახებ ჯანმრთელობისთვის რამდენად უსაფრთხო პროდუქციით ვიკვებებით, დღემდე არ არსებობს. როგორც „პრაიმტაიმს“ სურსათის ეროვნული სააგენტოს დეპარტამენტის უფროსმა კახა სოხაძემ განუცხადა, ამჟამად, მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევები, როგორც იმპორტირებულ, ასევე ადგილობრივ პროდუქციაზე. სავარაუდოდ, ორ კვირაში პირველადი შედეგები უკვე ცნობილი იქნება.

კახა სოხაძის თქმით, ხილი და ბოსტნეული დასაშვები ნორმით

პესტიციდებს უნდა შეიცავდეს, თუმცა, გადაჭარბებული დოზით დაუშვებელია, რაც ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

მისივე თქმით, კვლევების შედეგად თუ აღმოჩნდება, რომ პესტიციდები, შხამ-ქიმიკატები დასაშვებ ნორმას აღემატება, მაშინ კონკრეტულ ფირმებსა თუ მწარმოებლებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

თუმცა, ეს ვერაფერი შვებაა მოსახლეობისთვის, რომელიც უკვე ათეული წლებია, რაც საეჭვო წარმომავლობის პროდუქციით იკვებება. ცხადია, პირველ რიგში, ეს ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება უარყოფითად.

ინტერნეტში მრავლად მოიძებნება საქართველოში შემოსული ხილისა და ბოსტნეულის შავი სია, რომელიც ჯანმრთელობისთვის მავნეა.

გთავაზობთ მცირე ჩამონათვალს - ხილის რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა ატამმა, რომელსაც მიენიჭა 100 ქულა. ანუ იგი შხამქიმიკატს თავის რბილობში 100%-ით იტოვებს. მეორე ადგილი პესტიციდების დაგროვების უნარის მიხედვით დაიკავა ვაშლმა - 96%. დანარჩენი ადგილები კი შემდეგნაირად განაწილდა: ისპანახი (85%), ვაშლატამა (84%), მარწყვი (83%), ბალი და ალუბალი (75%), ანანასი (7%), მანგო (9%), ყურძენი (68%) და მსხალი (65%). რაც შეეხება ბოლო ათეულს ბოსტნეულის ჩამონათვალში, იგი ასე გამოიყურება: ყველაზე უსაფრთხო და ნაკლებმავნებელია ხახვი და ტროპიკული სარტყელიდან ჩამოტანილი ავოკადო, რომელთაც მიიღეს მხოლოდ ერთი ქულა (პესტიციდების 1%-ს ითვისებენ) ანუ პრაქტიკულად არ შეიცავენ

პესტიციდებს, სიმინდი (2%), ტკბილი წიწაკა (86%), მწვანე სალათა (69%), მწვანე ბარდა (11%), კივი (14%), ბანანი (16%), კომბოსტო (17%). ბადრიჯანი რეიტინგის 39 ადგილზეა, 19%-იანი ქულით. პომიდორმა მიიღო 30%-იანი ქულა და ათეულის 29 ადგილზე იმყოფება, ლიმონი და გრეიფრუტი - 31-ზე. კარტოფილი და სტაფილო პესტიციდებს სხვებზე ბევრად უფრო ძლიერად იწოვენ: მათ დაიკავეს 12-13 ადგილები შესაბამისი ქულებით - 58% და 57%.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში იმპორტირებული ბოსტნეული და ბაღჩეული რა პროცენტული მაჩვენებლით შეიცავს ადამიანისთვის მავნებელ შხამ-ქმიკატებს - ასეთი კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. ქართულ სარეალიზაციო ქსელში პომიდორი, კარტოფილი, ბადრიჯანი, ხახვი, ლიმონი, ბულგარული წიწაკა, წითელი წიწაკა, ფორთოხალი, გრეიფრუტი შემოდის თურქეთიდან. კიტრი და მწვანე ხახვის დიდი ნაწილი ქართულია და შემოდის მარნეულსა და გარდაბანში განთავსებული სათბურებიდან. გარგარი, მუშმალა და კიტრის ნაწილი შემოდის სომხეთიდან. თხილი, ჩირი, კომბოსტო და სტაფილოს მცირე ნაწილი აზერბაიჯანიდან. სტაფილოს დიდი ნაწილი ასევე თურქულია.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელმძღვანელის გია ბურჯანაძის თქმით, საქართველოში არსებულ ლაბორატორიებს კონკრეტული ბიზნესოპერატორები ლობირებენ, რომლებიც ერთმანეთს ხელს აფარებენ. შესაბამისად, აქამდე ობიექტური კვლევა არ ჩატარებულა და კაცმა არ იცის

„ბიოლოგიური ომი წარმოებს საქართველოსა და მისნაირი ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც გამარჯვება არ გვიწერია. დავმარცხდებით. ქართული გენი განადგურების საშიშროების წინაშეა“

გია ბურჯანაძე: „წლებია, საქართველოში ხილისა და ბოსტენულის იმპორტი უკონტროლოდ, ქაოსურად მიმდინარეობს. ბოლო ერთი წელია გამკაცრდა. რისი წინაპირობაც იყო ჩვენი ორგანიზაციის, უფლებადამცველთა განცხადებები. სამი წლის წინ პარტია „მრეწველების“ თავმჯდომარეს გოგი თოფაძეს ამის შესახებ ვაცნობეთ და ვთხოვდით კონტროლი გაემკაცრებინათ იმპროტირებულ პროდუქციაზე. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოში ვადაგასული პროდუქტი შემოჰქონდათ. ჩვენთან შემოედინებოდა ნაწარმი, რომელიც ევროპის ქვეყნებისთვის მიუღებელი იყო. ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ სტანდარტებს. როცა მეწარმე სასუქს ჭარბი დოზით აყრის, შემდეგ ლაბორატირიული კვლევა უარყოფით პასუხს აჩვენებს. ასეთი პროდუქციის შეტანა ევროპის ქვეყნებში იკრძალება. თამამად შემიძლია გითხრათ, ყველა ასეთი სახის პროდუქტი საქართველოში შემოედინებოდა. არანაირი მექანიზმი არ არის, რომ მომხმარებლები დაცულები იყვნენ. ის კორუფციული მექანიზმი, რომელიც წლების განმავლობაში იყო, დღეს 30%-ით შენელდა, მაგრამ 70% ისევ მოქმედებაშია.

- ანუ დღეს ბაზარზე არსებული პროდუქცია არ ვიცით მოწმდება თუ არა?

- დღეს, ბაზარზე არსებული პროდუქციით მოსახლეობას წამლავენ. იმპორტირებული პროდუქცია მეტ მკაცრ კონტროლს საჭიროებს. მეტიც, საერთოდ არ უნდა შემოედინებოდეს და ადგილზე უნდა ნადგურდებოდეს. რაც შეეხება პროდუქციის ტრანსპორტირებას საქართველოში - საბაჟოდან მოდის შესაბამისი სერტიფიკატი და პროდუქციის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროში. შესაბამისი სამსახურების დამუშავების შემდეგ, ეს პროდუქცია დადებით შეფასებას იღებს და შემდეგ ხდება იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე. ადრე ამას სოფლის მეურნეობის სამინისტრო აკონტროლებდა, მაგრამ ახლა ეს ფუნქცია ფინანსთა სამინისტრომ გადაიბარა. რაც სრულ კანონდარღვევად მიმაჩნია. არ შეიძლება სოფლის მეურნეობის ფუნქციები ფინანსურს, ხოლო ფინანსურის ფუნქციები მუიჯვრის ლაბორატორიაში უდევს. საკონტროლო კვლევებს ვერ აკეთებენ, რადგან საამისო კადრები არ ჰყავთ. აპარატურა უდგათ, მაგრამ კადრები არ ჰყავთ. მოგიყვანთ ყავის მაგალითს. „იაკობსის“ ყავის ლაბორატორიული შემოწმება მინდოდა. ლაბორატორიებმა უარი მითხრეს, ყავაზე კვლევას არ ვაკეთებთო. კვლევა ევროპაში, თურქეთში ჩავატარებინეთ და როცა დარღვევები აღმოჩნდა, შემდეგ გამოხტნენ, სამხარაულის ბიურომაც, რა პრობლემა იყო, ამას გავაკეთებდითო. იცოდეთ, დღეს არსებულ ყველა ლაბორატორიას კონკრეტული ბიზნესოპერატორი ლობირებს! შეფარვით გახსნეს ეს ლაბორატორია და სინამდვილეში ერთმანეთის ინტერესებს იცავენ. გვხოცავენ ქართველებს და პატრონი არა გვყავს!

„ბიოლოგიური ომი წარმოებს საქართველოსა და მისნაირი ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც გამარჯვება არ გვიწერია. დავმარცხდებით. ქართული გენი განადგურების საშიშროების წინაშეა“

„ბოლოს მანძილზე საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ლაბორატორიული შემოწმება არ ხდებოდა“

სიკის ან კულტურის სამინისტროს გადავცეთ. ეს ქაოსი და პრობლემა იყო მაშინაც და ახლაც. არსებული სიტუაცია სასწრაფოდ საჭიროებს გამოსწორებას, მაგრამ ვეჭვობ, რომ გამოსწორდეს. რადგან ეს არის კორუფციის რგოლი, რითაც მაღალი რანგის ჩინოვნიკები შემოსავალს იღებენ. ჩვენი და თქვენი ჯანმრთელობის ხარჯზე ისინი მილიონებს იჯიბავენ. არც ერთი მათგანი კონტროლის მექანიზმს არ აწარმოებს. მოგვარებისკენ არც ერთი ოფიციალური უწყება ნაბიჯს არ დგამს, რითაც ადგილობრიივ პროდუქცია ზარალდება. ეს რომ არ გითხრათ არ შემიძლია, ქუთაისში ჩამოვიდნენ უცხოელები და გააკეთეს სათბურები. ქუთაისიდან ევროპაში მიედინება ქართული მწვანილი, ბოსტნეული. ქუთაისელმა როგორ განავითაროს ბიზნესი, როცა შემოტანილი გაცილებით იაფია? თურქს თავისი პროდუქცია რომ აჭამო, თოფს გესვრის, ეს რა მაჭამეო, ჩვენ კი თურქეთიდან შემოტანილი უვარგისი პროდუქციით ვიკვებებით.

- ანუ რითი ვიკვებებით ჩვენც არ ვიცით?

- ნამდვილად. რას ვჭამთ არ ვიცით. ვისაც მცირე შემოსავალი აქვს, ცდილობს ქალაქგარეთ პატარა ბოსტანი გააკეთოს და ადგილობრივი პროდუქცია მოიყავნოს და ოჯახი ისე გამოკვებოს. მეც ანალოგიურს ვცდილობ, რომ ჩემს შვილს ნატურალური პროდუქტი ვაჭამო და არა გაურკვეველი წარმომავლობის პროდუქცია. ბიოლოგიური ომი წარმოებს საქართველოსა და მისნაირი ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც გამარჯვება არ გვიწერია. დავმარცხდებით. ქართული გენი განადგურების საშიშროების წინაშეა. აღნიშნული კვლევები დღემდე უნდა ეწარმოებინათ. ვაშლიჯვრის ლაბორატორია ოფიციალურად არსებობდა. ახლა გამოიტანა სამინისტრომ და ვაშლ-

„პრაქტიკულად, მოსახლეობამ არ იცის რა ხარისხის პროდუქტს იღებს საკვებად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დევნილები სუბარის უწყებას დახმარებას სთხოვენ

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

თემქაზე, ყოფილი კინოთეატრის („სიხარული“) შენობა კარგა ხანია ფუნქციადაკარგულია. იქ 16 წელია, რაც აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. ისინი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილთა სამინისტროდან მუდმივად გვესმის, რომ თითოეული დევნილი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უნდა დაკმაყოფილდეს, ხშირად საპირისპირო სურათს ვაწყდებით.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ასეა. კოპალიანების და მიქაძეების ოჯახები აღნიშნულ შენობაში უკვე წლებია ცხოვრობენ. მათთან ერთად საერთო ჭერს იყოფენ თბილისელი ძმებიც, რომლებიც ასევე უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ. ჩვენი იქ ყოფნისას შინ არ იმყოფებოდნენ, ამიტომ, მათი საცხოვრებელი ვერ დავათვალიერეთ. თუმცა, როგორც დევნილებმა გვითხრეს, ანალოგიურ გაჭირვებაში ცხოვრობენ.

ყოფილი კინოთეატრის შენობა ორსართულიანია. თუმცა, მეორე სართული საცხოვრებლად გამოუსადეგარია. თითქმის ყველა ფანჯარას მინა ჩამსხვრეული აქვს. კედლები გაბზარულია. კარები ჩამოღებულია. წვიმის დროს აქ წყალი ჩამოდის. დევნილები პირველ სართულზე ცხოვრობენ, თუმცა, წვიმის წყალი აქაც აღწევს. გაჭირვება აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა.

მათი თქმით, დაკავებული ფართები სახელმწიფოს მათთვის ჯერაც არ დაუკანონებიათ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთხელ მიმართეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებით, დღემდე მათი მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს.

მოახლოებულ ზამთარს ისინი შიშით მოელიან. გაზი ამ შენობაში შეყვანილი არ არის. დენით გათბობა კი ძვირი სიამოვნებაა. ამიტომ, ზამთარში შეშის ფეჩით თბებიან, თუმცა, შეშა, როგორც თვითონ ამბობენ, ადვილად მოსაპოვებელი არ არის.

ფოტო: თინა თუთისანი

ნიურა ლორთქიფანიძე: „ნერვიულობაში, გაუსაძლისს მდგომარეობაში ვართ. არანაირი პირობები არ გვაქვს. გაზი არ არის. ვწვალობთ და ასე გაგვაქვს თავი. დენიც არ მაქვს, სხვის დენზე ვართ. მეულლე დამელუპა. შვილთან ერთად ვცხოვრობ. აქ თვითნებურად შემოვედით. რამდენი განცხადება დავწერე, დიაბეტიანი ვარ, მალების დისკოზი, სახსრების ანთება მაქვს. ყურადღებას არავინ გვაქცევს. წინასაარჩევნოდ დღევანდელი ხელისუფლების წევრები, მათი წარმომადგენლები აქ იყვნენ მოსულები; ყველაფერს დაგვპირდნენ, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა. 21 წელი გავიდა და ჩვენი ჭერი არ გვაქვს. აქ რასაც ხედავთ ყველაფერი მეზობლებმა მომცეს - ნახმარი ნივთებია. აბა, მე რითი უნდა ვიყიდო? პენსია 150 ლარი მაქვს, დახმარების ფული... წამლები მჭირდება. ჩემმა შვილმა რა ქნას? გასულია სამუშაოდ, რომ წამლის ფული მომაწოდოს. ვწერ ამ განცხადებებს, მაგრამ შედეგი არ არის. წყალი ჩამოდის, „ბოჭკა“ მიდგას“.

ამ უსახურ შენობაში ქალბატონ ნიურას ყვავილების კუთხე აქვს მოწყობილი. მიყვარს ყვავილები, ამბობს ის და მცენარეებს სათუთად უვლის.

მეზობლისგან განსხვავებით მიქაძეების საცხოვრებელში ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა იმით, რომ იქ ჭერიდან წყალი აღარ ჩამოდის.

„ეს დროებით გავაკეთეთ. სანამ გაუძლებს, წყალი ჯერჯერობით არ ჩამოდის. რამდენი ხანია, რაც დაკანონებას ველოდებით, მაგრამ დღემდე პასუხი არ არის. რამდენი განცხადება დავწერეთ, აპლიკაციები შევავსეთ, მაგრამ დღემდე ბინით არ ვართ დაკმაყოფილებულები. გვითხრეს, კომპენსაციას მოგცემთ 20 ათასს ლარს და მოძებნეთ ისეთი ფართი, რომელიც საცხოვრებლად გამოსადეგი იქნებაო. თუმცა, ასეთი ფართი თბილისში სად არის? არ გვინდა ბინა, დაგვიკანონ ეს ფართი და მერე ჩვენ მივხედავთ. არ ვიცით აქ დაგვტოვებენ თუ არა, ამიტომ ჩვენი სახსრებითაც ვერ ვარემონტებთ. ვართ ასეთ მოლოდინში. უკვე აღარავისი გვჯერა. რამდენჯერ მოვიდნენ, ნახეს, მაგრამ არაფერი შეცვლილა“, - ამბობს ლია მიქაძე.

მას შემდეგ, რაც დევნილების პრობლემები მოვისმინეთ, კომენტარისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მივმართეთ.

როგორც სუბარის უწყების დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა მურად აბლოთიამ „პრაიმტაიმს“ განუცხადა, ყველა დევნილი აუცილებლად დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით. ამასთან, მისივე თქმით, სამინისტროში სიახლეა და დევნილებს თანადაფინანსების ფარგლებში სასურველი ბინის შესყიდვა შეუძლიათ.

მურად აბლოთია: „მოქმედებს შესყიდვის პროგრამა. 20 ათასი ლარის ფარგლებში, რომელსაც სამინისტრო დევნილს გადაუხდის. თავად შეარჩევენ სახლს, თუ თავადაც დაამატებენ თანხის გარკვეულ რაოდენობას, მაშინ თანადაფინანსებით შეიძენენ. რა თქმა უნდა, გადაეცემათ საკუთრებაში. ვინც არ არის დაკმაყოფილებული, შეუძლიათ ეს განაცხადი შეავსონ. სახლების შესყიდვის მიღებაზე კონკურენცია უფრო დაბალია, ვიდრე ბინის მიღებაზე. ძირითადად რეგიონებში ყიდულობენ, თბილისში ნაკლებად, რადგან ბინები 20 ათასი ლარი არ ღირს“.

თუმცა, ერთი ფაქტია, უკიდურეს სიტუაციაში მცხოვრებ დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების კუთხით, როგორც ჩანს, ბევრი არაფერი შეცვლილა. მუდმივად გვესმის სახელმწიფოსგან, ლტოლვილთა სამინისტროდან, რომ თითოეული დევნილი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით იქნება უზრუნველყოფილი. იმედია, ეს დანაპირები ჩვენს მეხსიერებას მხოლოდ ლოზუნგად არ შემორჩება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



ფონდი ნატახტარის მიღწევები

(ანონიმურობის დასაცავად ბენეფიციარების სახელები შეცვლილია)

ფონდი ნატახტარის“ ხელშეწყობით სოსო და დიტო დღეს წარმატებულები და დამოუკიდებელნი არიან

სოსო 19 წლის მიზანდასახული ახალგაზრდაა, ყოველთვის გეგმავს საკუთარ ცხოვრებას და ასრულებს გეგმას. მან იცის სად და როგორ მოიპოვოს მისთვის სასურველი ინფორმაცია და ცდის ყველა გზას საკუთარი გეგმების განსახორციელებლად. ის იოლად ამყარებს ურთიერთობებს გარშემომყოფებთან.

სოსო 10 წლის ასაკიდან მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში იზრდებოდა. ბავშვთა სახლში მოხვედრის მიზეზი ოჯახის ეკონომიკური პრობლემები იყო. 2013 წელს, ბავშვთა სახლის დახურვის გამო ის დაბრუნდა საკუთარ ოჯახში.

სოსო პროექტში „იზრუნე მომავალზე“ ჩართულია 2012 წლის აპრილიდან. მას შემდეგ ფონდი ეხმარებოდა სოსოს სასკოლო საგნების მომზადებაში, რის შედეგადაც მან შეძლო ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება და გახდა სტუდენტი. ის შეისწავლის სამართალმცოდნეობას. მისი ოცნებაა მაღალი დონის პროფესიონალიზმის მიღწევა საკუთარ საქმეში.

***

დიტოს რჩენა მისმა მარტოხელა დედამ ვერ შეძლო, რის გამოც ბავშვთა სახლში მოუწია შვილის დატოვება. ამ ფაქტის მიუხედავად, სოსო ადამიანებისა და ცხოვრების მიმართ პოზიტიური განწყობით გამოირჩევა. ახლა 20 წლისაა და ისევ დედასთან ერთად ცხოვრობს. პროექტში „იზრუნე მომავალზე“ 2013 წლის აპრილიდანაა. დავალებებს ყოველთვის სხარტად, დროზე და ბეჯითად ასრულებს. ამ ხნის განმავლობაში მასთან მუდმივად ტარდება ფსიქოლოგიური კონსულტირება პროფორიენტაციის, ახალ გარემოსთან ადაპტაციის და ეფექ-ტური კომუნიკაციის უნარების განვითარების მიმართულებით. „ფონდი ნატახტარის“ დახმარებით წარმატებით გაიარა ავტოსკოლის კურსები და უკვე მართვის მოწმობაც აქვს.

დიტომ კოლეჯში სპეციალობად ელექტრო გაყვანილობები, საკაბელო ქსელები და ვებ ტექნოლოგიები აირჩია. ფსიქოლოგისა და კომპანია „სილქნეტის“ მჭიდრო თანამშრომლობით, მან წარმატებით გაიარა კომპანიის ბაზაზე ტრენინგები და პრაქტიკა. დიტო მზადაა დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად, თუმცა ჯერ არ მუშაობს, ამიტომ „ფონდი ნატახტარი“ აგრძელებს მის მხარდაჭერას.

„ფონდი ნატახტარი“ 2011 წლიდან ეხმარება მზრუნველობა-მოკლებულ მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში. თანხა ნოემბრიდან თებერვლის მანძილზე გროვდება. ამ პერიოდში გაყიდული ყოველი „ნატახტარის ლიმონათის“ ბოთლიდან ფონდის ანგარიშზე ირიცხება 1, 3 და 5 თეთრი (შეფუთვების შესაბამისად 0.33 ლ; 0.5 ლ; 1 ლ და 2 ლ). სამი წლის განმავლობაში 420 000 ლარზე მეტი შეგროვდა. ფონდის ფარგლებში 159 ბენეფიციარი შემდეგი მომსახურებით სარგებლობს: ფსიქოლოგიური კონსულტაციები, საგნებში მომზადება, პროფესიული განათლებისა და მართვის მოწმობის მიღებაში, პროფესიისთვის საჭირო იარაღების/მასალის შეძენა, სტიპენდია (ბინის ქირა, კვება, გზა). აღსანიშნავია, რომ თითოეული ბენეფიციარისთვის თანხა მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად გამოიყოფა.

კორტავას საქმე ა

მზეკო ჟვანია

„სხვისი შვილების სიცოცხლის ხარჯზე სკამებს ნუ ითბობენ!“

იმისთვის, რომ მკითხველმა ლევან კორტავას გარდაცვალების ფაქტი გაიხსენოს, ჩვენ დეტალურად მოვყვებით თუ რა მოხდა 2013 წლის 12 მაისს გეგუთის მე-14 დაწესებულებაში, სადაც 26 წლის პატიმარი, ლევან კორტავა ცემით მოკლეს. ყველაფერი კი ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისთვის“ ხელის დარტყმით დაიწყო.

ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისთვის“ ხელის დარტყმის გამო, „ქურდულ სამყაროში“ დამკვიდრებული წესების შესაბამისად, მკაცრად დასჯის მიზნით, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალის გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით, გონების დაკარგვამდე, ჯგუფურად, სასტიკად სცემეს. კორტავა, რომელიც 2013 წლის 23 მაისს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ლევან კორტავას მკვლელობის გახმაურებულ საქმეში ბრალდებულ პატიმრებზე საბოლოო განაჩენი სექტემბერში გამოაცხადა. მოსამართლემ 2013 წლის 12 მაისს გეგუთის კოლონიაში მომხდარ ფაქტზე ბრალდებული ექვსივე პირი დამნაშავედ სცნო.

ლევან კორტავას მკვლელობის საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლო ამჯერად, გეგუთის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხზე იმსჯელებს. სასამართლო განხილვა საქართველოს სსკ-ის 332-ე და 375-ე მუხლებით გრძელდება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და დანაშაულის დაფარვას გულისხმობს. მე-14 დაწესებულების ყოფილი თანამშრომლების სისხლის სამართლის საქმე მიმდინარე წლის 5 ნოემბერს განახლდება. ოჯახი გეგუთის ციხის ყოფილი უფროსისა და მისი გუნდის უმკაცრესად დასჯას ითხოვს.

„პრაიმტაიმი“ ლევან კორტავას მამიდას, ხათუნა კორტავას ესაუბრა, რომელიც გეგუთის ციხეში არსებულ უმძიმეს ვითარებაზე საუბრობს. როგორც ხათუნა კორტავა აღნიშნავს, ციხეს კვლავ ე.წ „კანონიერი ქურდები“ მართავენ.

ხათუნა კორტავა: მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გეგუთის ციხეში ძალიან „ბინძური მანქანაა“ ჩართული, რომელიც ყოველთვის იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება. მოვითხოვ ადმინისტრაციის წევრების პროცესი სამართლებრივად წარიმართოს. გეგუთის ციხის ყოფილი უფროსი მალხაზ სინაურიძე და მისი გუნდი: თენგიზ კუჭავა, ივერი გოგიბერიძე, ილია შანშაშვილი, ალექსანდრე ბაბუნაშვილი, ზაზა და გაგა კოხოძეები უმკაცრესად დაისაჯონ. დანარჩენები, რომლებზეც აღკვეთის ღონისძიებაა შეფარდებული, პაიკები არიან.

- როგორც ვიცით, ერთი სასამართლო პროცესი უკვე დასრულდა და აღნიშნულ საქმეში ბრალდებული პატიმრები მოსამართლემ დამნაშავედ სცნო. ამჯერად სასამართლოში გეგუთის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი დგას. რა მოთხოვნები გაქვთ სასამართლოსთან და ზოგადად, ხართ თუ არა კმაყოფილი გამოძიებით?

- ქუთაისის საოლქო პროკურატურამ საქმის გასახსნელად ძალიან ბევრი იშრომა. მათ მართლა მოინდომეს და საქმე გახსნეს, მაგრამ საქმე ბოლომდე არ გახსნილა, რადგან ციხის უფროსი მალხაზ სინაურიძე ამჟამად ამერიკაში იმყოფება და სტაციონარულ მკურნალობას გადის. მისი ადვოკატი ციხის ადმინისტრაციის წევრების პროცესზე ირონიით ამბობს, რომ სინაურიძე ჯერ კიდევ საჭიროებს მკურნალობას და არ ჩამოსულაო. როგორც იცით, მალხაზ სინაურიძეს სტენოკარდია აქვს. ჩემი ძმისშვილის მკვლელობა რომ დაუკვეთა, მაშინ რატომ არ მიიღო სტენოკარდია?! ზუსტად ამ მთავრობამ გაუშვა ის ამერიკაში. მე მოვითხოვ, მალხაზ სინაურიძე და განსაკუთრებით თენგიზ კუჭავა სასჯელის უმაღლესი ზომით დაისაჯოს. კუჭავას ლომის წვლილი მიუძღვის ლევანის მკვლელობაში და მას ყველა მთავრობა ხელს აფარებს. მე ვხედავ, რომ გენერალური პროკურატურა ამ საქმეს ბლოკავს. როცა რუსთავის მე-6 დაწესებულებიდან გეგუთის მე-14 დაწესებულებაში 64 პატიმარი გადმოიყვანეს, ვერავინ დამაჯერებს, რომ თენგიზ კუჭავა და მალხაზ სინაურიძის ცოლისძმა იქ არ იყვნენ. კარგი, კუჭავა გაიპარა, მაგრამ, როგორ მოახერხა მან ეს?! სწორედ ამაზე ვითხოვ პასუხს! მთავრობამ მიპასუხოს, თუ მათ არ უნდოდათ, როგორ მოახერხა კუჭავამ გაპარვა?! ჩამოიყვანონ სინაურიძე და კუჭავა, ნუ აჯანჯლებენ სასამართლოს! მინდა ადმინისტრაციის წევრები ყველაზე მეტად დაისაჯონ, რადგან თუ ადმინისტრაციას ერთხელ და სამუდამოდ სამაგალითოდ დასჯის მთავრობა, ციხის სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლები ვერ გაბედავენ პატიმრების დახოცვას ციხეებში. მერე არც „ობშიაკი“ იქნება და არც ქურდული მენტალიტეტი. სხვისი შვილების სიცოცხლის ხარჯზე სკამებს ნუ ითბობენ! ახლახან სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის პირველ მოადგილედ კახი კახიშვილი დაინიშნა, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამ დაწესებულებაში, ამ ბინძურ სტრუქტურაში, შევიდა ისეთი ადამიანი, რომელიც სხვისი შვილების სიკვდილიანობას მაინც შეაჩერებს, რომ ამ „ქურდებს“ და ამ „შავ სამყაროს“ ბოლოს მოუღებს. მე ვარ რიგითი მოქალაქე და არც ერთი პოლიტიკური ძალა არ მაინტერესებს, არც „ნაციონალები“ და არც „ოცნება“. მე მინდა სამართლიანობის აღდგენა. იმედია „ქურდები“არ იჯეჯილებენ და ახლა მაინც არ დაგვიხოცავენ შვილებს. მთავრობამ იმ „ბინძური მანქანის“ წევრების სამაგალითოდ დასჯა თუ მოინდომა, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებშია ჩართული და განსაკუთრებით გეგუთის ციხეში, მერე ვერავინ გაბედავს ციხებში პატიმრების მკვლელობასა და სხვისი ოჯახების გაუბედურებას. იმედია, ბატონი კახი ჩემს ამ მოთხოვნას შეასრულებს. ჩემი მოთხოვნაა, რომ ქურდული სამყაროს წარმომადგენლები სამაგალითოდ დაისაჯონ! ასევე მოვითხოვ, ადმინისტრაციის თანამშრომლების სასჯელის უმაღლესი ფორმით დასჯას, რომლებსაც უშუალოდ ლევანის სიკვდილში მიუძღვით წვლილი. როგორც საეკაშვილი აპირებს ჩამოსვლას, სინაურიძეც ისე ჩამოვა.

„გეგუთის ციხეში ძალიან „ბინძური მანქანაა“ ჩართული“


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენ
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIA
AFFAIRS OF GEORGIA
Legal Entity of Public Law
State Regulation Agency for Medical Activities
KA030216500070914
საქართველო, თბილისი 0159, აკაწყრეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 725 384
144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 725 384
№ 02/84929
21 / ოქტომბერი / 2014 წ.
მოქ. ბადრი კორტავას
მის.ქ.ფოთი, ჭავჭავაძის ქ.N98
ბატონო ბადრი,
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავალების შესაბამისად სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში შემოვიდა ... მსჯავრდებულ ნუგზარ ბურუაძის ადვოკატის, დალი სულაქველიძის საჩივარი (N100503, 08.10.14წ.) (საჩივარს ასევე ხელს აწერენ სხვა გრალდებულთა ადვოკატები და ოჯახის წევრები). ადვოკატი ითხოვს აწ გარდაცვლილ პაციენტ ლევან კორტავას მიმართ გაწეული სამედიცინო დახმარების საკითხის შესწავლას.
გაცნობებთ, რომ რეგულირების სააგენტო, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პაციენტთათვის გაწეულ სამედიცინო დახმარების საკითხს სწავლობს, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. სასამართლოს ნებართვის შესაბამისად.
ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17, მე-18, 21-ე მუხლების და „სამედიცინო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად არავისთვის არ შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს ოფიციალურ დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, თვით ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო აღნიშნულ საკითხს ეისწავლის თქვენი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
პატივისცემით,
სააგენტოს უფროსის მოადგილე
გოდერძი იმნაიშვილი

- როგორ ფიქრობთ, ამ დრომდე რატომ არ გაიხსნა საქმე?

- იმიტომ, რომ ასეთ ხალხს ყველა მთავრობა ხელს აფარებს. რატომ არიან ყველა მთავრობის მფარველობის ქვეშ? მე გეტყვით, ალბათ, სასჯელაღსრულების სამინისტროში ჰყავთ ხალხი და მთავრობაც ამიტომაც მფარველობს მათ. ისინი კუჭავას გუნდის წევრები არიან და როგორც ყველა ციხეში, გეგუთის ციხეშიც ციხის უფროსს თავისი „მაყურებელი“ ჰყავს. ყოველდღე ქუთაისში ვარ და ყველაფერს დამოუკიდებლად ვიძიებ. მე, რიგითმა მოქალაქემ ყველაფერი გამოვიძიე, ყველაფერი ვიცი და ვინ დამაჯერებს, რომ ციხეში ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგო. მესმის, რომ ციხეში კუჭავა დაკითხეს, მაგრამ მე ამის დამადასტურებელი საბუთი არ მინახავს. კუჭავას დაკავება არც ერთ ხელისუფლებას არ აწყობს. პროცესებს ხომ ვესწრებოდი, მე თვითონ ჩემი ძიებითაც ძალიან ბევრი კითხვა დამიგროვდა. თუ ეს საქმე არ გაიხნება და როგორც უნდათ ისე დაამთავრებენ, ვიღაც ხომ მოვა ხელისუფლებაში, ვინც ამ ყველაფერს ბოლომდე მიიყვანს?! მე ამ საქმეს არ შევეშვები და ყველაფერს ნათელი მოეფინება. ძალიან ცუდი პირობებია და დიდი ბრძოლა დასჭირდება მინისტრს და მის ახალ მოადგილეს, მაგრამ თუ კარგად დაიწყებენ მუშაობას, მათ გაჩერებას არაფერი არ უნდა. მინდა ეს პროცესი ბოლომდე მივიყვანო. ყველაზე სასტიკი ჯალათები ციხის და ცხაკაიას სახელობის ინტენსივნციული

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲝᲜ ᲡᲘᲜᲐᲣᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲙᲣᲭᲐᲕᲐ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲜᲣ ᲐᲭᲐᲜᲭᲚᲔᲑᲔᲜ!“

EXCLUSIVE

„რატომ მიუწვდებოდა ხელი ლევანის სამედიცინო დასკვნაზე მაია ნიკოლეიშვილს? ის ხომ დაცული უნდა ყოფილიყო“

ცენტრის ექიმები არიან, სადაც ლევანი გადაიყვანეს. იქ ჩემს ძმისშვილს არავინ მიხედა. როცა მე მასთან შესვლა მოვითხოვე, 11 დღის მანძილზე ის ჩემთვის არავის უჩვენებია. ბადრაგი, რომელიც ლევანს მიუჩინეს, მეუბნებოდა, რომ ჩემი ძმისშვილის ჩვენების უფლება არ ჰქონდა. კუჭავასა და სინაურიძეს უბრძანებიათ, რომ თუ მე ლევანის ნახვას დავაპირებდი, ბადრაგს პატრული უნდა გამოეძახა და დავეჭირეთ. ეს ბრძანება მათ იმისთვის გასცეს, რომ მე ლევანი არ მენახა და მას ჩემთვის სიმართლე არ ეთქვა.

- თქვენი მოლოდინი როგორია, სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს?

- კუბლაშვილის სასამართლოსგან მე არაფერს ველოდები. რას უნდა ველოდოთ. შეიძლება სინაურიძე დაისაჯოს, რადგანაც „ნაციონალები“ და „ოცნება“ ბანაკებად არიან დაყოფილი. ჩვენ რა დავაშავეთ?! მე მხოლოდ სამართალს ვითხოვ. რატომ არ აშუქებენ ამ ამბავს, ან ტელევიზიები რატომ არ ინტერესდებიან რა ხდება სასამართლო პროცესებზე? ყველა საჯარო სტრუქტურა ჩაერიოს ამ საკითხში და კუჭავა სინაურიძესთან ერთად ჩამოათრიონ! ეს ონიანები ერთხელ და სამუდამოდ დასაჯონ! პრეზიდენტი რომ გვპირდებოდა, ყველა მოქალაქის გარანტი ვიქნებიო, სად არის? სიკვდილის გარანტი იქნება? წელიწადი და შვიდი თქვეა, ჩემს ძმისშვილს მიწა ჭამს! მე ცხოვრებაწართმეული ქალი ვარ, უფლის გარდა ვერავინ ვერ გამაჩერებს.

- როგორც ვიცი, ლევანის მამამ ჯანდაცვის სამინისტროსგან წერილი მიიღო, რომლის მიხედვითაც ნუგზარ ბუჩუაძის ადვოკატი, ქალბატონი დალი სულაქველიძე ლევანის მიმართ გაწეული სამედიცინო დახმარების საკითხის შესწავლას ითხოვს...

- მათ, ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი ჰყავდათ ჩამოყვანილი, რომელმაც ექსპერტიზა ჩაატარა და არც ერთი ექსპერტიზის შედეგი არ ემთხვევა ერთმანეთს. ქალბატონი მაიას გარდა, რამდენიმე ექსპერტი იყო ჩართული. მე მათი საქმიანობის შემდეგ კითხვები გამიჩნდა, რომლებზეც შემდეგ პასუხებს ვიღებდი: „ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის“, „ეს მე არ მეხება“. ეს თუ არ ეხებათ, მაშინ საერთოდ რა ეხებათ?! მე ვარ დაზარალებული და ვის უნდა დავუჯერო? როდესაც ექსპერტი სასამართლოს წინაშე ლაპარაკობს, ეს ჩემი პრეროგატივა არ არისო და ჩემ კომპეტენციაში არ შედისო, რა უნდა გავაკეთო? ახლა ლევანის მამის სახელზე გამოაგზავნეს ცნობა, რომ ჩემმა ძმამ გამოიტანოს ეს საბუთები. მე დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი ექიმების პასუხისმგებლობა აუცილებლად დადგება, რადგან მომხდარი ფაქტის შემდეგ, კომაში მყოფი პატიმარი ორსაათნახევარი გეგუთის ციხის საავადმყოფოში გააჩერეს. ამ ხნის განმავლობაში სინაურიძე და კუჭავა ბჭობდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, როცა ლევანი „ცხაკაიას“ საავადმყოფოში გადმოიყვანეს ის 11 დღე ცოცხალი იყო. ბავშვი შეიყვანეს და მხოლოდ აპარატზე შეაერთეს.

- ექიმების საკითხის დაყენება, ხომ არ უკავშირდება მაია ნიკოლეიშვილის დასკვნას, რომლის მიხედვითაც ლევანი ფსიქოტროპულ და ნარკოტიკულ საშუალებებს იღებდა, თუმცა სიკვდილის მიზეზად ექიმების დაუდევრობა დაასახელა?

- მაია ნიკოლეიშვილი ბრალდებულების ექსპერტი იყო. თუ ქალბატონი მაია ბრალდებულმა დაიქირავა, მას მისი საქმე უნდა გაეკეთებინა. დიახ, ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ სიკვდილი ექიმების დაუდევრობის შედეგია. მე მაინტერესებს, რატომ მიუწვდებოდა ხელი ლევანის სამედიცინო დასკვნაზე მაია ნიკოლეიშვილს? ის ხომ დაცული უნდა ყოფილიყო. ექსპერტმა ნიკოლეიშვილმა ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ წამლებზე თქვა, ლევანი იმ ფსიქოტროპულ წამლებს იღებდა, რომელსაც მე თვითონაც ვიღებ, მაგრამ არ მოვმკვდარვარ. ექიმების საკითხი უნდა დავაყენო, რადგან თვითონ ირმა ლანჩავამ, რომელიც ქორწილში იყო და ქეიფის შემდეგ დაგვიანებით მოვიდა პაციენტთან, მისი გულგრილობითა და მისი ჯალათობით ლევანის სიკვდილში წვლილი მაც შეიტანა. ლანჩავა გულრილობით ცნობილი ექიმია. ის და მისი ექთანი ჯალათები არიან! ნიკოლეიშვილი იმასაც ამტკიცებს, რომ ლევანი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. თუ ლევანს ფილტვების ანთება ჰქონდა, როცა პატიმრებს შორის ჩხუბი დაიწყო, მას მოთენთილობა უნდა ჰქონოდა. ვისაც დაარტყა, ფეხზე ვერც ერთი ვერ დადგა და ასეთი დაავადების მქონე ადამიანმა, როგორ იჩხუბა? მან მხოლოდ იმ „ხროვას“ ვერ გაუძლო, რომელიც დააცხრა.

- დაბოლოს, როგორც ლევანის მამიდას, მინდა გკითხოთ, რას შეეწირა თქვენი ძმისშვილი?

- ლევანი უსამართლობასა და მის ადამიანობას შეეწირა... მისთვის მთავარი იყო ადამიანი, ღირსებითა და ადამიანური სულით...

„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ, ᲡᲘᲜᲐᲣᲠᲘᲫᲔᲪ ᲘᲡᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲐ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„რასაკვირველია, დაპირისპირება მოსალოდნელია“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“ იმ ოპოზიციას დაემსგავსა, რომელსაც თავის დროზე თავად დასცინოდა არასწორად შერჩეული პოლიტიკური გზის გამო. 15 ნოემბერს ნაციონალებმა ანექსიის საწინააღმდეგო აქცია რუსთაველზე, პარლამენტის წინ დააანონსეს და დარწმუნებულები არიან, რომ მათი გადაწყვეტილება იდეალურია. თუმცა ამდენწლიანი პოლიტიკური გამოცდილების შემდეგ ნაციონალების წევრებმა ზუსტად იციან, რომ რამდენიმესაათიანი, გნებავთ რამდენიმედღიანი აქციაც კი რეალურად არაფრის მომტანია. ბუნებრივია, ყველა ქმედება შედეგზეა გათვლილი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ოპოზიცია უშედეგოდ დახარჯავს საკუთარ დროს, ენერგიასა და, დიდი ალბათობით, ფინანსებსაც კი... ფინანსებზე ოდნავ მოგვიანებით, მანამდე ისევ აქციის მიზანზე: თავად ნაციონალები აცხადებენ, რომ მიზანი ხელისუფლების გამოფხიზლებაა. აცხადებენ, რომ ოპოზიციაში არ მოსწონთ და არ ეთანხმებიან ხელისუფლების ქმედებებსა თუ უმოქმედობას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. და ეს მაშინ, როდესაც მოქმედი ხელისუფლება, საზოგადოებასთან ერთად, სწორედ ნაციონალებს ადანაშაულებს ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვაში. სწორედ ამიტომ პოლიტიკოსები, ექსპერტები და ამომრჩევლების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაციონალებს უბრალოდ მორალური უფლება არ აქვთ, ასეთი შინაარსის აქცია გამართონ. მით უფრო, რომ ისინი აქციას არა კონფლიქტურ ზონასთან ახლოს, მავთულხლართების ფონზე, ან შვეიცარიის საელჩოს წინ მართავენ, არამედ რუსთაველზე, სადაც აქციის დაანონსება თავისთავად ასოცირდება კარვებთან, „გრეჩიხასთან“, სუსტ ოპოზიციასთან... თუმცა ნაციონალების ლიდერები საკუთარ გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ხსნიან...

გიორგი ვაშაძე, ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი:

– ჩვენ მოთხოვნას ვუყენებთ არა შვეიცარიის ან ამერიკის საელჩოს, ან აფხაზებსა და ოსებს, არამედ საქართველოს ხელისუფლებას. ჩვენ არ მოგვწონს ის პოლიტიკა, რომელსაც მოქმედი ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ახორციელებს, რადგან ეს არის სახელმწიფო ინტერესებისთვის ძალიან დიდი პრობლემა. შესაბამისად, აქციას ვატარებთ იქ, სადაც ყველაზე კარგად გაიგებს ეს ხელისუფლება ხალხის მოთხოვნასა და განწყობას. ჩვენ აქციას ვაწყობთ იმიტომ, რომ ხელისუფლება გამოფხიზლდეს და ნაცვლად დაპირისპირების ფონის შექმნისა, ნაცვლად თვითგამორკვევაზე განცხადებების კეთებისა სჯობს, გადადგას ისეთი ნაბიჯები, როგორსაც ხალხი მათგან ითხოვს.

– მიგაჩნიათ, რომ არასწორ ნაბიჯებს დგამს, როგორი იქნებოდა თქვენი ნაბიჯები მათ მაგივრად?

– ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთთან კომპრომისული ნაბიჯები ქვეყნისთვის დამღუპველია. ამის შედეგად სრულიად უხმაუროდ მივიღეთ ანექსირებული ტერიტორიები, გაჭიმული მავთულხლართები და დავკარგეთ ათობით ჰექტარი მიწა. ამაზე არანაირ რეაგირებას არ ახდენს ხელისუფლება. ამას კი მოჰყვება ის, რომ ჩვენ დავკარგავთ და ნელ-ნელა უკვე ვკარგავთ ჩვენს მთავარ პარტნიორს – დასავლეთს, რადგან ხელისუფლება არსად არ საუბრობს არსებულ პრობლემაზე.

– თუმცა არც თქვენმა აგრესიულმა პოლიტიკამ არ გაამართლა, ეს ხომ ფაქტია? ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ მათ აქვთ საკუთარი სტრატეგია...

– და რა არის ეს სტრატეგია? ის, რომ ჩუმად, ყოველგვარი დისკუსიისა და განცხადების გარეშე ვკარგავთ ტერიტორიებს?

– თქვენ აცხადებთ, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს პრობლემაზე, თუმცა ფაქტია, რომ სწორედ ჩვენი ხელისუფლების მოლაპარაკებების შედეგად გეგმავს შვეიცარიის ელჩი აფხაზეთში ვიზიტს უახლოეს პერიოდში...

– სად აპირებს ჩასვლას, აფხაზეთში? მერე? ელჩები ყოველთვის ჩადიოდნენ და ახლაც ჩავლენ, ეს ძალიან კარგია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებამ ეს კონკრეტული ქმედებები მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მიიღო ძალიან მკაცრი რეაგირება საკუთარ აბსურდულ, სახელმწიფოს საწინააღმდეგო განცხადებაზე, ვგულისხმობ თვითგამორკვევის შესახებ განცხადებას. სწორედ ამიტომ ვატარებთ აქციას, რომ გაიგოს ხელისუფლებამ, საქართველოს მოსახლეობისა და ჩვენი პოზიცია არის შეურიგებელი მსგავს განცხადებებთან დაკავშირებით.

– ნაციონალებს თავად ოპოზიცია უმართავდა უამრავ აქციას და ზუსტად იცით, რომ ასეთი, რამდენიმესაათიანი აქცია შედეგის მომტანი არ არის, რა აქვს მიზნად ამ აქციას რეალურად?

– ხელისუფლების გამოფხიზლებაა აქციის მიზანი. თუ არ გამოფხიზლდება და არასწორ პოლიტიკას გააგრძელებს, მაშინ ჩვენც გავაგრძელებთ პროტესტის პროცესს. ეს არის ჩვენი გამაფრთხილებელი აქცია და ის იქნება მშვიდობიანი.

– გზის გადაკეტვა იგეგმება?

– თუ ბევრი ადამიანი გამოვა, გზა თავისთავად გადაიკეტება, ბუნებრივია. ჩვენ ვაპირებთ, ამის შესახებ მერიას მივმართოთ. როგორც ვიცი, ძალიან ბევრი ადამიანი აპირებს მოსვლას.

– რა რაოდენობის?

– კონკრეტულ ციფრებს შედეგით დავითვლით, თუმცა ძალიან ბევრი ადამიანი გვიკავშირდება და გვეუბნება, რომ მოსვლას აპირებს.

უფლებადამცველები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნაციონალების რეალური მიზეზი რადიკალურად განსხვავებულია. „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენელი, ლადო სადღობელაშვილი ადასტურებს, რომ ნაციონალებს მობილიზებული ჰყავთ ადამიანები სამეგრელოში, რომლებიც 15 ნოემბერს თბილისში, რუსთაველზე გაშლილ კარვებში „დაბანაკდებიან“... არეულობებს ნაციონალები კატეგორიულად

„ეს იქნება ერთდღიანი აქცია, როგორც ვიცი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის მიზანი

მამუკა არეშიძე:
„რასაკვირველია, დაპირისპირება მოსალოდნელია... აქციების ეს ნაწილი ორიენტირებულია ხელისუფლების მდგომარეობის შერყევაზე“

დავით უსუფაშვილი:
„იქნება აქცია კანონიერი და მშვიდობიანი – ჩაატარებენ, იქნება ძალისმიერი – მიიღებენ სათანადო პასუხს იმ ხალხისგან, ვისაც ეს ევალება“

გოგა ხაჩიძე:
„თუ დასაცავად გაგვიხდა საქმე, აქამდეც თავდაცვის რეჟიმში ვიყავით და ანიც მოვიფიქრებთ რამეს“

გიორგი ვაშაძე:
„თუ ბევრი ადამიანი გამოვა, თავისთავად გზა გადაიკეტება, ბუნებრივია. ჩვენ ვაპირებთ, ამის შესახებ მერიას მივმართოთ“

დიმიტრი ლორთქიფანიძე:
„არსებობს სრული ლეგიტიმაცია, რომ ჩატარდეს კონტრაქცია იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებშიც შედიან ყოფილი პოლიტპატიმრები და მათ არ სურთ, რომ რუსთაველის გამზირზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამართოს აქცია“

მოხსენიებული იყო „კანონიერი ქურდის“ ტერმინი... ეს ინფორმაცია ექნება პოლიციას, მათ შორის გერმანულ მხარეს, რომლის უშუალო მოთხოვნით ჩატარდა სპეცოპერაცია

უარყოფენ, სამაგიეროდ გიორგი ვაშაძე ადასტურებს, რომ ბევრი ადამიანის მოსვლის შემთხვევაში გზას გადაკეტავენ... გზის გადაკეტვის შემთხვევაში ხელისუფლება რომ ადეკვატურად იმოქმედებს, ეს, თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარემ უკვე განაცხადა. პრინციპში, საფუძვლიანი ეჭვია, რომ ნაციონალებს სწორედ პოლიტიკური არეულობის შექმნა სურთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება მათ მიერ დაგეგმილი აქციის მიზანი.

დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:

– მახსენდება, როდესაც ოპოზიციაში ყოფნის დროს მიტინგებს ვაწყობდით, თუკი ხელისუფლების მხრიდან რაიმე მსგავსი ბრალდება გაისმოდა, ეს ხალხის მობილიზებაში ხელს არ გვიშლიდა – პირიქით, მეტი ხალხი მოდიოდა. არ მგონია, რომ რაიმე კატასტროფული და საყურადღებო ხდება. „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ყველა დონეზე სრულად არის გაკოტრებული, ცდილობს, პოლიტიკური აქტიურობის ახალი ფორმები გამოძებნოს. ეს მათი გადასაწყვეტია – როცა უნდათ, სადაც უნდათ, იქ შეიკრიბონ კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში და რა თემაც უნდათ, ის თემა წამოწიონ. ხელისუფლება, სამართალდამცავი ორგანოები, როგორც ყოველთვის, აქაც მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყვნენ, რათა ადამიანის უფლებების დარღვევა – თავად მომიტინგეებისა თუ სხვების, არ დაუშვან. არ იქნება სწორი, თუ დღეიდან 15 ნოემბრამდე ამ თემაზე ლაპარაკში გავატარებთ – „ნაციონალური მოძრაობა“ რას აპირებს, როგორ აპირებს და რატომ აპირებს. რაც უნდათ, ის დააპირონ. იქნება აქცია კანონიერი და მშვიდობიანი – ჩაატარებენ, იქნება ძალისმიერი – მიიღებენ სათანადო პასუხს იმ ხალხისგან, ვისაც ეს ევალება.

ცნობილია, რომ ნაციონალებს თხუთმეტში აქციის მონაწილეები დასავლეთიდან ჩამოჰყავთ. ბუნებრივია, გზა, საწვავი, მინიმუმ ერთდღიანი ქუჩაში დგომა ბევრ ფინანსურ ხარჯს მოითხოვს. ისიც ითქვა, რომ აქციის თითოეულ მონაწილეს ოპოზიცია ფულადი ანაზღაურებით დაასაჩუქრებს. თავად ნაციონალები ინფორმაციას დეზინფორმაციად ასაღებენ და ბრალდებას კონტრბრალდებად აქცევენ. გოგა ხაჩიძის განცხადებით, შესაძლოა, ნაციონალების კონკურენტმა პოლიტიკურმა ძალამ აქციაზე მისულ ადამიანებს მართლაც დაურიგოს ფული, რომ შემდეგ აჟიოტაჟი ატეხოს...

გოგა ხაჩიძე, ნაციონალების წევრი:

– რასაც 15 ნოემბრის აქცია ემსახურება, თავმოყვარე ხელისუფლებას ასეთი ეჭვებიც რომ ჰქონდეს და მართლა ფიქრობდეს, რომ აქციაზე მოსასვლელად ფული რიგდება, იმდენი გაგება უნდა ეყოს, რომ ეს ხმამაღლა არ თქვას. აქციაზე, რომელიც აფხაზეთის ანექსიასა და უახლოეს მომავალში სამხრეთ ოსეთის ანექსიას ეხება, პრემიერმა არ უნდა დაიწყო ჭორაობა, რომ თურმე 15 ლარს ურიგებენ ადამიანებს, იქ რომ მიიყვანონ და შემდეგ ერთმანეთი აცემინონ. ყველაფერს აქვს საზღვარი და, ალბათ, ხელისუფლების სისულელესაც. გასაგებია, რომ „ქართული ოცნების“ მთელი არსებობა და მოქმედება სწორედ ფულსა და გადახდაზეა აგებული და შესაძლოა, სწორედ ამიტომ მოსდით თავში მსგავსი აზრები. არ მესმის, საერთოდ რატომ არ უერთდებიან ამ აქციას და რატომ არ ამბობენ, რომ თავად ეწინააღმდეგებიან ანექსიას.

– შესაძლოა, ჩატარდეს კონტრაქცია. ელოდებით თუ არა დაპირისპირებას და როგორ უნდა აიცილოთ თავიდან ეექსცესები?

– ვინ გეგმავს კონტრაქციას? ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ თავის დასაცავად გვაქვს საქმე. ჩვენ გვაქვს მიზანი 15 ნოემბერთან დაკავშირებით, რომ გავაპროტესტოთ ანექსია.

– ფიქრობთ, რომ ხელის შეშლის მცდელობა იქნება?

– თუ იქნება ხელის შეშლის მცდელობა, ამაზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ, სამართალდამცავებმა და პირადად პრემიერ-მინისტრმა. თუ დასაცავად გაგვიხდა საქმე, აქამდეც თავდაცვის რეჟიმში ვიყავით და ანიც მოვიფიქრებთ რამეს.

– ვინ გიერთდებათ ოპოზიციიდან?

– რამდენადაც ვიცით, პაატა დავითაიამ განაცხადა თანხმობა. ჯერ კიდევ არის დრო და იქამდე ბევრი რამ გაირკვევა.

– უმრავლესობიდან ხომ არ ელოდებით რომელიმე დეპუტატს?

– არა მგონია, ვინმემ გაბედოს ამ აქციაზე გამოსვლა. არ ვიცი, ვნახოთ.

– შეიძლება, რომ პრეზიდენტი მოვიდეს?

– არა მგონია. აქციაზე კი არა, შეხვედრაზე არ მიდის მარგველაშვილი, თუ მთავრობა და მისი ლიდერი თანხმობას არ განუცხადებს და მით უმეტეს, აქციაზე ვერ მოვა.

– რა რაოდენობის მხარდამჭერებს ელოდებით, თუ გაქვთ წინასწარ ინფორმაცია?

– წინასწარ ვერ ვიტყვი, თუმცა გეტყვით, რომ ძალიან საინტერესო იქნება, რა რაოდენობის ადამიანები გამოვლენ. გამოჩნდება „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“ მხოლოდ ნაჭერზე დაწერილი ლოზუნგია ადამიანებისთვის, თუ ჩვენს საზოგადოებაში მართლა აქვთ ადამიანებს შეგრძნება, რომ არ შეიძლება ჩუმად იდგე მაშინ, როდესაც პრაქტიკული ანექსია ხორციელდება. რაოდენობა ერთგვარი ინდიკატორი იქნება. ვფიქრობ, საკმარისზე მეტი ხალხი მოვა, რომ ნება და კონკრეტული პოზიცია დაფიქსირდეს.

– თქვენი აზრით, სხვა პოლიტიკური ძალა რომ მართავდეს იგივე შინაარსის აქციას, უფრო მეტი ადამიანი გამოვიდოდა?

– თუ ვინმე ფიქრობს, რაკი ნაციონალები მართავენ აქციას, ამიტომ აფხაზეთი არ გვაინტერესებსო, ეს მათი პოზიციაა.

– ასეთი პოზიციაა, რადგან უმრავლესობის წევრები მიიჩნევენ, რომ ნაციონალებს არ აქვთ მორალური უფლება, მსგავსი აქცია ჩაატარონ...

– რა თქმა უნდა, ეს იმიტომ, რომ ასკაციანი აქცია რომ ჩაატარო, ხელისუფლების წევრები გამოდიან და კონტრჭორებს ავრცელებენ. ცდილობენ, არ გამოჩნდეს ის, რომ ჩვენ კონკრეტული საკითხის ორგანიზება შეგვიძლია და მით უფრო ხალხის გამოყვანა. მით უმეტეს, ასეთ საკითხზე. ანექსიის პრობლემა უმნიშვნელოვანესი საკითხია და არა მგონია, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს პარტიულობას. აფხაზეთი მარტო ნაციონალების არის, მარტო ჩვენ გვტკივა, თუ როგორ არის საქმე?

– გაგრძელდება აქციები თუ მხოლოდ ერთდღიანი იქნება?

– მე აქტიურად ვარ ჩართული საორგანიზაციო საქმეებში და ეს იქნება ერთდღიანი აქცია, როგორც ვიცი. მივალთ, დავაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, ბუნებრივია, ქვეყანაში უნდა გავრცელდეს განსხვავებული მოსაზრება მაშინ, როდესაც ხელისუფლება დუმს ასეთი ტიპის პრობლემებზე.

ყველაზე მთავარი კი მოსალოდნელი დაპირისპირებაა, რომელსაც ექსპერტების ნაწილი წინასწარვე აანონსებს. მამუკა არეშიძის განცხადებით, ნაციონალები ქუჩაში, სავარაუდოდ, 3-5 ათას კაცამდე გამოიყვანენ. ექსპერტს მიაჩნია, რომ რუსთაველისთვის ეს არც ისე დიდი რაოდენობაა, მით უფრო მაშინ, როდესაც ხელისუფლებას საპასუხოდ გაცილებით მეტი მომხრის გამოყვანის რესურსი აქვს, თუმცა არეშიძე დარწმუნებულია, რომ დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლება კონტრაქციას არ დაუშვებს. მიუხედავად იმისა, რომ უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე პოლიტპატიმრების განწყობას წინასწარვე ამჟღავნებს, მას მიაჩნია, რომ პოლიტპატიმრებს სრული ლეგიტიმაცია აქვთ, არ დაუშვან ნაციონალების აქცია რუსთაველზე...

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– რასაკვირველია, დაპირისპირება მოსალოდნელია, როდესაც მსგავსი აქცია იგეგმება. მსგავსი აქციები ქვეყნისთვის ყოველთვის ცუდია, ის განვითარებას უშლის ხელს. ეს ასე იყო მაშინაც, როცა ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს მართავდა ოპოზიცია აქციებს. მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაიგო, რას ითხოვდა მისგან საზოგადოება და სწორედ ამიტომ გაგრძელდა საპროტესტო გამოსვლები დაუსრულებლად. თუ ვინმე ფიქრობს, რომ კარგი იყო რუსთაველზე გამოჭიმული კარვები, ძალიან ცდება, ეს არც არავის მოსწონდა. ეს იყო იმის შედეგი, რომ ნაციონალებისდროინდელმა ხელისუფლებამ არ მოინდომა დიალოგის რეჟიმის შექმნა საზოგადოებასთან. დღეს სხვანაირი მდგომარეობაა. თავად აქციის დასახელება „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არის ცინიზმი, რადგან მთლიანად თუ არა, საკმაოდ დიდი წვლილი სწორედ მათს არასწორ პოლიტიკას მიუძღვის ტერიტორიების დაკარგვაში. ამიტომ ახლა ცოტა სასაცილოა, როდესაც ამ საკითხებზე ნაციონალები გამოდიან საპროტესტო აქციებით. თუმცა მე მაქვს ინფორმაცია, რომ 15 ნოემბერს დაწყებული აქციების მთავარი ორიენტირი არის ის, რომ აქციები 23 ნოემბრამდე გაგრძელდეს. 23, მოგეხსენებათ, საიუბილეო რიცხვია და დროის ეს მონაკვეთიც ამიტომ არის შერჩეული. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ მიმაჩნია, რომ აქციების ეს ნაწილი ორიენტირებულია ხელისუფლების მდგომარეობის შერყევაზე და არა დამხობაზე. რეალურად ეს ყველაფერი მოსამზადებელი ეტაპია გაზაფხულის აქციებისთვის, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმავს. 2015 წელი არის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი წელი და, შესაბამისად, ისინიც იწყებენ მოქმედებას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თიბისი ბანკი საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურებისთვის დაჯილდოვდა

პირველად საქართველოში, თიბისი ბანკმა მიიღო მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ჟურნალების,The Banker და Professional Wealth Magazine, მიერ დაწესებული ჯილდო - 2014 წლის საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურება საქართველოში.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული ბანკი წარდგენილი იქნა ამ ნომინაციაში და დასახელდა როგორც საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურების მქონე ბანკი.

კონკურსში მონაწილეობდა 136 ბანკი 60 სხვადასხვა ქვეყნიდან. ჟიური დაკომპლექტებული იყო საბანკო ინდუსტრიის 15 ექსპერტით ჩრდილოეთ ამერიკიდან, აზიიდან, ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან.

თიბისი ბანკი პერსონალური საბანკო მომსახურების საუკეთესო მაჩვენებლებისთვის დაჯილდოვდა. ჟიურიმ შეაფასა პერსონალური საბანკო მომსახურების მომხმარებელთა და არარეზიდენტი პირების ზრდის მაჩვენებელი, მათი მომსახურების ეფექტურობა და შეთავაზებული პროდუქტების მრავალფეროვნება.

„ჩვენთვის საამაყოა ეს მიღწევა და მოხარულები ვართ, რომ თიბისი პირველი ბანკია საქართველოში, რომელიც ამ პრესტიჟული გამომცემლობების მიერ დაჯილდოვდა პერსონალური საბანკო მომსახურების სფეროში“,- აღნიშნა ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ. „თიბისი ბანკის მიერ 2005 წელს შეთავაზებული VIP საბანკო მომსახურება, იყო ერთ-ერთი პირველი ამ ტიპის სერვისი საქართველოს ბაზარზე. ამ პერიოდიდან დაწყებული ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ძლიერი ბრენდი დაფუძნებული მაღალი ხარისხის პროდუქტებსა და მსოფლიო დონის საუკეთესო გამოცდილებაზე. პერსონალური საბანკო მომსახურება, რომელსაც დღეს ჩვენი VIP, Status და არარეზიდენტი პირების აქტივების მართვის განყოფილებები უძღვებიან, თიბისი ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ეს ჯილდო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან ეს არის თიბისი ბანკის პერსონალური საბანკო მომსახურების საუკეთესო შედეგების სერთაშორისო აღიარება“.

„მადლობა VIP მომსახურების თითოეულ მომხმარებელს, რომლებმაც 10 წლის განმავლობაში გვანდეს საკუთარი აქტივები. მოხარულები ვართ, რომ მათთან ერთად ჩვენ შევძელით დაგვენერგა პერსონალური მომსახურების საუკეთესო პრაქტიკა. ამ მიმართულებით ჩვენ შევეცდებით, დავრჩეთ ლიდერები საქართველოში და მაქსიმალურად ეფექტურად მოვემსახუროთ ჩვენს კლიენტებს“, -აღნიშნა თიბისი ბანკის VIP განყოფილების ხელმძღვანელმა, ნატა ხურციძემ.

The Banker და PWM Magazine პერსონალური საბანკო მომსახურების ჯილდო ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჟილდოა მსოფლიოში. გამომცემლობების მიერ ყოველწლიურად ხდება ათობით საუკეთესო ბანკის გამოვლენა პერსონალური საბანკო მომსახურების სფეროში ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის მასშტაბით.

ჯილდოს მიზანია შეაგროვოს ბანკების პერსონალური მომსახურების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, რათა გამოავლინოს მათ შორის საუკეთესოები. ბანკები ფასდებიან იმ პროგრესისა და ზრდის მიხედვით, რასაც მათ საკუთარი ბიზნესსტრატეგიის შედეგად მიაღწიეს.

Ⓐ

სასამართლოს გამოხმაურება „პრაიმტაიმის“ სტატიაზე



my View

მირიან ბოქოლიშვილი

„უფლებამონაცვლეობის საკითხის გარკვევა, პროცესში მონაწილე პირთა სიმრავლე, სასამართლოს გადატვირთულობა იმ ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობაა, რაც აფერხებს საქმის დადგენილ ვადებში განხილვას“

თბილისის საქალაქო სასამართლო 2014 წლის 20 ოქტომბერს გაზეთ „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებულ იმ სტატიას ეხმაურება, სადაც სასამართლოში საქმეების განხილვის გაჭიანურებაზე იყო საუბარი.

საქმე, რომლის შესახებაც „პრაიმტაიმი“ წერდა, არა თუ სწრაფ მართლმსაჯულებაზე მიუთითებს, არამედ პირიქით, ნათელს ხდის, როგორ შეიძლება ჩაიკარგოს სასამართლოს ლაბირინთებში ერთი ჩვეულებრივი სამოქალაქო სარჩელი.

ეს დავა საქალაქო სასამართლოში უკვე 3 წელზე მეტია გრძელდება და შეიძლება ითქვას, თავისი ხანგრძლივობით უპრეცედენტო საქმეს წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, ჯერ კიდევ 2011 წელს 8 დაზარალებულმა მიმართა. ისინი ამხანაგობა „ბაგები 504“-ისგან კუთვნილი თანხების დაბრუნებას ითხოვენ, რომელიც თავის დროზე ბინების ასაშენებლად გაიღეს. მრავალსართულიანი კორპუსი ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე უნდა აშენებულიყო, თუმცა ტერიტორია ამჟამად ლამის ნაგავსაყრელად არის ქცეული. არადა, სასამართლოში შეტანილი სარჩელის ავტორებმა ბინების მისაღებად ათასობით დოლარი გაიღეს. მხოლოდ ერთ-ერთმა მათგანმა, რევაზ ახრახაძემ „ბაგები 504“-ს 100 ათასი დოლარი შესწირა. მშენებლობა არ დასრულდა, შესაბამისად, ეს ხალხი კუთვნილი თანხების უკან დაბრუნებას ითხოვს, თუმცა საქმის პირველ ინსტანციაში განხილვა უკვე მე-3 წელია ჭიანურდება.

რით ხსნის თბილისის საქალაქო სასამართლო პროცესის გაჭიანურებას? ამის შესახებ დეტალური განმარტება სასამართლოს პრესსამსახურმა გადმოგვგზავნა.

„თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო დავა. მოსარჩელე – მიხეილ ტაბლიაშვილი, თამარ ველთაური, თამარ ბერიძე, თამარ ბერიძე, თამარ ჩხეტიანი, ნინო ქაჯაია, თინათინ ლექვინაძე, რევაზ ახრახაძე და თინათინ მუსერიძე. მოპასუხეები – სს „სამშენებლო კომპანია თბილისი“, ამხანაგობა „ბაგები 504“, პავლე ჩაგელიშვილი, თამარ აბრამიშვილი, ეთერ ალშიბაია და სხვები (128 მოპასუხე). მხარეებს შორის დავის საგანს, სოლიდარულად, თანხის დაკისრება წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის განჩინებით, მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძველზე ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები 504“-ის კუთვნილ უძრავ ქონებას. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინება მხარეებმა რამდენჯერმე გაასაჩივრეს და საქმე გადაიგზავნა საapელაციო სასამართლოში. საქმის მომზადების სტადიაზე, მოსარჩელეებმა სასამართლოს არაერთხელ მომართეს განცხადებით, სასარჩელო მოთხოვნისა და მოპასუხეთა წრის დაზუსტების შესახებ, რაც სხდომების მრავალჯერ გადადების მიზეზი გახდა. სასამართლოში საქმეთა სიმრავლისა და სასამართლოს გადატვირთულობის გამო, ყოველი მომდევნო სხდომა 1-2 თვის ინტერვალით ინიშნებოდა.

სასამართლოს მთავარი სხდომა 2013 წლის 8 თებერვალს გაიმართა. საქმის არსებითად განხილვის დროს გაირკვა, რომ მოპასუხედ მითითებული პირებიდან რამდენიმე იყო გარდაცვლილი. სასამართლოს მიერ გადაწყდა 9 გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეობის საკითხი.

აღნიშნულ დავაზე ბოლო სხდომა 2014 წლის 16 აპრილს გაიმართა, სადაც მხარის წარმომადგენლისგან ცნობილი გახდა კიდევ ერთი მოპასუხის გარდაცვალების შესახებ. მოპასუხის შესაძლო უფლებამონაცვლეების შესახებ ინფორმაცია მოსარჩელეთა მხრიდან ამ დრომდე არ არის წარმოდგენილი. სასამართლოში სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება კი მოსარჩელე მხარეს ეკისრება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობის საკითხის გარკვევა, პროცესში მონაწილე პირთა სიმრავლე, სასამართლოს გადატვირთულობა იმ ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობაა, რაც აფერხებს საქმის დადგენილ ვადებში განხილვას“, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაკა ჩიჩუა ვაჟისთვის

my View
თამარ გონგაძე

საქართველოს პრეზიდენტი შვილს თებერვლის დასაწყისში ელოდება. ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურად თავად პირველმა ლედიმ ინტერვიუში განუცხადა. სახელს სიურპრიზად ტოვებენ. თუმცა, როგორც მაკამ გვითხრა, ორ ვერსიას აქტიურად განიხილავენ. პრეზიდენტი და პირველი ლედი ვაჟს ელოდებიან. ეს ორივესთვის მეორე შვილია. პირველი ქორწინებიდან გიორგი მარგველაშვილსაც და მაკა ჩიჩუასაც ქალიშვილი ჰყავთ. წყვილმა ოფიციალურად 10 სექტემბერს იქორწინა, ხელი დუშეთში მოაწერეს. „ჩათვალეთ უკვე გყავთ, პირველი ლედი - ეს მე ვარ“ – ასეთი კომენტარი მან უკვე მარტში გააკეთა. პირველმა ლედიმ ორსულობა ძალიან მოიხდინა. ამას ხაზი განსაკუთრებით იაპონიაში ვიზიტისას გაესვა, როდესაც ის იაპონურ ეროვნულ სამოსში – კიმონოში გამოაწყვეს. ქართულ დელეგაციასთან ერთად მათ საიმპერატორო ბაღი „სენტო გოსიო“, ტაძრები „კინკაკუ ჯი“ და „რუან ჯი“ დაათვალიერეს. ქვეყნის პირველ პირს მეგზურობას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლევან ცინცაძე, იაპონიის ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი და მისი მეუღლე ჰარუე კაიტანი უწევდნენ. კიოტოში სტუმრობამ მაკა ძალიან მოხიბლა. მაკა პროფესიით მხატვარია და ამომავალი მზის ქვეყანა მისთვის განსაკუთრებული შთაბეჭდილებების მომტანი აღმოჩნდა. ინსპირაცია და ემოცია ბოლომდე დალაგებული ჯერ არ აქვს. ამას დრო სჭირდებაო.

დათუნა სულიკაშვილი: „დამირეკა - გამარჯობა, მაკა ვარ, თუ შეგიძლია დამეხმაროო? სიამოვნებით მივიღე. შორიდან ვიცნობდი. ვიცოდი, რომ ხატავს, გადაღებული აქვს მუსიკალური კლიპი, ლამაზი ქალია...“

იაპონია

მაკა ჩიჩუა: – იაპონია ფანტასტიკაა, იქ უნდა მოხვდე, რომ გაიგო, როგორია თანამედროვე და ძველი კულტურის სინთეზი და ჰარმონია. ეს სინთეზი ყველაზე კარგად იაპონიაში იგრძნობა. ამ კავშირის ხილვა საოცრებაა.

– თქვენ იაპონურ იმიჯზე ვინ იზრუნა?

– ამ საქმის პროფესიონალები სპეციალურად მოიწვიეს. ხელნაკეთი უნიკალური კიმონო ჩამაცვეს. კიმონოზე, ძაფიდან დაწყებული, ყველაფერს ყურადღება ექცევა. ამ ეროვნულ სამოსს განსაკუთრებულ სტუმრებს იშვიათ შემთხვევაში აცმევენ. როგორც იაპონიაში ვგრძნობდი თავს არაჩვეულებრივად, ისევე იმ კიმონოში.

– რა დააგემოვნეთ?

– ყველაფერი ეროვნული. ერთი წელია იაპონური სამზარეულო, ისევე, როგორც ქართული ღვინო, თავის დაცვის ქვეშ ჰყავს იუნესკოს. მართლაც ამომავალი მზის ქვეყანაა და ამის ასე უცებ გადმოცემა შეუძლებელია.

ფილმში

30 სექტემბერს ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „სესილი“-ზე ლიკა ციხისელის მოკლემეტრაჟიანი ფილმის – „გზის“ პრემიერა შედგა. ფილმი ავტობიოგრაფიულია და მასში მთავარ როლს მაკა ჩიჩუა თამაშობს.

ლიკა ციხისელი: მაკა ბავშვობიდან მახსოვს, დედამისს ვიცნობდი. ახლობელმა შემომთავაზა, ისიც შემოქმედია, რომ მაკას ხომ არ მოსინჯავდი როლზეო... პრინციპულად ვამბობდი, რომ ანა მანიანი მინდა-მეთქი და ნუ, ვერ ვიპოვე საქართველოში ანა მანიანი... დავიბარე მაკა და ვუთხარი, რომ აი, ასეთი სცენარი არსებობს, თუ გაითავისებთ, თუ არის ეს ქალი თქვენთან ახლოს, მაშინ ვითანამშრომლოთ-მეთქი... მაკამ ძალიან გაამართლა და ვთვლი, რომ არ შევმცდარვარ მსახიობის არჩევაში. იყო პერიოდები, რომ საერთოდ დაიკარგა და არ გამოდიოდა კონტაქტზე და მე მომიწია გაჩერება. ველოდებოდი, რადგან მაკაში ვხედავდი ამ გმირს. ვეძებდი ჩემ მსგავსს, რომელიც გადატანილი უბედურებების, ტრაგიკული ბიოგრაფიების მიუხედავად, არ ხდებოდა საწყალი და აგრძელებდა ცხოვრებას ამ თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე. აი, რატომღაც დავინახე, რომ მაკა იყო ეს ტიპაჟი...

„მე პროფესიით მხატვარი ვარ და თვითონ ვიგონებ ჩემი სამოსის დიზაინს და ვაკერინებ“

დიზაინერები

„ძალიან დემოკრატიული პირველი ლედი გყავთ“ – მოდის კვირეულზე მითხრა უკრაინელმა ჟურნალისტმა. კვირეულის გახსნაზე მეგობართან ერთად იყო. ძალიან უშუალო, კონტაქტური, თავისუფალი – ასე შეგეძლოთ მისი შეფასება. ქართველ დიზაინერებთან რომ თანამშრომლობს, ეს პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს გამოჩნდა. დათუნა სულიკაშვილის ორი კაბა ეცვა და პრეზიდენტის რჩეული საკმაოდ ლამაზად გამოიყურებოდა, როგორც რუსთაველის თეატრში - „ერისიონის“ კონცერტზე, ასევე „შერატონ მეტეხი პალასში“ - მიღებაზე. მაკას ორი „პრიმერკით“ ხუთ დღეში შეკერილი ღია მწვანე კაბა და შავი კაბა ეცვა. „მე ვფიქრობ, მაკამ სწორი არჩევანი გააკეთა ქართველი დიზაინერის შექმნილი სამოსი რომ ეცვა. ინაუგურაციის დღეს ქვეყნის წარდგენა ხდება, დღესასწაულია. ეტიკეტიც ასეთია - პრეზიდენტი ხარ, პირველი ლედი თუ მინისტრის მეუღლე, ამ ცერემონიალზე შენივე ქვეყნის წარმოებულ სამოსში უნდა იყოს. მაგალითად მოვიყვან ბარაკ ობამას ინაუგურაციის დღეს, სადაც მიშელ ობამას სულ უცნობი ამერიკელი დიზაინერების კაბები ემოსა. ასევე იყო სარკოზის ცოლის შემთხვევაშიც, რომელიც მხოლოდ ფრანგი დიზაინერების სამოსით იყო წარდგენილი“, – ამბობს დათუნა.

ლიკა ციხისელი: „ვეძებდი ჩემს მსგავსს, რომელიც გადატანილი უბედურებების, ტრაგიკული ბიოგრაფიების მიუხედავად, არ გახდა საწყალი და ცხოვრება გააგრძელა. აი, რატომღაც დავინახე, რომ მაკა იყო ეს ტიპაჟი...“

ინაუგურაციის ცერემონიალზე მაკას დეკოლტე გაუკრიტიკეს – პრეზიდენტის რჩეულს ძალზედ ღრმა დეკოლტე აცვიაო.

დათუნა სულიკაშვილი: იმდენად ლამაზი კისერი და დეკოლტე აქვს, ვერ ვიტყოდი, რომ ეს გადაჭარბებული იყო. შეიძლება კაბას ოდნავ ამოღებული გულისპირი ჰქონდა, მაგრამ ყურადღება მისაქცევი არ ყოფილა. ეს ჩასაფრებული ადამიანების შეფასებაა, რომლებიც ნაკლს ეძებდნენ. მე ვთვლი, რომ მას ჩაცმულობაში ნაკლი არ ჰქონია. ეცვა სადად, ელეგანტურად და ფერი უხდებოდა.

– როგორ ფიქრობ, რატომ შეაჩერა შენზე არჩევანი?

– არ ვიცი, რეკომენდაცია ბასა ფოცხიშვილმა გამინია. დამირეკა - გამარჯობა, მაკა ვარ, თუ შეგიძლია დამეხმაროო? სიამოვნებით მივიღე. შორიდან ვიცნობდი. ვიცოდი, რომ ხატავს, გადაღებული აქვს მუსიკალური კლიპი, ლამაზი ქალია... ბავშვობიდან ასე მახსოვდა.

თბილისის მოდის კვირეულზე პირველი ლედი ანუკი არეშიძის ჩვენებას დაესწრო.

მაკა ჩიჩუა: ანუკის ერთი-ორი კოსტიუმი მქონდა ნანახი, რომ გითხრათ, მთელი კოლექციები-მეთქი, არა. რაც მაქვს ნანახი, ძალიან მომწონს. ამიტომ დამაინტერესა მენახა მისი უახლესი კოლექცია. ის ძალიან განვითარდა და წინ წავიდა.

მე ძირითადად ქართველი დიზაინერების სამოსს ვიცვამ. ქართული მოდა რატომღაც კარგად ვითარდება. არ ვიცი ეს რას უნდა დავუკავშირო.

– ქართველებს მოდურად და გემოვნებით ჩაცმა გვიყვარს.

– შესაძლებელია. წინა მოდის კვირეულზე გოლა დამიანი აღმოვაჩინე. ზოგის სახელი აღარ მახსოვს, ახლები არიან. გოლა დამამახსოვრდა. ვფიქრობ, საკმაოდ გემოვნებიანი დიზაინერები გვყავს და მოდის ტენდენციების გათვალისწინებით ვითარდებიან.

– დათუნას გარდა რომელი ქართველი დიზაინერის კაბა გცმიათ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ორ სახელს განიხილავს

„როგორც იაპონიაში ვგრძნობდი თავს, არაჩვეულებრივად, ისევე იმ კიმონოში. იაპონია ფანტასტიკაა, იქ უნდა მოხვდე, რომ გაიგო, როგორია თანამედროვე და ძველი კულტურის სინთეზი და ჰარმონია“

მაკა ჩიჩუა: „ვაჟს თებერვლის დასაწყისში ველოდები“

EXCLUSIVE

– ჩემი მეგობარია ნინო ჩუბინიშვილი, ჩუბიკა. მისი სამოსი ჩემს გარდერობში სულ არის. დათუნასთან შეხება კიდევ მექნება, ძალიან მომწონს. წინა „ფეშენ ვიკიდან“ ოქროსფერი ლამაზი კაბა მაჩუქა.

– ორსულმა შეუკვეთეთ ვინმეს კაბა?

– არა, მე პროფესიით მხატვარი ვარ და თვითონ ვიგონებ ჩემი სამოსის დიზაინს და მერე ვაკერინებ.

პერფორმანსი

პირველმა ლედიმ გასულ კვირას თეატრალურ პერფორმანსში მიიღო მონაწილეობა. იტალიის ელჩის საქართველოში – ფედერიკა ფავის ინიციატივით მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი „სასიკვდილოდ დაჭრილი ქალები“ გათამაშდა. სპექტაკლი ოჯახის წევრების მიერ მოკლული ქალების ისტორიებს აერთიანებს, რომლებიც რეალურ ამბებზეა აგებული. სპექტაკლში სხვადასხვა პროფესიის, რელიგიისა და ეროვნების ქალები ერთიანდებიან. სპექტაკლში მონაწილეობდნენ – ანუკი არეშიძე, მაია ასათიანი, თამარ ბერუჩაშვილი, მაკა ჩიჩუა, ლანა ღოღობერიძე, მანანა კობახიძე, ეკა მიშველაძე, მაია ფანჯიკიძე, ნათია ფანჯიკიძე, რუსუდან ფეტვიაშვილი, ნინო სუხიშვილი, ეკა ტყეშელაშვილი, თეა წულუკიანი, ფედერიკა ფავი, ტურკ პირიო, ერიკა კრაპილოვა.

მაკა ჩიჩუა: როდესაც იტალიის ელჩმა ასეთ პროექტში მონაწილეობა შემომთავაზა, სიამოვნებით არ იქნება სწორი სიტყვა, მაგრამ დავთანხმდი. ძალიან აქტუალურია ჩვენთვის ეს სიტყვა, თუნდაც ასეთი თეატრალიზებული სახით, მაგრამ თუ რამე წვლილს შეიტანს, გავლენას მოახდენს, ძალიან სასიხარულო იქნება...

ვაჟის მოლოდინში

როგორც გითხარით, პრეზიდენტი ვაჟს თებერვლის პირველ დეკადაში ელოდება.

– პატარას რას დაარქმევთ?

– მოდით, ეს სიურპრიზად დავტოვოთ. ორი ვარიანტი მაქვს შერჩეული.

„ვფიქრობ, საკმაოდ გემოვნებიანი დიზაინერები გვყავს და მოდის ტენდენციების გათვალისწინებით ვითარდებიან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის რეალურად ოჯახისგა

my View
თამარ გონგაძე

ყველაფერი ერთი მეზობლის დაჟინებული თხოვნით დაიწყო. ის ამალიას „ნიჭიერის“ სცენაზე გასვლას და ბედის ცდას სთხოვდა. ამალია მის ნებას დაჰყვა. „ვიდრე სიმღერას დაიწყებდა, განსაკუთრებული ყურადღება არც მიგვიქცევია, „გატელევიზორების“ მსურველი მორიგი კონკურსანტი გვეგონა. მახსოვს, მისი ნამღერი პირველი ფრაზა და ჩვენი რეაქცია - გაოგნებული ვუსმენდით. სუნთქვა შეგვეკრა მოულოდნელობისა და სიამოვნებისგან, სიხარულისგანაც. მახსოვს, რა მორცხვად გვპასუხობდა ყველა კითხვაზე. თქვა, ისე მერიდებოდა, აქ შემოსვლაც ძლივს გავბედეო. მერე, როდესაც სცენაზე ჟიურის წინაშე იმღერა, კულისებში ვიდექით და ისევე მონუსხულები და თვალცრემლიანები ვუსმენდით, როგორც პირველად. მეორე დილიდან ჩემი ტელეფონი აფეთქდა - ამალიასთან ინტერვიუ უნდოდა ყველა გამოცემას. ვკითხულობდი სოციალურ ქსელებში ადამიანების დადებით შეფასებებს და მიხაროდა. მიხაროდა, რომ მასამ ადეკვატურად მიიღო „ნიჭიერი“ და თავმდაბალი ადამიანი. ქალი, რომელსაც მძიმე ცხოვრების მეორე ნახევარში გაუმართლა და „სახალხო“ გახდა. მერე დამირეკა, ძალიან მერიდება პოპულარობის გამო, იმდენი ჟურნალისტი მირეკავს, მიუჩვეველი ვარ და მიჭირს ამ ყველაფრის გააზრებაო. ვიგრძენი, რომ ბედნიერებისგან დაბნეული იყო“ – სოციალურ ქსელში „ნიჭიერის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სალომე ლილუაშვილი წერს.

„დღეს მე ღმერთს ვეძებ. ეკლესიაში ბევრი დადის, მაგრამ ღმერთი შეიძლება არ უპოვნიათ. მინდა, რომ ცოდვები მოვინანიო. ჩემი ცხოვრების მონანიება ნამდვილი მინდა იყოს. ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი...“

27 ოქტომბრიდან ამალია ჯიბლაძის ცხოვრება მთლიანად ამოტრიალდა და ახალ რელსებზე შედგა. ერთი შეუმჩნეველი, მშრომელი და იდუმალი ქალი ოთხ წუთში (სიმღერისას) ისეთი ცნობილი გახდა, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებიც აალაპარაკა. ჟიურის ემოციას და ცრემლებს მაყურებელიც შეუერთდა და „ნიჭიერის“ აღმორენით ყველამ გაიხარა. თუმცა შუშის სახლში დაწყებულმა ცხოვრებამ ამხელა ყურადღებას მიუჩვეველი ქალი გააგიჟა. ამალია დაითრგუნა, ჩაიკეტა და იმის გარკვევა დაიწყო, ეს ყოველივე მისთვის სასიკეთოა თუ საზიანო. „მე რა უნდა გავაკეთო ამ დროს? დავდგე და ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ მოვყვე? მირჩიე, რამე. არ მინდა ჩემს ცხოვრებაზე ლაპარაკი“, – დაბნეულმა შემომჩივლა. დავამშვიდე, თუმცა მაინცდამაინც არ გამომივიდა, ვერ გაიხსნა. ძნელია საჯაროდ შენ ცხოვრებაზე ლაპარაკი, მესმის. მით უმეტეს მაშინ, როცა რთული ცხოვრება გაქვს გავლილი, მით უმეტეს, როცა არ გილხინს, მით უმეტეს, როცა არ გინდა ამდენი პოზიტივის მერე რაიმე ნეგატიურის მომტანი მოჰყვეს და კიდევ ბევრი მით უმეტეს... რესპონდენტმა რისი საშუალებამ მომცა სრულად გადმოგეცით. ამ ინტერვიუს ჩაწერის მეორე დილას კი მოხდა ის, რაც ყველამ იცით. ამალია ჯერ ფონოგრამით სიმღერაში დაადანაშაულეს (ანრი ჯოხაძემ დაიწყო), მერე მოიბოდიშეს, უკან დაიხიეს და მასთან შესარიგებელი ფოტოც გადაიღეს. ამალიას თემას გოგა ხაჩიძის ლობისტობაც შეეწირა. არხის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით იგივე მიზეზით პოლიტიკოსი „ბრავოდან“ მოხსნეს. „ვწუხვარ, რომ ქართული ესტრადის ფონოგრამაზე გაწაფული წარმომადგენლები ვერ (ან შეგნებულად არ) ანსხვავებენ ერთმანეთისგან ფონოგრამას და ეთერში გასაშვებ დამუშავებულ ვიდეოს, რა დროსაც მუშავდება მათ შორის ხმაც და ხდება მონტაჟი, რა დროსაც შესაძლებელია ეთერში გამოსახულების და ხმის აცდენა. არ მივიჩნევთ შესაძლებლად, მომავალში რაიმე სახით ვითანამშრომლოთ იმ პირებთან, ვინც არხი პრაქტიკულად თაღლითობაში დაადანაშაულა. შესაბამისად, „ბრავოს“ ეთერიდან, არხის გადაწყვეტილებით, მოიხსნა პარლამენტის წევრი, ბატონი გოგა ხაჩიძე“ – „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ნიკა გვარამიამ. 30 ოქტომბერს ამალია ჯიბლაძეზე პოპულარული ქვეყნის პირველი პირებიც არ ყოფილან. ნახევარ საათში ერთხელ ახალი ნიუსი იდებოდა – ამალიამ, ამალიას, ამალიად... დღის ბოლოს „ნიჭიერის“ ხმის რეჟისორის პოსტიც გამოჩნდა.

კახა ხოშტარია: „ყოველთვის თავს ვიკავებდი მომღერლების მიერ ჩადენილ შეცდომებზე და სასაცილო პრეტენზიებზე რაიმე დამეწერა როგორც ხმის რეჟისორს. წლების განმავლობაში ვმუშაობ ამ სფეროში და თითქმის ყველა სატელევიზიო პროექტის ხმის რეჟისორი ვარ. შემხვედრია უამრავი კარგი მომღერალი, რომელმაც მუშაობის დროს გამაშეშა. ასეთი ჩემს მუშაობის პრაქტიკაში სულ რამდენიმე იყო და მათ შორის არის ამალია ჯიბლაძე. შემიძლია თავი დავდო კონკრეტულ ამ შემთხვევაზე, რომ ის ნამდვილად ცოცხლად მღეროდა და მე, კახაბერ ხოშტარია, ხმის რეჟისორი, ვიჯექი ხმის მიქმერთან და მე თვითონ ვაკონტროლებდი მის მიკროფონს...“

ასე იყო თუ ისე, ბოლოს ყველა – ბოღმიანები და კეთილშობილები შეთანხმდნენ ერთზე – ამალიამ გულით, გრძნობით და ემოციით იმღერა, თან ცოცხლად და საოცრად.

ამ ქალბატონის გარშემო ამხელა აჟიოტაჟის ატეხვას არც შოუს პროდიუსერები ელოდნენ. მის გარშემო ყოველდღე ახალ-ახალ ინფორმაციას ავრცელებენ, ამ ფაქტებმა კი ამალია ისე შეძრა, რომ ტელეფონი გათიშა და არავის ეკონტაქტება, თვით „ნიჭიერის“ სტაფსაც კი. ნიკოლოზ რაჭველს რეპეტიციაც კი ჩაუგდო. ორი დღის წინ კი სააგენტოებმა დაიტაცეს ამალიას რუსეთში ცხოვრების თემა. არადა, რესპონდენტი ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობს. მისთვის ცხოვრების ის წლები, რომელიც რუსეთთან არის დაკავშირებული, საერთოდ დაბლოკილია და საჯაროდ მათი გახსენება არ სურს. საგენტოებზე ვკითხულობთ, რომ ამალია სტავროპოლში ცხოვრობდა, ქალიშვილები იქ გააჩინა, რესტორანში მღეროდა და დალხენილი ცხოვრობდა. მერე რა? არავინ იცის ამ ფაქტების მერე რა უდებურება შეემთხვა ჯიბლაძეს და რატომ დატოვა მან რუსეთი. ამიტომ ვენდოთ იმას, რასაც თვითონ გულწრფელად ყვება.

„სცენაზე ძალიან ვღელავდი. დავიბენი. ვნერვიულობდი და ავტირდი. ეს ემოცია ერთბაშად ყველაფერმა მოიტანა, ვერც იტყვი კონკრეტულად რამ ამატირა. ამატირა იმან, რომ სცენაზე ვიდექი, ცალკე ჩემმა ცხოვრებამ, მეუღლის დაღუპვამ... ეტყობა, დეპრესიული ვარ. განტვირთვა მინდა და ამიტომ მივედი „ნიჭიერში“.

„უკვე მჯერა, რომ რაღაც შემიძლია“

ცხოვრებაში ადგილის პოვნა უნდა და პროექტში ამიტომ მივიდა. მათ, ვისაც არ სჯერა, რომ ამალიას სცენაზე გამოსვლა შეუძლია, უმტკიცებს, რომ სცენაზეც დგას და მაგრადაც მღერის.

ამალია ჯიბლაძე: „ნიჭიერის“ ეთერში გასვლის მეორე დღეს ადამიანები გაღიმებული მიყურებდნენ, ჩემსკენ შუქი და დადებითი ენერგია ნამოვიდა, სულ უცხო ხალხისგან. ეს პოზიტივი ვიგრძენი. საუცხოო შეგრძნებაა“.

სიმღერა ინტერნეტის მეშვეობით ისწავლა. არც ინგლისური ენა იცის, გამოთქმებში მეზობელმა ამეცადინა. მანამდე ვიწრო წრეში მღეროდა.

– სიმღერა „Moon River“ თავად აარჩიეთ?

– მე ავარჩიე. მიყვარს, ჩემთან ახლოს არის. სამ კვირაში ვისწავლე. ჯაზურ კომპოზიციებს ძნელად ვსწავლობ. მთავარია, მისი სიმღერა უნდა გინდოდეს და მოგწონდეს. თუ სიმღერა მომწონს, მთელი ღამე შემიძლია მის სწავლაში გავათენო. ერთხელ, ღამით გამეღვიძა და ბაფთის გაკეთების მუზა მომივიდა. მუზამ ასე იცის, ღამით გაღვიძება. ინგლისური ენა არ ვიცი, სკოლაში გერმანულს ვსწავლობდი. გამოთქმებს ინტერნეტის მეშვეობით ვსწავლობ, მეზობელიც მეხმარება. მე პატრიოტული ხასიათის სიმღერებიც მაქვს დაწერილი. დაცდილი მაქვს, სიტყვა რომ მითქვამს, ამსრულებია. საერთოდ, რაღაცის ჩაფიქრების მეშინია ხოლმე. მართალია წინასწარ არაფერი ვიცით, მაგრამ მაინც. ნეგატიურს რომ გავიფიქრებ, მერე მეშინია.

– სცენაზე რა ემოცია გქონდათ?

– სცენაზე ძალიან ვღელავდი. დავიბენი. ვნერვიულობდი და ავტირდი. ეს ემოცია ერთბაშად ყველაფერმა მოიტანა, ვერც იტყვი კონკრეტულად რამ ამატირა. ამატირა იმან, რომ სცენაზე ვიდექი, ცალკე ჩემმა ცხოვრებამ, მეუღლის დაღუპვამ... ეტყობა, დეპრესიული ვარ. განტვირთვა მინდა და ამიტომ მივედი „ნიჭიერში“. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, რომ ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყების ასეთი საშუალება მომეცა. მინდა ბოლომდე

ამალია ქალიშვილებთან და სიძესთან ერთად

რუსეთში ცხოვრების დროს გადაღებული ფოტო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

6 გარიყული ამალია ჯიბლაძე?

„მომავალს არ ველოდები. დღევანდელი დღით ვცხოვრობ. არ მინდა ხვალინდელ დღეზე ვიფიქრო და მოლოდინი მქონდეს“

ამალიას ძველი ფოტო

„ღმერთო ჩემო, რას არ ვაკეთებდი? მზესუმზირას ვყიდდი, საბავშვო ბაღში დარაჯადაც ვმუშაობდი, ეკლესიაშიც ვგალობდი. ბევრს ვმუშაობდი. უარს არც ერთ სამსახურზე არ ვამბობდი“

„ბაფთებისგან ისეთი რა უნდა გამოვიდეს? გადასახადები, საჭმელი – ყველაფერს ვერ ვწვდები. გადაუხდელობის გამო შუქი ჩაუჭრიათ. დღეს გაზი ჩამიჭრეს“

„რთული გზა გავიარე. ოჯახის წევრებისგან გარიყული, მარტო აღმოვჩნდი. დედაც ცალკე ცხოვრობს, მამაც, თავიანთი ოჯახები შექმნეს. ნათესავებმაც მიმატოვეს“

EXCLUSIVE

ვიბრძოლო. ამის სტიმული „ნიჭიერმა“ მომცა. მე ჩემი თავის დავიჯერე. აქამდე თავდაჯერებულობა მაკლდა. მიზანს თითქოს ვაღწევდი, მაგრამ მაინც პესიმისტურად ვიყავი განწყობილი. უკვე მჯერა, რომ რაღაც შემიძლია.

– რისი მიღწევა გინდათ?

– არ ვიცი. ამას მომავალი მიჩვენებს.

„მარტო დამტოვეს“

დედა ოსი ჰყავს, მამა ქართველი. რუსული სკოლა დაამთავრა. ახსოვს, რომ მუსიკა პატარაობიდან უყვარს. სკოლის გუნდში მღეროდა, ბანს. ბაფთებს რომ აკეთებს, ფერების აღქმაც ბავშვობიდან აქვს. ხატვის წრეზე დადიოდა. ჰყავს ნახევარ და-ძმა დედის მხრიდანაც და მამის მხრიდანაც. განმარტოება ჰყვარებია. სკოლის დამთავრების მერე კოლეჯში პედაგოგიურის კურსი გაიარა. ადრეულ ასაკში გათხოვდა, 17 წლის. მალე დედაც გახდა. ორი ქალიშვილის დედას ოჯახი დაენგრა, ვერ ააწყო. დიდი გზა გავიარეო, ამბობს, თუმცა არ აკონკრეტებს – რა სირთულეები შეხვდა. თემა არ სიამოვნებს. მერე მეორეჯერ შექმნა ოჯახი. მეუღლე ამალიაზე ცხრა წლით უფროსი იყო. მალე მარტო დარჩა. წელინად-ნახევარია, რაც დაქვრივდა, ეს სიმარტოვე უმძიმს. ცოტა ხანი ვიცხოვრეთ ერთად. ეს თემა ჩემთვის მტკივნეულიაო, ამბობს და თემას არ განავრცობს. უფროს ქალიშვილს იულიანა ჰქვია, უმცროსს არინა, როგორც პუშკინის ბებიას. იულიანა 23 წლისაა, არინა 6-ის. 23 წლის იულიანა გათხოვილია. ამალია უმცროს ქალიშვილთან და დედამთილთან ერთად რუსთავში ცხოვრობს. სახლში ცივა, გაზი ჩაუჭრეს. სკლეროზით დაავადებული დედამთილის გამოსაკვებად კეთილი მეზობლები ხელს უწვდიან.

„რთული გზა გავიარე. ოჯახის წევრებისგან გარიყული, მარტო აღმოვჩნდი. დედაც ცალკე ცხოვრობს, მამაც, თავიანთი ოჯახები შექმნეს. ნათესავებმაც მიმატოვეს. სამწუხაროდ, მარტო დამტოვეს. მშობლები იშვიათად მეხმიანებიან. დედა კახეთის ერთ სოფელში ცხოვრობს“.

- დედასთან არ ჩადიხართ?

- ჯერ მაგის საშუალება არ მაქვს. დედამთილსაც ვერ დავტოვებ მარტო, სკლეროზი აქვს. ისედაც ყოველდღე სამუშაოდ ვარ გასული. ამ ქალის მიმხედავი არავინაა. მეზობლები მეხმარებიან. საჭმელი მოაქვთ.

- ბევრი კეთილი ადამიანია ირგვლივ?

- კეთილი ბევრი უნდა იყოს. ყველა ადამიანი თავისებურად კეთილია, ალბათ. დღეს მე ღმერთს ვეძებ. ეკლესიაში დავიწყე სიარული, მამა ნიკოლოზთან. ჩემი მოძღვარია. ეკლესიაში ბევრი დადის, მაგრამ ღმერთი შეიძლება არ უპოვნიათ. მინდა, რომ ცოდვები მოვინანიო. ჩემი ცხოვრების მონანიება ნამდვილი მინდა იყოს. ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი... ვცდილობ, არ ვიცი, გამომდის თუ არა. მინდა გამომივიდეს.

- ჩვენს ცხოვრებას ბედისწერა განაგებს თუ ჩვენ თვითონ?

- როცა ბედი გაქვს, გაქვს, თუ არ გაქვს, ეგეც დაწერილია, შენი ბედისწერაა. შეიძლება შანსი მოგვეცეს და ჩვენ ვერ გამოვიყენოთ.

- ბევრჯერ გაგიშვიათ ასეთი შანსი?

- გამიშვია და მერე მინანია. უნდა გამოიცნო, ეს ის შანსი არის თუ არა.

- „ნიჭიერში“ მონაწილეობა თქვენი შანსია?

- რა თქმა უნდა, თანაც დიდი შანსია. ახალი ეტაპია ჩემს ცხოვრებაში.

„დარაჯადაც ვმუშაობდი“

- ბაფთების გარდა არაფერია თქვენი შემოსავლის წყარო?

- მასაჟსაც ვაკეთებ. ორი კლიენტი მყავდა. მეზობლები მოდიან და ვუკეთებ. უფრო სიკეთის გამო მთხოვენ მასაჟის გაკეთებას, რომ სანაცვლოდ დამეხმარონ.

– სად გიმუშავიათ?

– ღმერთო ჩემო, რას არ ვაკეთებდი? მზესუმზირას ვყიდდი, საბავშვო ბაღში დარაჯადაც ვმუშაობდი. ეკლესიაშიც ვგალობდი. ბევრს ვმუშაობდი. უარს არც ერთ სამსახურზე ვამბობდი.

- ბაფთების კეთება როგორ მოიფიქრეთ?

- ფანტაზია მაქვს. ვხატავდი... ერთხელაც ეს საქმე მოვიფიქრე. ბაზრობაზე 4 ლარად ვაბარებ თითო ბაფთას. ხან არის შემოსავალი, ხან არ არის. ბაფთებისგან ისეთი რა უნდა გამოვიდეს? გადასახადები, საჭმელი – ყველაფერს ვერ ვწვდები. გადაუხდელობის გამო შუქი ჩაუჭრიათ. დღეს გაზი ჩამიჭრეს. იმედი მაქვს, ჩამირთავენ.

- ძლიერი ქალი ხართ?

- მე მგონი ძლიერი უნდა ვიყო, სხვანაირად არ გამოდის.

- და ოპტიმისტი?

- მომავალს არ ველოდები. დღევანდელი დღით ვცხოვრობ. არ მინდა ხვალინდელზე ვიფიქრო და მოლოდინი მქონდეს. წინასწარ რომ ჩაიფიქრებ, ღმერთმა იცის, ახდება თუ არა.

– ხალხის კეთილგანწყობა სასოწარკვეთაში ჩავარდნის უფლებას არ გაძლევთ.

– ეს ხასიათზეც არის დამოკიდებული. სასოწარკვეთა ცოდვაა. მე მინდა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ნამდვილი მონანიება მინდა.

– როგორც ვხედავ, ცხოვრების გარკვეულ ეტაპებს ნანობთ.

– არ არის სანანებელი ცხოვრება? ახლა ბრძოლა მიდის ჩემში. საქმე ისაა, რომელი გაიმარჯვებს – კეთილი თუ ბოროტი.

– სიყვარული რა არის?

– ურთიერთობა, პატივისცემა, ნდობა. ამ გრძნობას გაფრთხილება უნდა. ერთმანეთს უნდა გაუფრთხილდეს წყვილი. არ უნდა წამოგცდეს ისეთი სიტყვა, რომელიც მერე ცუდად მოგიბრუნდება. სიტყვას დიდი ძალა აქვს. სიმშვიდე ყველაზე მნიშვნელოვანია, გაგებაა მთავარი.

– დედობამ რითი შეგცვალათ?

– თბილი და მშვიდი გამხადა. შვილს არ ვეჩხუბები, ვცდილობ, მშვიდად ავუხსნა ყველაფერი. ხუმრობით ვკონტაქტობთ. დღეს ჩემი საუკეთესო მეგობარი ჩემი ექვსი წლის არინაა. უზომოდ ახარებს ჩემი წარმატება. ჩანაწერს ხშირად

უყურებს.

– წინ ცოცხალი კონცერტებია, განწყობა?

– მართლა მეშინია. თან სცენა, თან პირდაპირი ეთერი, დაძაბულობაა. ტელევიზიის აზრზე არ ვარ. კამერები მაბნევს.

– ყურადღება, ჟურნალისტები – დამღლელია?

– ძალიან მაბნევს და მთრგუნავს. მე გულწრფელი ლაპარაკი ვიცი, ამ დროს ამით შეიძლება ბოროტად ისარგებლონ.

– ნუ გეშინიათ, თქვენ მიმართ ყველა კეთილგანწყობილია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩვენების შემდეგ კახი კალაძემ ან

my View
თამარ გონგაძე

„4 წამში ვასწრებ დავიმუხტო საოცარი ენერგიით, იმ ოვაციების შემდეგ, რასაც დამსწრე სტუმრებისგან ვიღებ ხოლმე. პირადად ჩემთვის, ამდენი შრომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ეს 4 წამია, როცა შემიძლია მადლობა ვუთხრა ყველას“, – ჩვენების მეორე დღეს საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა ანუკიმ.

„ჩემთვის ეს საპასუხისმგებლო იყო, რადგან მოწვეულ სტუმრებს თბილისის მოდის კვირეულზე ჩემი ჩვენებიდან შეექმნათ წარმოდგენა. მე ნამდვილად ვერ ვეტყოდი კვირეულის ორგანიზატორებს – კვირეულს მე გავხსნი ან დავხურავ-მეთქი. მსგავსი ამბიციები, საბედნიეროდ, არ მაწუხებს“

„ჩემთვის ეს საპასუხისმგებლო იყო, რადგან მოწვეულ სტუმრებს თბილისის მოდის კვირეულზე ჩემი ჩვენებიდან შეექმნათ წარმოდგენა. მე ნამდვილად ვერ ვეტყოდი კვირეულის ორგანიზატორებს – კვირეულს მე გავხსნი ან დავხურავ-მეთქი. მსგავსი ამბიციები, საბედნიეროდ, არ მაწუხებს“ – ამბობს ანუკი.

ჩვენება ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში მოაწყო. პოდიუმის თავში ბრენდის სახელწოდების წარწერით – ANOUKI პასტელის ფერის ვარდების ნაზი კედელი დაგვხვდა. როგორც გვითხრა, პერფორმანსი მთლიანად დიზაინერს ეკუთვნოდა, მუსიკითა და გაფორმებით.

„დიდი ხანი ვიფიქრე და ვიმუშავე კოლექციაზე და ვფიქრობ, რომ შეთამაში და გამორჩეული დეტალები. ANOUKI-სთვის დამახასიათებელი ხელნაკეთი აქსესუარები და ფეხსაცმელი ამ სეზონზეც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოლექციაში. ეს ფეხსაცმელი შეგიძლიათ ჩაიცვათ, როგორც ყოველდღიურად, ისე განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. ეს არის ანუკის ყველაზე მრავალფეროვანი კოლექცია, რაც აქამდე ჰქონია. ამ კოლექციის სამოსი შთაგონებას მისცემს ირგვლივ მყოფებს.

„კოსტიუმებზე მუშაობა მაისში, ექვსი თვის წინ დავიწყე. 32 კოსტიუმი შევქმენი. ქსოვილები ჩემი ბრენდისთვის ფლორენციაში, ქარხანაში, ახალი ტექნოლოგიით დამზადდა. ბევრი ნატურალური ქსოვილი მჟავაში



კახი კალაძე: „ანუკი ძალიან დადებითი, ქალური, ნაზია და ეს, ვფიქრობ, მის კოლექციასაც ეტყობა. წარმატებას ვუსურვებ არა მხოლოდ როგორც ჩემს მეუღლეს და ჩემი შვილების დედას, არამედ, როგორც ქალს. მე ის ძალიან მიყვარს“

დეგიც სახეზეა. ჩემი ნამუშევრებით კმაყოფილი ვარ, უბრალოდ, პროფესიონალების აზრი მაინტერესებს“.

ძირითადად შეაქეს. აღნიშნეს, რომ დაიხვეწა და გაიზარდა. ახალი კოლექცია ნაზი და სასიამოვნოა. ეს გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია მოეწონება ქალს, რომელიც ახლოს არის ბუნებასთან, უყვარს ფერებთან ჩაიდო და როგორი სახეც მიიღო, ისე გამოვიყენე. კოლექციაში გამოყენებული მაქვს ორგანზა, შიფონი, აბრეშუმი, ყვავილების პრინტი. შავი ფერი სიმკაცრისთვის შევიტანე, ეს ქალი ძლიერი რომ ყოფილიყო. თუმცა ჩემმა ყვავილების დეკორატიულმა კედელმა გაანაზა. კოლექციის დიდი ნაწილი ხელნაკეთი იყო, ფეხსაცმელები ხელით იყო ამოქარგული. მინდოდა გეომეტრიული ფორმები შემეტანა. მე ქალური ფორმები მიყვარს. მაგრამ საინტერესო მინდოდა ყოფილიყო და ასეთი შტრიხები შევიტანე“.

– მაინც როგორია შენი წარმოდგენილი ქალი?

– საინტერესო, რომანტიკული ქალია. თუ კოსტიუმებითა და შარვლების სტილით ვიმსჯელებთ კაბებს 20-იანი წლების, ხოლო შარვლებს 40-იანი წლების სილუეტი აქვს. კაფსულა, კოლექციას თუ არ ჩავთვლით, ჩემი მესამე კოლექციაა. ვერ ვიტყვი, რომ კოლექცია არ მგავს. ფერთა გამა და სტილი ჩემი იყო.

– როგორ გგონია, აქ ვითარდება მოდა?

– ვითარდება. მოდის კვირეული ქართველი დიზაინერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დიზაინერებმა აქტიურად უნდა იმუშაონ, თავს რეალიზაცია გაუკეთონ. ქართველ დიზაინერებს თავიანთი ხელწერა აქვთ. ყველა თავის სიტყვას იტყვის, ყველა დიზაინერს წარმატებას ვუსურვებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უკი არეშიძეს სიყვარული აუხსნა

„ქსოვილები ჩემი ბრენდისთვის ფლორენციაში, ქარხანაში, ახალი ტექნოლოგიით დამზადდა. ბევრი ნატურალური ქსოვილი მჟავაში ჩაიდო და როგორი სახეც მიიღო, ისე გამოვიყენე“

DJ რემბო: „ჩვენების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ბიბლიოთეკაში სადენი გადაიწვა. ელექტროენერგია გაითიშა. ანუკიმ გამოსავალი მალევე იპოვა... ასეთ სიტუაციებში იღიმება და განმუხტვას ახდენს, ამის გამო სასიამოვნოა მასთან მუშაობა“

თუ ამ ტემპით გაგრძელდა, მოდა ბიზნესად იქცევა. მე, ამ მხრივ, საზღვარგარეთ მუშაობაც მეხმარება. ყველა ქართველი უნდა ეცადოს ქართველი დიზაინერის სამოსი ჩაიცვას, რომ ხელი შეუწყონ მოდის განვითარებას.

დიჯეი რემბო

ანუკის თორმეტწუთიან ჩვენებას 18 სიმღერისგან აწყობილი კომპოზიციები ედო. ყველა მუსიკას ცოცხალი შესრულება ჰქონია. ფერების და ტონალობის შეცვლასთან ერთად იცვლებოდა მუსიკაც. ეს ანუკის იდეა იყო. რეპეტიციამ მხოლოდ 15 წუთი წაიღო. დიჯეი რემბომ მესამედ ითანამშრომლა ანუკისთან. ის დიზაინერს აქებს.

დიჯეი რემბო: ვერ გეტყვით, რომ ადვილია ანუკისთან მუშაობა. თუმცა მან ზუსტად იცის რა უნდა, ეს კარგი თვისება აქვს. მაგრამ იმის პოვნაც რთულია, რაც მას სურს. დიზაინერებმა არ იციან, რა მუსიკა სურთ, „რამე ისეთი“ მინდაო, გეტყვიან და მერე მე უნდა ვეძებო. ანუკი ზუსტად მახვედრებს რა უნდა. მერე ადვილად მივდივართ კონსენსუსამდე. ძალიან ოპტიმისტური ადამიანია. ჩვენების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ბიბლიოთეკაში სადენი გადაიწვა. ელექტროენერგია გაითიშა. ანუკიმ გამოსავალი მალევე იპოვა, გავიარეთ რეპეტიცია და ჩვენებაც უნაკლოდ ჩატარდა. ასეთ სიტუაციებში იღიმება და განმუხტვას ახდენს, ამის გამო სასიამოვნოა მასთან მუშაობა.

მეუღლის მხარდაჭერა

ჩვენებას ესწრებოდა დიზაინერის მეუღლე კახი კალაძე, რომელიც უფროს ვაჟთან ერთად მოვიდა.

კახი კალაძე: – ეს კოლექცია ახლა პირველად ვნახე. სუბიექტურობის თავიდან ასაცილებლად შეფასებას ვერ გავაკეთებ. ვფიქრობ, ყველა დიზაინერის კოლექცია თავად მისი შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ანუკი ძალიან დადებითი, ქალური, ნაზია და ვფიქრობ, ეს, მის კოლექციასაც ეტყობა. ჩემი მხრიდან მას მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კიდევ უფრო წარმატებული გახდეს. რაც მთავარია მონდომებულია. წარმატებას ვუსურვებ არა მხოლოდ როგორც ჩემს მეუღლეს და ჩემი შვილების დედას, არამედ როგორც ქალს. მე ის ძალიან მიყვარს. ვინც ბევრს შრომობს, ღმერთი უფასებს.

– მის რჩევას თქვენ ჩაცმასთან დაკავშირებით ითვალისწინებთ?

– გააჩნია, ხანდახან ვეკითხები აზრს. ჩემი ჩაცმის სტილი სამსახურებრივია, კოსტიუმისა და ჰალსტუხის არჩევა კი საზღვარგარეთ ყოფნისას მიხდება.

შეფასება

ზალიკო ბერგერი: ჩვენების ლოკაციაც მომეწონა და კოლექციაც. ბიბლიოთეკის დარბაზი თუ ასეთი ლამაზი იყო, არ ვიცოდი. განათებამ ძალიან შეცვალა აქაურობა. შავი და ლურჯი ფერის კომბინირება კარგი იყო. კარგია, რომ დიზაინერი ვითარდება. ფეხსაცმელიც გამორჩეული წარმოადგინა, ლაკის ფეხსაცმელები მომეწონა. ცუდი ის იყო, რომ მოდელები ძალიან ჩქარა დადიოდნენ, ჩაქროლებით იყვნენ.

დალი ჩიტალაძე: ანუკის კოლექცია ძალიან მომეწონა. კონცეპტუალურად ძალიან შეკრული და ძალიან ფერადია – ნამდვილი გაზაფული იყო. მომეწონა ცისფერი შარვალი შავი პერანგით, რომელსაც ჩავიცვამდი.

ანუკის უკვე დაწყებული აქვს მუშაობა 2015-2016 წლის ზამთრის კოლექციაზე. მანამდე კოლექციას პარიზში წაიღებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩემი ცოლის დაქალები

„ზოგს მოუნდა და მეუბნებიან, მინდა შენნაირი ძიძაო“

„ყველას შვილის ძიძად გამოვდგები, რადგან ბავშვები ძალიან მიყვარს“

my View
ეკა ჩიკვაიძე

ის პირველი კაცი ძიძაა საქართველოში. მაშინ, როცა ქართველები ყველაფერ ახალს კრიტიკული თვალით ვუყურებთ და ვაფასებთ, ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა მამაკაცი ძიძის ფენომენი არავის გაუპროტესტებია. განსაკუთრებით არ აპროტესტებენ ქალები, აი, ქართველ „კაი ბიჭებზე“ კი რა მოგახსენოთ. შეიძლება კაცი ძიძის გაპოპულარება იმანაც გამოიწვია, რომ ქალ ძიძებს უკვე მთელს მსოფლიოში ძნელად ენდობიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამდენი ბავშვის ცემის შემთხვევა დაფიქსირდა. ალბათ, კაცები უფრო მეტ ნდობას იმსახურებენ, ოღონდ თაზოსნაირი კაცები, ყველას უნდა თაზოსნაირი ძიძა - ყურადღებიანი, მხიარული... მოკლედ, როგორც დიმიტრია გელოვანი, ოღონდ ბავშვის მოვლაც რომ იცოდეს და რაც მთავარია, არა „კაი ბიჭი“ რომ იყოს! ასეთის პოვნა ქართულ რეალობაში ძალიან რთულია, მაგრამ სერიალში ყურება ნამდვილად ადვილი და სასიამოვნო. ქართველი დედებიც, ტელევიზორთან სხედან და თაზოსნაირ ძიძას მისტირიან. ერთი სიტყვით, „ჩემი ცოლის დაქალებმა“ ეს სტერეოტიპი დაანგრია და თაზოს პერსონაჟით აბსოლუტურად ახალი სახე შექმნა. მსახიობი გიორგი კალანდარიშვილი კი, ცნობილი „დოლჩედან“, ცნობილ „ძიძა თაზოდ“ გადააქცია. ვისაც არ გახსოვთ გაგახსენებთ, გიორგი სერიალ „გოგოები და ბიჭებში“, „ჩიფსების თაობაში“ და „ჩვენი ოფისში“ „დოლჩეს“ როლს თამაშობდა.

„ორსულივით ვარ. ყველაფერი გადაჭარბებულად მაქვს, შეყვარებულზე მჟავე მინდება ხოლმე“ :)

გიორგი კალანდარიშვილი: „თაზომ რაღაც კუთხით ჩაანაცვლა „დოლჩე“, მაგრამ იმ დოზით ვერა, რა თქმა უნდა, რადგან „დოლჩე“ 4 წელი არსებობდა და ყოველდღიურად და ყველასთვის საყვარელი პერსონაჟი იყო. თაზოც საყვარელი პერსონაჟია და უხარია ზოგს, რომ ხედავს. კაცი ძიძა ქართულ რეალობაში პირველად შემოვიდა და პირველად გაჩნდა პრეცედენტი. ამან, რა თქმა უნდა, ზოგში ღიმილი გამოიწვია, ზოგში ხარხარი, ზოგს მოუნდა და მეუბნებიან კიდეც, მინდა შენნაირი ძიძაო, თაზოსნაირი ძიძა რომ მყავდეს... და ა.შ. როცა „ფეისბუქში“ კომენტარებს ვკითულობ ხოლმე, სულ პოზიტიური გამოხმაურებაა. მოსწონთ კაცი ძიძა. აი, ქართველი „კაი ბიჭის“ ოჯახში არ ვიცი ეს როგორ მოხდება“... მართალია გიორგი ძიძად ვერ იმუშავებს, მაგრამ ბევრ ქართველ მამაზე ბევრი ეხერხება. მსახიობს 6 წლის შვილი ჰყავს, თორნიკე, რომელსაც ასევე ყველა კარგად იცნობს. ფილმში „ის, რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“ თვეების საყვარელი ბავშვი, რომელიც ანა სანაიას და ვანიკო თარხნიშვილის პერსონაჟებს დაეკარგებათ, თორნიკეა.

„მასწავლებელს ეუბნება მე არ გეცნობითო? იცის, რომ რაღაც დოზით პოპულარულია და თან ძალიან ნიჭიერი ბავშვია. პირველად ფილმში თავის თავს რომ უყურა, გაფართოებული თვალებით უყურებდა, მერე გაიძახოდა მე ვარ, მახსოვსო, არადა 7 თვის იყო მაშინ. ვანო გამოჩნდა ტელევიზორში თარხნიშვილი და ვანო გახსოვსო? მეუბნებოდა. :) თვითონ მსახიობობა არ უნდა. ჯერ პოლიციელობა უნდოდა, მერე მეხანძრეობა და ახლა მხატვრობა აქვს აჩემებული, ბავშვის დონეზე ნორმალურად ხატავს.

„შვილისთვის პამპერსი გამომიცვლია, საჭმელიც მიჭმევია და გამისეირნებია კიდეც“

- გეხერხება შვილის მოვლა?

- შვილისთვის პამპერსი გამომიცვლია, თან არაერთხელ, საჭმელიც მიჭმევია და გამისეირნებია კიდეც. მე და ჩემი მეუღლე ერთობლივად ვახერხებდით ამ ყველაფერს. დასაწყისში, როცა ყველაზე მეტად სჭირდება ზრუნვა, როცა დედასაც და მამასაც ვერ ამბობს, ერთად ვუვლიდით და დავფოფინებდით თავზე. ყოველ შემთხვევაში ბავშვის დაჭერა ვიცი. ჩემი შვილის და ყველას შვილის ძიძად გამოვდგები, რადგან ბავშვები ძალიან მიყვარს. ამიტომაც ვხსნით ახლა ბავშვებისთვის „ხელოვნების სივრცეს“. ბავშვები რომ არ გვიყვარდეს, გავხსნიდით სახინკლეს, რადგან ქეიფიც გვიყვარს. :) ახლა დაკავებული მამა ვარ, დაკავებულ-დაღლილი. იმედი მაქვს, მალე უფრო მეტი დრო მექნება.

ჩემი Love Is-ია

სამ წელზე მეტია, რაც ცოლთან, ნინუცა სინჯიკაშვილთან გაშორებულია. ბოლო წელიწად-ნახევარია საცოლე ჰყავს. როგორც თვითონ ამბობს, ცოლის შემდეგ ამდენი ხანი არავისთან ყოფილა. ახლა ნაჩხუბარია, თან იმდენი საქმე აქვს, რომ მის სანახავად მაინც ვერ მოიცლიდა, ამიტომ აწყობს ასე. მისი შეყვარებულიც მომავალი მსახიობია. ნინი სოსელია თეატრალური უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტია.

„ნინი ჩემი Love Is-ია, „ქინდერში“ ამომივიდა. ნინის მეგობარი და ჩემი მეგობარი შეყვარებულები იყვნენ და ასე, შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი. მერე ისინი დაშორდნენ, ჩვენ კი უკვე წელიწად-ნახევარია გავაგრძელეთ ურთიერთობა. თუ ჩემს ყოფილ ცოლს არ ჩავთვლით, ამდენი ხანი, მართლა არავისთან ერთად არ ვყოფილვარ. ნინი, პირველ რიგში, ძალიან კეთილშობილი ადამიანია, ძალიან ლამაზია, ძალიან თბილი და თან რაც მხიბლავს მასში, გიჟდება თავის პროფესიაზე და ქარაფშუტულად არ უყურებს მსახიობობას. კონკრეტული მიზანი აქვს, ის უნდა გახდეს კარგი მსახიობი. ძალიან ვუყვარვარ, მეც მიყვარს და კარგად, კომფორტულად ვგრძნობთ ერთმანეთთან თავს. რა თქმა უნდა, ვჩხუბობთ და გვაქვს უთანხმოებები, ახლა ამ წამსაც ნაჩხუბრები ვართ, მაგრამ, ზოგადად კარგად ვართ. ახლა, ბოლო პერიოდში, ძალიან გამიჭირდა, ვერ ვნახულობ ისე აქტიურად, რადგან დაკავებული ვარ. ამიტომ არ გვიჩხუბია, მაგრამ მაინც. მაინც ვერ ვნახულობ და ვიყოთ რა ნაჩხუბრები, ჩემი რა მიდის :) როცა დრო მექნება შევურიგდები. ნინი თორნიკესაც იცნობს და ნორმალური ურთიერთობა აქვთ“.

- დაოჯახებას აპირებ?

- ცოლის მოყვანას კი არა, ხვალ რას ვაპირებ ის არ ვიცი. ჯერ არ მცალია, რომ მოვიცლი მერე. მაგაზე მართლა არ ვიცი პასუხი. მივხვდი,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

“-ს ძიძა შეყვარებულია

„მაინც ვერ ვნახულობ და ვიყოთ რა ნაჩხუბრები, ჩემი რა მიდის :) როცა დრო მექნება შევურიგდები“



„ნინი ჩემი Love Is-ია, ქინდერში ამოვიდა“

EXCLUSIVE

რომ აუცილებელი არაა ცოლი დაარქვა ვილაცას, რომ შენ გვერდით იყოს. კომფორტულად თუ ხარ იმ ადამიანთან ერთად ოფიციოზი რა საჭიროა? თანაცხოვრებას აუცილებლად ვაპირებ, მაგრამ ოფიციალურ ქორწინებას არ ვიცი.

- როგორი შეყვარებული ხარ?

- უფრო რომანტიკული ვარ, ალბათ, უფრო დაბნეული, უფრო ჩაფიქრებული, უფრო მზრუნველი, უფრო გაღიმებული, უფრო უფრო უფრო... ორსულივით ვარ. ყველაფერი გადაჭარბებულად მაქვს, შეყვარებულზე მჟავე მინდება ხოლმე :)

Din Studio

რასაც ახლა აკეთებს, იმის გამო ყველაფერს თავი დაანება, თეატრსაც შეეშვა, კინოსაც, ერთადერთი სერიალშია. ბოლო წელიწად-ნახევარია, მეგობრებთან ერთად Din Studio-ს სათავეში უდგას და ცდილობენ განავითარონ. გამომცემლობა Din Studio-მ პირველი ქართული კომიქსი გამოუშვა. Marvel-ის ოფიციალური ლიცენზია აქვთ და ორი მიმართულებით მუშაობენ: კომიქსები და გრაფიკული ნოველები. ქართულ ენაზე „ადამიანი ობობა“-ს 12 სერია გამოსცეს. გარდა ამისა, ცდილობენ ბავშვები ქართული გმირებითაც დაინტერესონ და გამოუშვეს „ბალადა ვეფხის და მოყმის“, შემდეგი „არწივი ვნახე დაჭრილი“ იქნება და ა.შ. გარდა ამისა, ახლა ბავშვებისთვის ხელოვნების სივრცეს აკეთებენ, სადაც მოზარდები სხვადასხვა ხელოვნების საგნებს შეისწავლიან.

„ამაზე ვარ ახლა მთლიანად გადმორთული და არც თეატრში არ ვარ, არც კინოში. მარტო სერიალში ვარ, თუმცა მენატრება ორივე, კინოც და თეატრიც. ძალიან მენატრება და მიყვარს ეს ყველაფერი, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ ვახერხებ. ჩვენი მიზნები უნდა განვახორციელოთ და შემდეგ აუცილებლად დავბრუნდები. Din Studio ახლა ფართოვდება. Marvel-ის კომიქსების გარდა, გვინდა, რომ ქართული ფოლკლორის სინთეზი მოხდეს 21-ე საუკუნესთან. ანუ იმ ჟანრში გადმოცემა, რომელი ჟანრიც მსოფლიოში დღეს ძალიან პოპულარულია. Marvel-ი რეკომენდაციას გვაძლევს, რომ ჩვენი პროდუქტი იმ დონის არის, რომ მზად ვართ მსოფლიო ბაზარზე ვიოცნებოთ, ამიტომ გვაქვს პრეტენზია, რომ Din Studio-ს პროდუქტმა საქართველოში დიდი პოპულარობით ისარგებლოს. ძალიან მალე App Store-ის სივრცეშიც ვიქნებით.

- საქართველოში არის კომიქსზე მოთხოვნა?

- 21-ე საუკუნეში კომპიუტერი ძალიან დიდ როლს იკავებს მოზარდის ცხოვრებაში, რადგან კომპიუტერში მათ აქვთ აბსოლუტურად ყველაფერზე წვდომა. მათ აქვთ სურვილი, რომ ის გმირები, რომლებსაც ტელევიზორში და კომპიუტერში ხედავენ, იყოს საქართველოშიც და ეს თუ იქნება მშობლიურ ენაზე და ლიტერატურის სახით, მით უკეთესი. კომპიუტერის მერე ბავშვისთვის ცოტა რთულია თეთრზე შავად რაღაც ნაწერი ნახოს და უთხრა, რომ ძალიან მაგარია. კი, იმას არ ვამბობ, რომ ბავშვმა წიგნი არა უნდა წაიკითხოს, მაგრამ ეს თუ არის დასურათებული, ბევრად ადვილი მისაღებია მისთვის. ფაქტობრივად, ეს არის ფურცელზე გადმოტანილი კინო. მოზარდს რაღაცამ ბიძგი უნდა მისცეს, რომ შემდეგ კლასიკური ლიტერატურა წაიკითხოს. გვინდა, რომ თაობა კარგ და ჯანსაღ ფასეულობებზე გაიზარდოს. გარდა ამისა, 25 ნოემბერს ვხსნით Din Studio-ს ხელოვნების სივრცეს. ეს იქნება შაბათ-კვირის სკოლა, მოზარდი ჩვენთან დღეში 5 საათს დაჰყოფს, რაშიც შედის კვება. ჩვენ გავაერთიანეთ რამდენიმე საგანი: მხატვრობა და არტთერაპია, სხეულის ფლობა და მსუბუქი პანტომიმა, მსოფლიო ხელოვნების ისტორია და „3დ“ აღქმა, თოჯინები და მარიონეტები. ჩვენი მიზანი არ არის ის, რომ ჩვენი სკოლადამთავრებული გამოვიდეს მაინცდამაინც ძალიან მაგარი მხატვარი, იურისტი ან სტომატოლოგი, ჩვენი აღზრდილი რა მიმართულებითაც არ უნდა წავიდეს, იქნება ბევრად უფრო შემოქმედებითი, ბევრად უფრო წარმატებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალური ცვლილება „ბრავოშ

my View
თამარ გონგაძე

გასულ კვირას „ნიჭიერი“ და „ბრავო“ ერთი აგორებული სკანდალით გადაიკვეთა. „ნიჭიერის“ კონკურსანტის ამალია ჯიბლაძის სასიმღერო ნომერზე „ბრავოს“ ლობისტმა გოგა ხაჩიძემ „ფეისბუქზე“ დაწერა - მის ნამღერს ფონოგრამის სუნი ასდისო. ამ ფაქტმა არხის ხელმძღვანელს, ნიკა გვარამიას მიაღებინა შემდეგი გადაწყვეტილება, ხაჩიძეს პროექტი დაატოვებინეს. ამ ორი პროექტის პროდიუსერები გაღიზიანდნენ იმაზე, რომ შეტევა მოხდა კონკურსანტ ამალიაზე და ირიბად შემოქმედებით ჯგუფზე.

„ასი პროცენტით ვეთანხმები არხის ხელმძღვანელს გოგას გაშვებაში. ნიკა გვარამია პატრიოტულად და სამართლიანად მოიქცა. ეს იყო ჩვენთან შეთანხმებითაც. ნიკამ „რუსთავი 2“-ის პოზიცია დაიცვა. ეს ერთი გუნდია და ასე ხდება, როცა „რუსთავი 2“-ით მოიწამლები ადამიანი“, - აცხადებს გიორგი ხაბურზანია, პროექტების პროდიუსერი.

- ითქვა, რომ ეს სკანდალი დადგმული გქონდათ?

- „ნიჭიერს“ დამატებითი რეკლამა არ სჭირდება, ისედაც მშვენივრად მიდის.

- და „ბრავოს“?

- არა მგონია, ამან „ბრავოს“ მოუმატოს რეიტინგი. სკანდალით პიარს არასდროს ვაკეთებდით.



ვანიკო თარხნიშვილი: „მარიამ საჯაია ძალიან ეფექტურია, როგორც კი გამოვიდა, ეგრევე დამჩრდილა“

გიორგი ხაბურზანია: „ასი პროცენტით ვეთანხმები არხის ხელმძღვანელს გოგას გაშვებაში. ნიკა გვარამია პატრიოტულად და სამართლიანად მოიქცა“

გოგა ხაჩიძე და მარიამ საჯაია გიორგი ბერიძის ლობისტები უნდა ყოფილიყვნენ. ერთად ქართული უნდა ეცეკვათ. გოგას ჩანაცვლება მოცეკვავე მიშა ტალახაძით მოხდა. ნომრები უცებ გადალაგდა.

- გოგას არყოფნით რა დააკლდა შოუს?

გიორგი ხაბურზანია: მე მგონია არაფერი. მას ერთ ნომერში ინსტრუმენტზე უნდა დაეკრა. მარიამი გადასარევი გოგოა. შოუს მუღამი მაშინვე აუღო. სცენიურია, ანათებს და მაყურებლისთვის მისი ამ ამპლუაში ხილვა სიურპრიზი იყო.

ამ ფაქტთან დაკავშირებით აზრი ხათუნა გოგორიშვილს - „ბრავოს“ ექსპერტს ვკითხეთ.

ხათუნა გოგორიშვილი: ერთ პროექტში მეორეზე ლაპარაკი პიარის თვალსაზრისით გამართლებული არ არის.

- ორივე გადაცემას ერთი გუნდი აკეთებს.

- მე მაინც თავს შევიკავებ.

- გოგა ამ გადაცემაში უნდა ყოფილიყო, როგორ არის სხვა გადაცემის პიარი?

- ეს ფაქტი სხვა შოუს უკავშირდება, ასე რომ თავს შევიკავებ.

გიორგი ხაბურზანია: ამ ყველაფერმა ამალიაზე ძალიან ნეგატიურად იმოქმედა და ეს არის საწყენი. ჩვენ ნამდვილად არ გვაძლევდა ხელს ასეთი რამ. „ნიჭიერს“ ისედაც ძალიან დიდი რეიტინგი და პოპულარობა აქვს. ამალიას დიდი ხანი ველაპარაკეთ, რომ მდგომარეობიდან გამოსულიყო. მისთვის სრულიად გაუგებარია ეს ყველაფერი. მან არც ანრი ჯოხაძე იცის ვინ არის და არც გოგა ხაჩიძე. შოუბიზნესთან შეხება არ ჰქონია. თავისებური ადამიანია. ცუდია, რომ ამალიამ პოპულარობის ეს ცუდი მხარე ასე უცებ იწვნია. პოპულარობის მოსვლიდან ეს ორ წელში მოდის, მაგრამ ის, რაც ამალიას თავს მოხდა, ასე უცებ მხოლოდ საქართველოში ხდება. ასე მიზანმიმართული კბენა არასამართლიანია. მთელი „რუსთავი 2“ მას მხარში უდგას. ჩემთვის ახლა მთავარი ამალიას კეთილდღეობაა.

გიორგი გაბუნია: არ ვიცი, გოგას რა ნომერი ჰქონდა, მაგრამ „ბრავოში“ მარიამმა კარგად გაართვა თავი თავის ნომრებს. მე ამ კონცერტზე გიორგი ბერიძის მხარდასაჭერად მოვედი. ის ხუმრობით ამბობს ჩემზე, უნდა მოვიდეს, აბა, რა, ვალშია ჩემთანო. ჩვენ მეგობრები ვართ. დღეს აქ უნდა ვყოფილიყავი და ვარ კიდეც. რაც შეეხება გოგა ხაჩიძეს, ასეთი განცხადება იმ ტელევიზიის წინააღმდეგ, რომელიც სწორედ იმით ამაყობს, რომ ეს პროექტები პროფესიონალიზმის მაღალი დონით გამოირჩევა, არასწორად მიმაჩნია. ასეთ რამეში ეჭვის შეტანა დიდი შეურაცხყოფაა. და არა მხოლოდ იმ ადამიანების, ვინც იქ ესწრებოდა შოუს ჩაწერას, არამედ იმ მილიონობით ადამიანის, ვისაც ამ პროდუქტს ვთავაზობთ. გამოვიდა, რომ ჩვენ ვატყუებთ მათ. რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო. გოგას ასეთი განცხადება ასე დაუფიქრებლად არ უნდა გაეკეთებინა. „რუსთავი 2“-ისგან ადეკვატური რეაქცია იყო.

„ბრავოს“ ექსპერტს, გიორგი მოსიძეს კი განსხვავებული აზრი აქვს.

გიორგი მოსიძე: მე გადაჭარბებულად მიმაჩნია ამ ფაქტის გამო გოგას „ბრავოდან“ გაშვება. არაფერი განსაკუთრებული ის პოსტი არ ყოფილა და არხის გადაწყვეტილება გამიკვირდა. მე ასე არ მოვიქცეოდი. მაგრამ რახან ასე მოიქცნენ, ეტყობა ასე ჩათვალეს საჭიროდ.

ახლა, რაც შეეხება სკანდალს მიღმა „ბრავოს“. გიორგი ბერიძე და მარიამ როხვაძე ერთმანეთის პირისპირ იბრძოდნენ. გიორგის ლობისტი მარიამ საჯაია იყო. მან ქართული იცეკვა. მეორე ნომერი კი ძალიან ეფექტური იყო. მარიამს ორივე ამპლუა გამოუვიდა. თუმცა მარიამ როხვაძემ და მისმა ლობისტმა ვანიკო თარხნიშვილმა მოუგეს. ისინი ფინალში არიან. ვანიკომ აჭარული და ებრაული ცეკვა შეასრულა. მას თან თავისი ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა ჰყავდა შოუში და სიმღერა „შემოდგომა“ შეასრულეს. ჯგუფს სოლო კონცერტი აქვს. 7-8 ნოემბერს „ივენთ ჰოლში“ კონცერტს მართავენ. ბიჭები 15 სიმღერას შეასრულებენ, იმ სიმღერებს, რომლებიც სერიალში გაჟღერებულა. მოკლედ, ვანიკომ მაგრად იმუშავა მაყურებელზე, მან შოუ დადგა და გაიმარჯვა კიდეც.

გიორგი ხაბურზანია: სადაც ვანო თარხნიშვილია ლობისტი, იქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა ნომერს ჩასვამდა. რა თქმა უნდა, „გამოუვალი მდგომარეობის“ სიმღერა.

გიორგი ბერიძემ „აეროსმიტის“ ცნობილი ჰიტი Cry ძალიან მაგრად შეასრულა.

გიორგი ბერიძე: ეს გასართობი კონკურსია და ბევრი რამ ხდება. შოუა. ამიტომ არ არის კონკურსის განცდა. თუმცა თუ სცენაზე გასვლისას არ ნერვიულობ, შენი საქმე არ გიყვარს. „აეროსმიტის“ სიმღერა ბენდმა უცებ დამთავრა, როცა არ უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ.

- ლობისტ მარიამზე რას მეტყვი?

- ყველაზე ლამაზი, სექსუალური და ნიჭიერი ლობისტი მყავს. ერთი მუსიკალური გემოვნება გვაქვს. როკი და ახალი ინდიროკი უყვარს ჩემსავით.

- როგორ ცეკვავს?

„ნიჭიერს“ დამატებითი რეკლამა არ სჭირდება, ისედაც მშვენივრად მიდის. არა მგონია, ამან „ბრავოს“ მოუმატოს რეიტინგი. სკანდალით პიარს არასდროს ვაკეთებდით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ი“ - ვინ ჩაანაცვლა გოგა ხაჩიძე?

გიორგი გაბუნია: „მე ამ კონცერტზე გიორგი ბერიძის მხარდასაჭერად მოვედი. ის ხუმრობით ამბობს ჩემზე, უნდა მოვიდეს, აბა, რა, ვალშია ჩემთანო“

გეგა ფალავანდიშვილი: „მარიამ საჯაიას პრობლემა ხელის ჩატეხვასთან ჰქონდა, ვანიკოს კისრის მოტეხვასთან. აჭარულის ცეკვისას კინაღამ კისერი მოიტეხა. ვანიკო ჯობდა, ბევრად არტისტულია“



- მაგრად იცეკვა. არ მაინტერესებს როგორი პოლიტიკოსია, მაგარი პიროვნებაა. მაგრად იცეკვა და არაპროფესიონალმა მაგრად იმღერა. ყველა ამპლუაში კარგია. ჩემი ლობისტი მეამაყება.

მარიამ როხვაძეს კი წინასწარ გამოუთქვამს იმის სურვილი, რომ მისი ლობისტი ვანიკო თარხნიშვილი ყოფილიყო. სურვილი აუხდა. ვანიკომ აჭარული და ებრაული სამ-ოთხ დღეში ისწავლა.

ვანიკო თარხნიშვილი: ვეცადე ყველაფერი გამომსვლოდა. როცა სცენაზე ვმაიმუნობ, სულ სხვა რამაა, მაგრამ როცა უნდა ვიცეკვო და ილეთები პარტნიორს შევუწყო, ჩემთვის ძალიან ძნელია. ორივე თანაბრად შეცდომით გამომდის. რაც შეეხება მარიტას, მართლაც ძლიერი მომღერალია. თუმცა სერიოზული კონკურენტები გვყავდა. ამ შოუში ორი გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს, მომღერლების და მხარდამჭერი ლობისტების. მარიამ საჯაია ძალიან ეფექტურია, როგორც კი გამოვიდა ეგრევე დამჩრდილა.

გეგა ფალავანდიშვილი: მარიამ საჯაიას პრობლემა ხელის ჩატეხვასთან ჰქონდა, ვანიკოს კისრის მოტეხვასთან, აჭარულის ცეკვისას კინაღამ კისერი მოიტეხა. ვანიკო ჯობდა, ბევრად არტისტულია, მარიამი როდესაც ქართულს ცეკვავდა, თავის ამპლუაში არ იყო, ზედმეტი კდემამოსილება არ უხდება. აი, მეორე ნომერი კი ნამდვილად მისი იყო. ნამდვილი მარიამი მეორე ტურში იყო.

გეგას ხათუნა გოგორიშვილი დაეთანხმა.

ხათუნა გოგორიშვილი: ვიცნობ რა მარიამს, მეორე ნომერი უფრო მის ხასიათში ზის.

გიორგი მოსიძე: „მე გადაჭარბებულად მიმაჩნია ამ ფაქტის გამო გოგას „ბრავოდან“ გაშვება. არაფერი განსაკუთრებული ის პოსტი არ ყოფილა“

მარიამ საჯაია: პატარა შეცდომები მქონდა, მაგრამ კარგად შევასრულე. ქართულ ცეკვას პატივს ვცემ, მაგრამ შეცდომით შევასრულე. ხელის მოძრაობა მნიშნელოვანია, მე შეცდომა დავუშვი.

ვანიკო თარხნიშვილი: მეც ძირითადად შეცდომებით ვიცეკვე აჭარული. იმედია, მაყურებელმა მკაცრად არ განმსაჯა. მარიამი ძალიან ეფექტური იყო.

- გიორგი, როგორი რეიტინგი აქვს „ბრავოს?“

- „რეაქციას“ ვუწევთ პატიოსან კონკურენციას. ინგა გრიგოლია სოლიდური და ძლიერი კონკურენტია. არც მას ეშინია ჩვენი და არც ჩვენ ინგასი. ღირსეული კონკურენტია, რომლის რეიტინგებში დამარცხება გაგვიხარდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთიასანი

კახა მამულაშვილი



იულია ქავთარაძე

ანუკა ქებურია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi



თინა მახარაძე

ნიკა გრიგოლია, მეგი გოგიტიძე და იულია ქავთარაძე

ნინი ბადურაშვილი და თიკა ფაცაცია

კახაბერი

ია სუხიტაშვილი

ნიკა გრიგოლია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

ეკა კახიანს ექსსიძესთან მშვენიერი ურთიერთობა აქვს

სოციალურ ქსელში ფოტო გამოჩნდა, ნინი ბადურაშვილის ყოფილი ქმარი, ირაკლი კუტალაძე ქალიშვილთან ერთად აუზშია. როგორც გაირკვა, პატარა ელენიკო მამასთან და ბებია-ბაბუასთან ერთად ერთი თვეა დუბაიში ისვენებს. მალე მათ ეკა კახიანიც შეუერთდება. ნინი ვერ მიდის, რადგან მას ეგონა, რომ ჯერ პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ იქნებოდა და გასამგზავრებლად ვერ მოემზადა. თუმცა ნინი უკვე პროექტს მიღმაა.

ეკა კახიანი: ელენე საზღვარგარეთ წასასვლელად პატარაა და ვინერვიულე. მაგრამ ძიძასთან ერთად არის, რომელსაც ძალიან მიეჩვია. მალე მეც ჩავაკითხავ და ერთად დავბრუნდებით.

– ყოფილ სიძესთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

– მშვენიერი. ამას წინათ იყო ჩამოსული და მე და ირაკლის ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ცოლ-ქმარი თუ ერთმანეთში ვერ არკვევს ურთიერთობას, ეს სხვა თემაა, ცალკეა ბავშვი, რომლის ხათრითაც რაღაცები უნდა დათმო.

– ვის ამსგავსებთ?

– მამას ჰგავს, მაგრამ ნინისიც აქვს რაღაც.

„ცოლ-ქმარი თუ ერთმანეთში ვერ არკვევს ურთიერთობას, ეს სხვა თემაა“

ეკა ნიჟარაძე ბებიობამ კიდევ უფრო გააახალგაზრდავა

ეკა ნიჟარაძე მოდის კვირეულზე შვილიშვილთან ერთად იყო. პატარა თინათინ თაყაიშვილი ტასოს ქალიშვილია. მსახიობს ბებიობა მოსწონს.

ეკა ნიჟარაძე: მაგარია ბებიობა. კიდევ უფრო ახალგაზრდად ვგრძნობ თავს. ისედაც მუდმივად მგონია, რომ პატარა ვარ, ასაკს არც ვეგუები და არც ვებრძვი. უბრალოდ, მგონია, რომ სულ ახალგაზრდა ვარ. ამას ძალით კი არ ვაკეთებ, ბუნებრივად ასე ვარ. თინა ჩემი შვილი მგონია, თავს ბებიად ვერ ვგრძნობ. თან ტასოს ჰგავს. ტასო იმაზე გიჟი დედაა, ვიდრე მე ვიყავი. სულ ვამშვიდებ, ბავშვია და შეიძლება სურდო დაემართოს-მეთქი. ძიძების გარეშე ზრდის. ძიძის აყვანა ვცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა, ტასოს ნერვიულობისგან არ ეძინა.

„ნინის საერთოდ არ უნდა ეცეკვა ამ პროექტში“

ნინი ბადურაშვილი არ ელოდა „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ ასე ადრე თუ დატოვებდა. ამ ფაქტით უკმაყოფილოა ეკა კახიანიც.

ეკა კახიანი: მეგონა, კარგად ცეკვავდა და კარგად მიდიოდა, მაგრამ აბსოლუტურად მოულოდნელად გავარდა. ბოლო ურთულესი ცეკვა კარგად შეასრულა. ხარვეზები ჰქონდა, მაგრამ გამოსაგდებად ადრე იყო. არ მინდა ამაზე ლაპარაკი, ზუსტად ვიცი, რაც არის და როგორც არის, მაგრამ არ ვიტყვი.

– მაინც რას გულისხმობთ?

- არ ვილაპარაკებ ამაზე. ნუ, გასაგებია, რომ კონკურსია და ან მივა ბოლომდე, ან – არა. საერთოდ არ უნდა ეცეკვა ამ პროექტში. ოთხი წელია მიდის ჭიდაობა, იცეკვე, არ ვიცეკვებო.

- რატომ არ უნდა ეცეკვა?

- ნინის თავისი საქმე აქვს და საკონკურსოდ გამოსვლა არ არის მისი საქმე.

- ეს ხომ სიმღერის კონკურსი არ არის?

- არც ერთ კონკურსზე არ უნდა გასულიყო. არ ღირს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არა ძალადობას!

my View

ეკა ჩიკვაიძე

შსს და ქართველი მომღერლები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობის წინააღდეგ სოციალურ კამპანიას - არა ძალადობას! იწყებს. კამპანიის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაგეგმილია სხვადასხვა სახის აქტივობები. სწორედ ამ კამპანიის ფარგლებში კომპოზიტორმა რუსა მორჩილაძემ სიმღერა დაწერა, რომელსაც ცნობილი ქართველი მომღერლები: ნინო ქათამაძე, მაია ჯაბუა, მაკა ზამბახიძე, „ფორტე“, ოთო ნემსაძე, ნინი წიკლაური, ნატალია ქუთათელაძე, მარიკო ებრალიძე და სხვები შეასრულებენ. სიმღერა „არა ძალადობას“ ხმისჩამწერ სტუდია „ბრავო რეკორდსში“ ჩაიწერება, ხოლო კლიპის გადაღებას „არტ პალასი“ უზრუნველყოფს. ძალადობის წინააღმდეგ კლიპს რეჟისორი ზაზა ორაშვილი გადაიღებს.

მომღერლები სიმღერის ჩასაწერად რამდენიმე დღის წინ, „ბრავო რეკორდსში“ შეიკრიბნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალური კამპანიის ფარგლებში ასევე გამოცხადდება, კონკურსი ჟურნალისტებისთვის და გამოვლინდება ძალადობის თემაზე გაკეთებული საუკეთესო სიუჟეტი თუ სტატია. მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართება

EXCLUSIVE

საგანმანათლებლო კამპანიები სკოლებსა და უნივერსიტეტებში. ცოტა ხანში შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას სხვა სამინისტროებიც შეუერთდებიან. მათი მიზანია, რომ საზოგადოება მაქსიმალურად იყოს ჩართული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნინო გიორგობიანი (შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი): „შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მალე დაიწყება კამპანია - არა ძალადობას! აქტივობების შესახებ ოფიციალურად რამდენიმე დღეში განვაცხადებთ. აქციის მიზანია, რომ ყველა იყოს ჩართული ამ პრობლემის მოგვარებაში. ამ კამპანიის ფარგლებში იწერება ეს სიმღერაც, რომელიც რუსას შექმნილია. თუ საზოგადოება არ იქნება აქტიურად ჩართული, მხოლოდ სახელმწიფო უწყებები ვერაფერს გახდებიან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ბრავო რეკორდს“, „არტ პალასს“ და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში, ასეთი გვერდში დგომისთვის. ჩვენ ასევე კლიპი გვაქვს გადაღებული, სადაც კონკრეტული ტელეფონის ნომერია მითითებული, რომელზეც ძალადობის დროს

ადამიანმა უნდა დარეკოს. ეს ნომერი ამ შემთხვევაში არის - 112. მე მაქვს ანტინარკოტიკული კამპანიის გამოცდილება, როდესაც საზოგადოება ძალიან აქტიურად დაგვიდგა გვერდში და შედეგი გვაქვს ის, რომ 90 პროცენტით შემცირდა ე.წ. ბიოს და „კრაკადილი“-ს მოხმარება. ეს სწორედ იმ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგი იყო, რაც მინისტრის და ასევე ამ კამპანიის ინიციატივით განხორციელდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს კონკრეტული კამპანიაც შედეგს გამოიღებს“.

ზაზა შენგელია („ბრავო რეკორდსი“-ს დამფუძნებელი): „ამ პროექტში ყველასთვის საყვარელი მომღერლები გაერთიანდნენ. მე ყოველთვის ხაზს ვუსვამ იმას, რომ ყველა მუსიკოსს უნდა ჰქონდეს სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა და უნდა ეხმაურებოდეს ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ოჯახური ძალადობა. ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას საქართველოში და კარგია, რომ ამ სიმღერით ისინი თავიანთ პოზიციას აფიქსირებენ. რა თქმა უნდა, ეს მათი მესიჯი მიაღწევს მსმენელის გულამდე. მით უფრო, რომ სიმღერა რუსა მორჩილაძესია, რომელიც ცნობილი „ჰიტმეიქერია“ და ეს სიმღერაც გამიზნულია, რომ ჰიტად იქცეს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ პრობლემის მოგვარებაში“.

რუსა მორჩილაძე: „ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა შინაგან საქმეთა სამინისტოროს, რომ ამდენი ხალხი შეგვკრიბა. მე მიმილია ასეთ პროექტებში მონაწილეობა და ის ნამდვილად შედეგზეა ორიენტირებული. განსაკუთრებით, თუ აქ ხელოვნების წარმომადგენლები ერთიანდებიან. მგონი, სიმღერით უფრო ადვილად მისაწვდენია ხმა, ვიდრე ბევრი ლაპარაკით. მე ასე მგონია და მინდა, რომ ეს პროექტი წარმატებული იყოს“.

ნინო ქათამაძე: „ვფიქრობ, ადრეც უნდა ყოფილიყო ამ თემაზე საუბარი. მე მახსოვს ბევრი ქალბატონის ცრემლები, რომლებიც ჩემს სახლში დამალულან, რომ არ გაეგო არავის მათი ქმრები რა დღეში აგდებდნენ და ჩვეულებრივად შერიგებიან მერე ამ სიტუაციას. თავიანთი ცხოვრების ყველაზე კარგი პერიოდი აგრესიაში გაუტარებიათ. მე, უბრალოდ, ამ თემას ვიცნობ და არ მინდა, რომ ასე ხდებოდეს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N43 (293) ორშაბათი, 3 ნოემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EXCLUSIVE

მაკა ჩიჩუა ვაჟისთვის ორ სახელს განიხილავს

მაკა ჩიჩუა: „ვაჟს თებერვლის დასაწყისში ველოდები“

არა ძალადობას! - შსს და ქართველი მომღერლები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანდნენ

EXCLUSIVE

ეკა კახიანს ექსსიძესთან მშვენიერი ურთიერთობა აქვს

„ცოლ-ქმარი თუ ერთმანეთში ვერ არკვევს ურთიერთობას, ეს სხვა თემაა“

EXCLUSIVE

„ჩემი ცოლის დაქალები“-ს ძიძა შეყვარებულია

ISSN 1987-7404

9 771987 740005

EXCLUSIVE

ჩვენებამ შემდეგ კარი კალაძემ ანუკი არეშიძეს სიყვარული აუხსნა

exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება